პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 65, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადების ფასის ... 10% ... თანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 1 სექტემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 203 (2246)

დღიური

- — „დეილი ჰერალდი" ხიკსის დანაშაულის შესახებ.
- — ინდოეთის პარტიები მოითხოვენ ინდოეთისათვის დომინიონის უფლების მინიჭებას.
- — წყალქვეშა ნავის „ლ—55"-ის მეზღვაურთა ზვარაკის ხვედრი.
- — სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა ესტონეთს და საბჭოთა კავშირს შორის.
- — ლენინგრადში ჩავიდა მაქსიმ გორკი.
- — საბჭ. კავშირის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანება.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4-ე

მორიგი პლენუმი

მაზრკომების და ოლქკომების მდივნებთან ერთად

იხსნება აგვ. 10 სექტემბერს

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ღოღობერიძე

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის

კვირას, 2 სექტემბერს, კანტორა ღია იქნება დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 3 საათამდე

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგები

ცენტრალური საკონტროლო კომისიის ეხლახან დამთავრებულმა მორიგმა პლენუმმა თავისი მუშაობა მოანდომა ორ ძირითად საკითხს — თვითკრიტიკის პირველი შედეგების საკითხს და მრეწველობის რაციონალიზაციის საკითხს. პირველ ხანს ბევრს ნაადრევად მიაჩნდა თვითკრიტიკის ჩატარების ყოველგვარი შეჯამება. პლენუმზე ამ საკითხის განხილვამ დაგვანახვა, რომ უკვე დიდი მასალა დაგროვდა, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებაში უკვე არსებობს რამოდენიმე მომენტი, რომლებსაც მთელი პარტიის ყურადღება უნდა მიექცეს.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმზე აღნიშნული ფაქტები გვიჩვენებენ, რომ, სადაც ადგილობრივი ორგანიზაციები ნამდვილად და გადაჭრით ანხორციელებენ პარტიის ლოზუნგს თვითკრიტიკის შესახებ, იქ უკვე არსებობს განსაზღვრული შედეგები.

იზრდება პარტიის ავტორიტეტი მასებში, უმჯობესდება პარტიული ხელმძღვანელობა, აშკარავდება და ისპობა სხვადასხვა უარყოფითი მოვლენა და იწმინდება სახელმწიფო აპარატი. ეს იმას ადასტურებს, რომ ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული და არსებითად შემცდარია ის შიში, ვითომც თვითკრიტიკის განვითარება გამოიწვევს პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებას. პირიქით, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები და მუშათა მასები ნამდვილ, ბოლშევიკურ თვითკრიტიკას ანვითარებენ, პარტიული ხელმძღვანელობა კი არ სუსტდება, არამედ უმჯობესდება, ძლიერდება. შემოქმედებითი თვითკრიტიკის თამამსა და გაბედულ განვითარებას უნდა მოჰყვეს და მოჰყვება კიდეც ჩვენი მეურნეობის გაძლიერება, შრომის დისციპლინის გადიდება. თვითკრიტიკა აღვიძებს და ანვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას და „პატრონის ფხიზელ თვალს", იგი ერთმანეთთან აკავშირებს მუშებისა და გლეხების უფართოეს მასებს სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა გარშემო.

გადაიქცა თუ არა თვითკრიტიკის ლოზუნგი დღევანდელი დღის ერთ-ერთ ცენტრალურ ლოზუნგად? პლენუმზე წაკითხულმა მოხსენებამ და მის გარშემო გამართულმა კამათმა დაგვანახვა, რომ ჯერ-ჯერობით ეს არ მომხდარა. ეს არის მთავარი დასკვნა, რომელიც პლენუმმა გამოიტანა. ბევრმა პარტიულმა ორგანიზციამ მუშათა მასის ყურადღება არც კი შეაჩერა ც. კ.-ის 3 ივნისის მიმართვაზე, პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე. მთელი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მასები შეკავშირებულიყვნენ ამ მიმართვისა და მისგან დასახულ ლოზუნგებათა გარშემო. ზოგიერთი ამხანაგს აშკარად ეტყობა, რომ საკმაოდ ვერ აფასებს თვითკრიტიკის ლოზუნგს, ჰგონია, რომ თვითკრიტიკა არის არა ჩვენი მუშაობის მუდმივი მეთოდი, არა მასების დარაზმვის საშუალება სოციალისტური მშენებლობის მიზნებისათვის, არამედ მორიგი გარდამავალი კამპანია. ამავე დროს არსებობს აშკარად უვარგისი ცდა, რომ შეიზღუდოს თვითკრიტიკა და მოემწყვდეს იგი ვიწრო ჩარჩოებში.

თვითკრიტიკა შეიძლება არარად გადაიქცეს, თუ იგი პრაქტიკულ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამიტომ თვითკრიტიკის უმთავრესი და უსაშინელესი მტერი ის არის, ვინც უყურადღებოდ სტოვებს მუშების მითითებებსა და შენიშვნებს, ვინც გვერდს უქცევს საწარმოო თათბირთა მუშაობას, ვინც ყურს იყრუებს პრესაში მოთავსებულ შენიშვნებზე. საკმარისი არ არის კრიტიკის მოსმენა, საკმარისი არ არის არ სდევნიდე გამკრიტიკებლებს, საჭიროა საქმის გაკეთება, საჭიროა მუშების სამართლიანი მითითების განხორციელება, დეფექტების გასწორება, უვარგისთა გარეკა და ახლების დაწინაურება. ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ მუშათა მასა ყველაფერს ხედავდეს. უამისოდ თვითკრიტიკა უშინაარსო ლაყბობად გადაიქცევა. ეს ნიშნავს პარტიის უმნიშვნელოვანესი ლოზუნგის სახელის გატეხა და, მაშასადამე, თვით პარტიის სახელის გატეხაც. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა წავქციით მუშების მითითებათა შესრულებას, მუშების მიერ აღნიშნული დეფექტების აშკარა და სწრაფ გასწორებას, კრიტიკის გადაქცევას მთელი ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების იარაღად. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა აღიარა, რომ თვითკრიტიკას სწორედ ამ მხრით მოელის უდიდესი საფრთხე.

ბეჭდვითი სიტყვა უდიდეს როლს ასრულებს თვითკრიტიკის განვითარების საქმეში. ამ დარგში მისი დიდი დადებითი მუშაობა უდავოა. არაფრად ვარგა ის, ვინც იარაღად იყენებს ბეჭდვითი სიტყვის ზოგიერთი ნაკლის კრიტიკას და ცდილობს შეზღუდოს, შეჰკვეცოს მისი მუშაობა თვითკრიტიკის დარგში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ პრესის მუშაობა უდიდესია, ჩვენ შეცდომები მოგვეპოვება და მათზე თვალის დახუჭვა არც თვითკრიტიკისათვის არის სასარგებლო და არც თვით პრესისათვის. ზოგჯერ ადგილი აქვს სენსაციით გატაცებას, ცალიერი სიტყვების კორიანტელის დაყენებას და სურვილის უქონლობას, რომ აღიარონ და მაშინვე აიცილონ თავიდან ესა თუ ის შეცდომა — ყოველივე ეს თვით პრესამ უნდა აღმოფხვრას.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის დადგენილებებიდან შეიძლება ერთი დასკვნა გამოვიყვანოთ. ჩვენ ჯერ ვერ მოვახერხეთ თვითკრიტიკის ტალღის აგორება ქვემოდან. ეს უნდა მოხერხდეს. თვითკრიტიკის ლოზუნგის გარშემო უნდა დავრაზმოთ მუშათა უფართოესი მასები, მათ კრიტიკას ძალა უნდა ჰქონდეს, რომ მან გამოიწვიოს ჩვენი მშენებლობის ყველა დარგის გაუმჯობესება. მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოხმარდეს იმ ლოზუნგებათა განხორციელებას, რომლებიც აღნიშნულია ც. კ.-ის 3 ივნისის მიმართვაში. ჩვენ უნდა მოვახერხოთ და მოვახერხებთ კიდეც, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი ნამდვილად განხორციელდეს ცხოვრებაში, რომ იგი მართლაც დღევანდელი დღის ერთ-ერთ ცენტრალურ ლოზუნგად გადაიქცეს.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმმა ორი დღის მუშაობა მოანდომა მრეწველობის რაციონალიზაციის პირველი შედეგების განხილვას. ამ საკითხის განხილვამ ნათელჰყო როგორც რაციონალიზაციის პირველ წარმატებათა სურათი, ისე ამ უმნიშვნელოვანესი მუშაობის დეფექტები. რაციონალიზაციის სხვადასხვა სახის წარმატება გვიჩვენებს, თუ რა სერიოზული შედეგები შეუძლია გამოიღოს სწორად დაყენებულ სოციალისტურ რაციონალიზაციას. ამის მაგალითს წარმოადგენენ ჩვენი მიღწევები ნავთის მრეწველობაში. სწორედ ამიტომ ჩვენ ახლა დიდი ყურადღება უნდა მივაქ- პლენუმზე საკითხის განხილვამ დაგვა- ციოთ რაციონალიზაციის დეფექტებს. ნახვა, რომ ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაციისათვის გაწეული მუშაობის მოცულობა და ტემპი აშკარად საკმარისი არ არის. ძალიან სუსტად არის დაყენებული რაციონალიზაციის ხელმძღვანელობის საქმე, ალაგ-ალაგ კი საკმაო ყურადღება არ ექცევა რაციონალიზაციის საკითხებს. ჩვენ განვიცდით რაციონალიზაციისათვის საჭირო ინჟენერ - ტეხნიკოსების ნაკლებობას რაოდენობისა და ღირსების მხრით; ჯერ კიდევ თავის გავლენას ახდენს კონსერვატიზმი და რუტინა ამ მუშაობის შესრულების დროს.

თქმა არ უნდა, რომ მრეწველობის რაციონალიზაციის განხორციელება ჩვენი ტეხნიკური და საერთო კულტურული ჩამორჩენილობის პირობებში ადვილი საქმე არ არის. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ჩამორჩენილობა რაც შეიძლება მალე გადავლახოთ, საჭიროა განვახორციელოთ რაციონალიზაცია — სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი იარაღი. ჩვენ რომ დავეწიოთ და შემდეგ გავუსწროთ კიდეც უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს, აუცილებლად უნდა დავაჩქაროთ რაციონალიზატორული მუშაობის ტემპი. საჭიროა მოხდეს გარდატეხა მთელ ამ მუშაობაში და ყველა ჩვენი ორგანიზაციის დამოკიდებულებაში ამ საქმისადმი. მოხსენებებმა და კამათმა აღნიშნა ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაციისათვის საჭირო მთავარი კალაპოტი, ხერხი და მეთოდები.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის ეხლახან დამთავრებულ პლენუმს, სხვათა შორის, ერთი გარემოება ახასიათებდა. ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებს გარდა, მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი სამეურნეო მუშაკების თვალსაჩინო ჯგუფმა. ეს მეთოდი სასარგებლო გამოდგა. ერთად მუშაობამ ხელი შეუწყო სხვადასხვა საკითხის ყოველმხრივ გამორკვევას. განსაკუთრებით ძვირფასი იყო სამეურნეო მუშაკების მონაწილეობა მეორე საკითხის განხილვაში.

თვითკრიტიკის საკითხშიაც და რაციონალიზაციის საკითხშიაც პლენუმმა საგანგებოდ აღნიშნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა როლის ზრდა. უკანასკნელ წლებში ჩვენმა საკონტროლო კომისიებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა ძალიან ბევრი გააკეთეს თავიანთი მუშაობის გასაუმჯობესებლად და მასებთან კავშირის გასამაგრებლად. მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ, რომ ნამდვილად გარდაიქცნენ მასიური კონტროლის ისეთ ორგანიზაციებად, რომელთა შესახებაც ლენინი ლაპარაკობდა. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების ორგანოთა განსამტკიცებლად და მათი მუშაობისათვის ყოველმხრივ ხელის შესაწყობად. თვით საკონტროლო კომისიებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა კი უფრო ფართოდ უნდა განავითარონ თავიანთი მუშაობა იმ მიზნით, რომ ჩააბან მუშათა მასები ჩვენი მშენებლობის დეფექტებთან ბრძოლისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში. საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების ორგანოები მხოლოდ მაშინ გაუძლევებიან თავიანთ დიდ ამოცანებს, როცა ისინი მთელ თავიანთ მუშაობაში ბოლშევიკურ თვითკრიტიკას განახორციელებენ.

„პრავდა", 31 აგვისტო.

საბჭოთა მთავრობის ნოტა კელოგის პაკტის შესახებ

ომისა და სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილების ერთად ერთ და ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს საყოველთაო და სრული განიარაღება.—საბჭოთა დელეგაციამ ერთა ლიგის განიარაღების კომისიაში შეიტანა სრული ან ნაწილობრივი განიარაღების პროექტი. — საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ განიარაღების კომისიაში გაილაშქრეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც პირველად მოაწერეს ხელი კელოგის პაქტს.—აკრძალულ უნდა იქნეს ომი, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღი და აგრეთვე, როგორც მასიურ მოძრაობათა ჩაქრობის საშუალებაც.— კელოგის პაქტი ობიექტიურად აკისრებს სახელმწიფოებს განსაზღვრულ ვალდებულებას საზოგადოებრივ აზრის წინაშე.—ამის გამო საბჭოთა მთავრობა თანახმაა შეუერთდეს მას.


ამხ. ლიტვინოვი

მოსკოვი, 31 აგვისტო. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის თანამდებობის დროებითმა ამსრულებელმა ამხ. ლიტვინოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი მოსკოვში ჟან ერბეტი და ჩააბარა მას შემდეგი ნოტა:

ბატონო ელჩო!

ამა წლის 27 აგვისტოს თქვენ, თქვენი მთავრობის დავალებით, კეთილ ინებეთ გეცნობებიათ ჩემთვის, რომ იმავე დღეს გერმანიის რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და მისი დომინიონების, იტალიის, იაპონიის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა ხელი მოაწერეს პარიზში ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ისინი ვალდებულნი არიან თავის ურთიერთობაში არ მიმართონ ომს, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღს, ხოლო მათ შორის წარმოშობილი უთანხმოებანი გადასწყვიტონ მშვიდობიანი გზით.

აღნიშნული ხელშეკრულების ასლის ჩაბარებისა და მისი მოკლე ისტორიის გადმოცემის შემდეგ, თქვენ, ასევე კეთილინებეთ გეცნობებიათ ჩემთვის: ა) რომ ხელშეკრულების პირველ მონაწილეთა რიცხვის შეზღუდვა, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, გამოწვეული იყო მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებებით და ხელშეკრულების რაც შეიძლება სწრაფად განხორციელების სურვილით, ხოლო ამასთანავე გადაწყვეტილი იყო მისი საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა იმავ პირობებში და იმავე უპირატესობით, რომელიც მიენიჭა ხელშეკრულების პირველ მონაწილეთ, ბ) რომ ამის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაკისრებული აქვს მიიღოს განცხადება ყველა იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც სურთ შეუერთდნენ ხელშეკრულებას, გ) რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ყველა უცხო სახელმწიფოში, იმ სახელმწიფოთა გარდა, რომლებმაც პაქტს ხელი უკვე მოაწერეს, მიიღეს ინსტრუქცია აცნობონ იმ ქვეყნის მთავრობას, სადაც ისინი არიან განწესებულნი, პარიზში მოწერილი ხელშეკრულების ტექსტი, დ) რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მზადაა ახლავე მიიღოს აღნიშნულ სახელმწიფოთა აქტები ხელშეკრულებისადმი შეერთების შესახებ. ე) რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას დაევალა, თქვენი შუამავლობით, ბატონო ელჩო, აცნობოს საბჭოთა კავშირის მთავრობას ზემო აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტი და შეეკითხოს მას, თანახმაა თუ არა იგი შეუერთდეს ხელშეკრულებას, და ვ) რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში, თქვენ, ბატონო ელჩო, უფლებამოსილი ხართ მიიღოთ შეერთების აქტი ვაშინგტონში გადასაცემად.

გაცნობებთ რა ამ ნოტით საბჭოთა კავშირის მთავრობის პასუხს თქვენს შეკითხვაზე, მაქვს პატივი გთხოვოთ თქვენ, აუწყოთ თქვენს მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გადასაცემად შემდეგი:

1) საბჭოთა მთავრობამ თავის არსებობის პირველი დღიდანვე თავის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად დაუდო საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცება და უზრუნველყოფა; იგი ყველგან და ყოველთვის მხარს უჭერდა მშვიდობიანობას და ხელს უწყობდა ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველივე ნაბიჯს. ამასთანავე, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების ერთად-ერთ საშუალებად საბჭ. მთავრობა სთვლიდა და ეხლაც სთვლის საყოველთაო და სრული განიარაღების გეგმის ცხოვრებაში გატარებას, ვინაიდან დაუცხრომელ საყოველთაო შეიარაღების პირობებში სახელმწიფოთა ყოველივე მეტოქეობას მით უფრო უეჭველად მივყევართ ომისაკენ, რაც უფრო უკეთესია შეიარაღების სისტემა. საბჭ. კავშ. დელეგაციამ წარუდგინა განიარაღების კონფერენციის მომამზადებელ კომისიას, რომელიც არსებობს ერთა ლიგასთან, სრული განიარაღების დეტალურად დამუშავებული პროექტი, მაგრამ სამწუხაროდ, ამ პროექტს არ დაუჭირა მხარი აღნიშნული კომისიის უმრავლესობამ, მათ შორის სწორედ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც, რომლებიც არიან პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების პირველი მონაწილენი. პროექტი უარყოფილ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღება და განხორციელება წარმოადგენდა მშვიდობიანობის რეალურ გარანტიას.

2) ვინაიდან საბჭ. მთავრ. არ სურდა გაეშვა სახალხო მასებისათვის შეიარაღებათა მძიმე ტვირთის შემსუბუქების არც ერთი შესაძლებლობა, მან იმის შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა მისი წინადადებანი სრული განიარაღების შესახებ, არამც თუ არ სთქვა უარი ნაწილობრივი განიარაღების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, არამედ იგი თავის დელეგაციის შუამავლობით მომამზადებელ კომისიაში, თვითონ გამოვიდა ნაწილობრივი და ფრიად არსებითი განიარაღების დეტალურად დამუშავებული პროექტით. მაგრამ, საბჭოთა მთავრობა, სამწუხაროდ, იძულებულია აღნიშნოს, რომ ვერც ამ პროექტმა ჰპოვა თანაგრძნობა მომამზადებელ კომისიაში, რომელმაც ამით ერთხელ კიდევ საქვეყნოდ დაადასტურა ერთა ლიგის სრული უძლურება განიარაღების ჩატარებაში, რაიც მშვიდობიანობის ყველაზე უფრო მტკიცე გარანტიაა და ყველაზე უფრო ძლიერ საშუალებას წარმოადგენს, ომის მოსასპობად. საბჭოთა წინადადებებს აშკარა წინააღმდეგობა გაუწია თითქმის ყველა იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც პირველად მოაწერა ხელი ომის ამკრძალავ ხელშეკრულებას.

3) განიარაღების საქმის სისტემატიურ დაცვასთან ერთად, საბჭოთა მთავრობამ, მშვიდობიანობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში, გაცილებით ადრე, ვიდრე დაიბადებოდა ამჟამად პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების იდეა, მიმართა აგრეთვე სხვა სახელმწიფოებს წინადადებით იმის შესახებ, რომ ორმხრივი ხელშეკრულებათა საშუალებით, უარეყოთ არა მარტო პარიზის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ომები, არამედ ყოველივე თავდასხმაც ერთი-მეორეზე და ყოველივე შეიარაღებული კონფლიქტი. ზოგმა სახელმწიფომ, როგორც, მაგალითად, გერმანიამ, თურქეთმა, ავღანისტანმა, სპარსეთმა და ლიტვამ მიიღეს აღნიშნული წინადადება და დასდევს საბჭოთა მთავრობასთან სათანადო ხელშეკრულებანი, ზოგმა სახელმწიფომ სიჩუმით უპასუხა ამ წინადადებას, სხვებმა კი უარყვეს იგი საკვირველი მოსაზრებით იმის შესახებ, რომ იმ ვალდებულებათა გამო, რომელიც აწევს მათ ერთა ლიგის მიმართ, მათ არ შეუძლიათ თავდასხმის კატეგორიული უარყოფა.

მაგრამ ამ გარემოებამ სრულებითაც არ შეუშალა ხელი იმავე სახელმწიფოებს ხელი მოეწერათ პარიზის ხელშეკრულებისათვის იმ დროს, როდესაც თვით ხელშეკრულების ტექსტში [illegible] ნათქვამი ზემო აღნიშნულ ვალდებულებათა დაურღვევლობის შესახებ.

4) ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები წარმოადგენენ იმის შეურყეველ საბუთს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება შეადგენს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადსა და სახელმძღვანელო იდეას. მიუხედავათ ამისა, პარიზის ხელშეკრულების ინიციატორებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს საბჭოთა მთავრობის მონაწილეობა და თვით ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებაში და იმ მოლაპარაკებაში, რომელიც ამ ხელშეკრულებას წინ უძღოდა. მიწვეულნი არ იქნენ აგრეთვე ის სახელმწიფოები, რომელნიც ნამდვილად არიან დაინტერესებულნი მშვიდობიანობის უზრუნველყოფით, რადგან ისინი ან თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდნენ (თურქეთი, ავღანისტანი) ან ამჟამადაც წარმოადგენენ ასეთ ობიექტს (დიდი ჩინელი ხალხის რესპუბლიკა). საფრანგეთის მთავრობის მიერ გადმოცემული მიწვევა, რომ საბჭოთა კავშირი შეუერთდეს ხელშეკრულებას, არ შეიცავს აგრეთვე იმ პირობებს, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ საბჭოთა მთავრობას გავლენა მოეხდინა პარიზში ხელმოწერილი დოკუმენტის ტექსტზე. მაგრამ საბჭოთა მთავრობა ემყარება აქსიომატიურ დებულებას, რომ იგი მოკლებული ვერ იქნება იმ უფლებას, რომელიც განახორციელეს ან შეეძლოთ განეხორციელებინათ ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოებს; საბჭოთა მთავრობა ემყარება ამ უფლებას და ამიტომ მან წინასწარ უნდა გაუკეთოს რამდენიმე შენიშვნა თავის დამოკიდებულებას თვით ხელშეკრულებისადმი.

5) საბჭოთა მთავრობა პირველ ყოვლისა უღრმეს სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ პარიზის ხელშეკრულებაში არ არის არავითარი ვალდებულება განიარაღების მხრივ. საბჭოთა დელეგაციას უკვე შემთხვევა ჰქონდა განეცხადებინა მოსამზადებელ კომისიაში, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საქმეში შედეგის გამოღება შეუძლია მხოლოდ ომის ამკრძალავი ხელშეკრულების დაკავშირებას სრულ საყოველთაო განიარაღებასთან, „ომის ამკრძალავი" საერთაშორისო ხელშეკრულება დარჩება ყოველგვარ რეალურ შინაარსს მოკლებულ ცალიერ სიტყვად, თუ მას თან არა სდევს თუნდაც ისეთი ელემენტარული გარანტია, როგორც არის შეუჩერებელი შეიარაღების შეზღუდვა. ამას ადასტურებს ის გარემოება რომ პარიზის ხელშეკრულების დადების შემდეგ მისმა ზოგიერთმა მონაწილემ საჯაროდ განაცხადა: შეიარაღებათა შემდგომი ზრდა აუცილებელიაო. ეს დებულება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადეს ამავე ხანებში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, მეტადრე საზღვაო შეიარაღებათა საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ, შექმნილი მდგომარეობა ამჟამად უფრო მეტად გვიკარნახებს, ვიდრე ოდესმე, გადამწყვეტი ზომების მიღების საჭიროებას შეიარაღების დარგში.

6) საბჭოთა მთავრობა ხელშეკრულების ტექსტის შესახებ საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ პირველ მუხლში საკმაოდ ნათლად და მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ომის აკრძალვის ფორმულა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვანაირი გაგებისათვის. საბჭოთა მთავრობა თავის მხრით ფიქრობს, რომ აკრძალულ უნდა იქნას ყოველგვარი საერთაშორისო ომი, როგორც ეგრედწოდებული „ნაციონალური პოლიტიკის" იარაღი და როგორც, აგრეთვე, სხვა მიზნებისათვის გამოსაყენებელი საშუალებაც (მაგალითად გამანთავისუფლებელ ხალხურ მოძრაობათა ჩაქრობის მიზნებისათვის). საბჭ. მთავრობის აზრით. აკრძალულ უნდა იქნას არა მარტო ომები ამ სიტყვის ფორმალურ - იურიდიული აზრით (ე. ი. რომლებიც გულისხმობენ ომის „გამოცხადებას"), არამედ ისეთი სამხედრო მოქმედებანიც, როგორიცაა, მაგალითად, ინტერვენცია, ბლოკადა და სხვისი ტერიტორიისა და სხვისი ნავთსადგურების სამხედრო ოკუპაცია. უკანასკნელი წლების ისტორიიდან ჩვენ ვიცით ბევრი ასეთი სამხედრო მოქმედება, რომელმაც უდიდესი უბედურება მოუტანა ხალხებს. თვით საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენენ ასეთი თავდასხმის ობიექტს და ახლა ასეთი თავდასხმისაგან შევიწროებულია ოთხას მილიონიანი ჩინელი ხალხი. კიდევ მეტი: ასეთი სამხედრო მოქმედება ხშირად დიდ ომად იქცევა, რომლის შეჩერება უკვე ყოვლად შეუძლებელია. მშვიდობიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ხელშეკრულება გვერდს უქცევს.

შემდეგ, ხელშეკრულების იმავე პირველ მუხლში ნათქვამია, რომ საჭიროა ყველა საერთაშორისო დავა და კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაიჭრასო. საბჭოთა მთავრობა ამის გამო ჰფიქრობს, რომ ხელშეკრულებით აკრძალულ არა მშვიდობიან საშუალებებს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, უარის თქმა მშვიდობიანი ნორმალური ურთიერთობის აღდგენაზე ან ამ ურთიერთობის შეწყვეტა ხალხთა შორის; ასეთი მოქმედება ნიშნავს დავის გადაჭრის მშვიდობიან საშუალებათა უარყოფას, ამწვავებს ურთიერთობას და ჰქმნის ისეთ ატმოსფერას, რომელიც ხელს უწყობს ომის წარმოშობას.

7) ხელშეკრულების პირვანდელ მონაწილეთა შორის გამართულ დიპლომატიურ მიწერ-მოწერაში შეტანილ შენიშვნებიდან საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრიტანეთის მთავრობის შენიშვნა მის 10 მაისის ნოტის მე-10 მუხლში. ამ შენიშვნის ძალით, ბრიტანეთის მთავრობა მოქმედების თავისუფლებას იტოვებს სხვადასხვა ქვეყნების მიმართ რომლებსაც სპეციალურად არც კი ჩამოსთვლის. თუ ლაპარაკია ბრიტანეთის იმპერიის ან მისი დომინიონების შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებზე, ისინი უკვე შეტანილნი არიან ხელშეკრულებაში, მათზე თავდასხმის შემთხვევას ითვალისწინებს ხელშეკრულება და, ამგვარად, ბრიტანეთის მთავრობის შენიშვნა მათ შესახებ ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. ხოლო თუ ბრიტანეთის მთავრობას მხედველობაში ჰყავს სხვა ქვეყნები, მაშინ ხელშეკრულების მონაწილეებს უფლება აქვთ ზედმიწევნით იცოდნენ, თუ სად იწყება ბრიტანეთის მთავრობის მოქმედების თავისუფლება და სად თავდება იგი. ბრიტანეთის მთავრობა ამ ქვეყნების მიმართ მოქმედების თავისუფლებას იტოვებს მაშინაც კი, თუ ეს ქვეყნები რაიმე „არამეგობრულ" აქტს გამოიჩენენ ან ეგრედწოდებულ „ჩარევას" ეცდებიან; ამასთანავე, იგი, უეჭველია, უფლებას იტოვებს განსაზღვროს, თუ რა ითვლება „არამეგობრულ" აქტად ან „ჩარევად", რომლებიც საბუთს მისცემენ ბრიტანეთის მთავრობას, რომ სამხედრო მოქმედება დაიწყოს. მისი ასეთი უფლების ცნობა ომის გამართლებას ნიშნავს და შეიძლება გადამდებ მაგალითად გახდეს ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეთათვის, რომელნიც, თანასწორობის პრინციპის ძალით მიითვისებდნენ ასეთივე უფლებას სხვა ქვეყნების მიმართ, და ბოლოს შესაძლებელია მთელ დედამიწის ზურგზე არ დარჩეს არც ერთი ადგილი, რომლის მიმართაც დასაშვები იქნება ხელშეკრულების შეფარდება. მართლაც, ბრიტანეთის მთავრობის შენიშვნა შეიცავს მოწოდებას ხელშეკრულების მეორე მონაწილესადმი, გამორიცხოს ხელშეკრულების მოქმედების სფეროდან სხვა ქვეყნებიც. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ ჩასთვალოს ეს შენიშვნა როგორც ცდა ხელშეკრულების გამოყენებისა იმპერიალისტურ პოლიტიკის იარაღად. მაგრამ, ბრიტანეთის მთავრობის ზემოაღნიშნული ნოტა არ გადაუციათ საბჭოთა მთავრობისათვის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილის ან მისი დამატების სახით, ამიტომ იგი არ შეიძლება სავალდებულოდ ჩაითვალოს საბჭოთა მთავრობისათვის, როგორც არაა სავალდებულო მისთვის სხვა შენიშვნები, რომლებსაც შეიცავს დიპლომატიური მიწერ-მოწერა ხელშეკრულების შესახებ მის პირველ მონაწილეთა შორის. ასევე არ შეუძლია საბჭოთა მთავრობას დაეთანხმოს ყველა სხვა შენიშვნას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ომის გასამართლებლად, კერძოდ, აღნიშნულ მიწერ-მოწერაში გაკეთებულ შენიშვნებს ხელშეკრულების მოქმედების სფეროდან ისეთ გადაწყვეტილებათა გამორიცხვის შესახებ, რომელნიც ერთა ლიგის სტატუტისა და ლოკარნოს შეთანხმებიდან გამომდინარეობენ.

8) ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაში არ მოიპოვება ვალდებულებანი განიარაღების მხრივ, რომელიც მშვიდობიანობის გარანტიის ერთად-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენდეს, რომ ომის აკრძალვის ფორმულა ვერ არის საკმაოდ სრული და ნათელი, რომ ხელშეკრულებაში ბევრია ისეთი შენიშვნა, რომლის მიზანია წინასწარ გამორიცხოს რაიმე მსგავსი ასეთი ვალდებულებისა მშვიდობიანობის საქმისადმი.

მიუხედავად ამისა, იმდენად, რამდენადაც პარიზის ხელშეკრულება ობიექტიურად აკისრებს სახელმწიფოებს განსაზღვრულ ვალდებულებებს საზოგადოებრივი აზრის წინაშე და აძლევს საბჭოთა მთავრობას ახალ შესაძლებლობას ხელ-ახლად დასვას ხელშეკრულების ყველა მონაწილეს წინაშე მშვიდობიანობის საქმისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი—საკითხი განიარაღების შესახებ, რომლის გადაჭრა ერთად-ერთ გარანტიას წარმოადგენს ომის თავიდან ასაცილებლად, საბჭოთა მთავრობა თანხმობას აცხადებს პარიზის ხელშეკრულების ხელის მოწერაზე.

ზემოაღნიშნულის თანახმად, პატივი მექნება გადმოგცეთ თქვენ, ბატონო ელჩო, ჩემი მთავრობის სათანადო აქტი ხელშეკრულებისადმი შეერთების შესახებ, როგორც კი იქნება შესრულებული შესაფერი ფორმალური მხარე.

მიიღეთ, ბატონო ელჩო, ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

**გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის
თანამდებობის დროებითი ამსრულებელი ლიტვინოვი.**

ლიტვინოვის დეპეშამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა

ჟენევა, 30 აგვისტო. ლიტვინოვის დეპეშამ იმ მიზეზების შესახებ, რომლების გამოც საბჭოთა კავშირი მონაწილეობას არ იღებს იარაღის წარმოებაზე კანტროლის გამწევ სპეციალურ კომისიაში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომისიის მონაწილეებზე და ერთა ლიგის წრეებზე. ხსენებული დეპეშა მიღებულ იქნა იმ დროს, როდესაც გამოირკვა, რომ კომისიის მუშაობა უშედეგოდ ჩაივლის.

30 აგვისტოს სალამოთი მოხდება კომისიის უკანასკნელი სხდომა, რომელიც ერთა ლიგის საბჭოს გადასაწყვეტად წარუდგენს საკითხს იმის შესახებ, რამდენად მიზანშეწონილია კონფერენციის მოწვევა იარაღის წარმოებაზე კანტროლის გაწევის საკითხის განსახილველად. (ადს).

შვეციის და საბჭ. კავშ. ქაღალდის მრეწველობის მუშათა მთლიანობის კომიტეტის შექმნა

მოსკოვი, 31 აგვისტო. მოსკოვში დაბრუნდა ქაღალდის მრეწველობის მუშათა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის წევრი ამხ. ჟურავსკი, რომელიც დაესწრო შვეციის ქაღალდის მრეწველობის მუშათა კონგრესს გევლეში (შვეცია). კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ქაღალდის მრეწველობის 30.000 მუშის წარმომადგენელი—226 დელეგატი. კონგრესმა, სხვათა შორის, სპეციალურად განიხილა შვეციის და საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველობის მუშათა მთლიანობის კომიტეტის შექმნის საკითხი. ამ კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდა შვეციის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი იუგანსონი, რომელიც ემყარებოდა ამსტერდამის პროფკავშირთა მოღვაწეობის მიერ არა ერთხელ გამოთქმულ მოსაზრებებს იმის შესახებ, ვითომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს არ სურთ მთლიანობის განხორციელება. ამხ. ჟურავსკის გამოსვლას, რომელმაც მრავალი ფაქტით უარჰყო იუგანსონის მოსაზრებანი, მხურვალე ტაშით შეხვდა კონგრესის დელეგატების მნიშვნელოვანი ნაწილი. კენჭის ყრის დროს მთლიანობის კომიტეტის შექმნას ხმა მისცა კონგრესის 94 დელეგატმა, ე. ი. კონგრესის მთელი შემადგენლობის თითქმის ნახევარმა (ადს).

სარატიფიკაციო სიგელები

მოსკოვი, 31 აგვისტო. ესტონეთის ელჩმა სელიომაამ და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობის ამსრულებელმა ამხ. ალექსანდროვსკიმ ერთმანეთს გადასცეს საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის დადებული შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელები. ეს შეთანხმება შეეხება საქონლის საფაბრიკო ნიშნების დაცვას. შეთანხმება დადებულ იქნა ტალინში 1928 წლის 3 მარტს. (ადს).

ინდოეთი დომინიონის უფლებებს მოითხოვს

ლონდონი, 30 აგვისტო. ლუკნოუდან რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინდოეთის პარტიების წარმომადგენელთა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ინდოეთისათვის დომინიონის უფლებების მინიჭებას" (ადს).

კელოგის ხელშეკრულებას კვლავ უერთდებიან

ვაშინგტონი, 30 აგვისტო. პერუ და ლიბერია შეუერთდნენ კელოგის ხელშეკრულებას. დანიამ, ბოლივიამ, ავსტრიამ, კუბამ და სან-დომინგომ აუწყეს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მათ განზრახული აქვთ შეუერთდნენ ხელშეკრულებას უახლოეს მომავალში (ადს).

„დეილი ჰერალდი" ხიკსის დანაშაულის შესახებ

ლონდონი, 30 აგვისტო. „დეილი ჰერალდ"-მა მოათავსა მოწინავე წერილი ახლახან გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობების შესახებ, რომლებიც აღნიშნავენ საბჭოთა დანაკვეთების თვალსაჩინო ზრდას ინგლისის მრეწველობაში. გაზეთი სწერს: არკოზე თავდასხმით ხიკსმა დანაშაული ჩაიდინა არა მარტო საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, არამედ ინგლისის მრეწველობის ინტერესების თვალსაზრისითაც.

„საბჭოთა კავშირს,—განაგრძობს გაზეთი,—თავისი საჭიროებანი შეუძლია დაიკმაყოფილოს იქ, სადაც მოისურვებს. ამავე დროს უმუშევრობამ ინგლისში საკმაოდ სერიოზული ხასიათი მიიღო. ჩვენ იმედს ვერ ვიქონიებთ, რომ ბოლდუინი და მისი კოლეგები შეიგნებენ თავიანთ შეცდომას და აღადგენენ დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან. ამისათვის საჭიროა, რომ ძალაუფლება მუშათა მთავრობის ხელში იყოს". (ადს).

ამუნდსენის ექსპედიციის გარშემო

ხმები „ლატამ"-ის ნამსხვრევების პოვნის შესახებ

ოსლო, 30 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

გაზეთმა „აფტენპოსტენ"-მა მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბარსტადიდან გადმოცემული ხმების მიხედვით, ვესტერაალენის კუნძულების მახლობლად იპოვეს ნამსხვრევები აეროპლანის „ლატამ"-ისა, რომელზედაც გაფრინდნენ ამუნდსენი, გილბო და დიტრიხსენი. ეს ხმები ჯერ-ჯერობით არ დადასტურებულა.

პოლიარული ქვეყნების ცნობილმა მკვლევარმა ხელმა განაცხადა: ძნელი დასაჯერებელია, რომ „ლატამ"-ის ნამსხვრევები წყალს ვესტერაალენისაკენ წაეღოს, რადგან ზღვის მდინარება წინააღმდეგი მხრისაკენ მიიმართებაო.

კაპიტანმა ოტომ განაცხადა: „თუ ეს ნამსხვრევები მართლა „ლატამ"-ისაა, მაშინ, აეროპლანი ზღვის მდინარებას ძალიან ახლო მოუტანია ნორვეგიის სანაპიროებთან". (ადს).

სალამი „კრასინს"
ყინულის მჭრელი „კრასინი",

30 აგვისტო. 30 აგვისტოს მოვედით ხაროვადის რეიდზე. ყინულის მჭრელზე გამოცხადდა ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციების დელეგაცია, რომელიც მიესალმა მთელ მსოფლიოში პირველი პროლეტარული რესპუბლიკის ექსპედიციას და უსურვა მუშაობაში სრული გამარჯვება. (ადს).

„ხობი ძებნას განაგრძობს"

ოსლო, 30 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„საზღვაო სამინისტროს ცნობით, გემმა „ხობიმ" გამოიკვლია კუნძული ვიქტორია, სადაც ექსპედიციის კვალიც კი არ აღმოჩნდა. „ხობი" ამჟამად განაგრძობს ძებნას ფრანც იოსების მიწის რაიონში". (ადს).

ხმები „ლატამ"-ის პოვნის შესახებ არ მართლდება

ოსლო, 30 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ხმები „ლატამ"-ის ნამსხვრევების პოვნის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რეინის ოლქის განთავისუფლების საკითხი და ერთა ლიგა

მოსკოვი, 31 აგვისტო. გაზეთ „იზვესტია"-ს საკუთარი ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი გადმოგვცემს შემდეგს:

როგორც იტყობინებიან მმართველ წრეებთან დაახლოვებული პირები, გერმანიის მთავრობა ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ რეინის ოლქის დაცლის საკითხი გახდეს ოფიციალური მსჯელობის საგნად ერთა ლიგის ჟენევის სესიაზე. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ერთა ლიგა განიხილავს რეინის დაცლის საკითხს.

ლენინზე თავდასხმის ათი წლის თავი

მოსკოვი, 31 აგვისტო. იმ ადგილზე, სადაც 1918 წელს ლენინს თავს დაესხა ესერი ქალი კაპლანი, შესდგა მოსკოვის პროლეტარიატის მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე თავი მოიყარა მუშებმა მოსკოვის ყველა რაიონებიდან.

ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს მოსკოვის პარტორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკებმა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის მუშა ივანოვის სიტყვამ. ივანოვი უველაზე უმალ მიეშველა დაჭრილ ლენინს. ის პირველყოვლისა დაედევნა თავდამსხმელს და შესძლო შეიარაღებულ ტერორისტის დაპატიმრება.

მიტინგს დაესწრენ აგრეთვე დელეგატები კომინტერნის ინტერნაციონალის კონგრესიდან.

თითო კაცზე 94 მანეთი

მოსკოვი, 31 აგვისტო. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე ხელის მოწერის კამპანია მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში განსაკუთრებით ფართე ხასიათს ღებულობს. ჯერ-ჯერობით მოსკოვში ობლიგაციებზე ხელი მოაწერა 230 ათას მუშა-მოსამსახურემ. სულ ქალაქ მოსკოვში ამხანად გასაღებულია 21 მილიონი მანეთის ობლიგაცია, რაიც თითო კაცზე უდრის 94 მანეთს.

მოსკოვის პროფესიონალურ კავშირების საგუბერნიო საბჭოს ეს მიღწევები საკმაოდ არ მიაჩნია და მოუწოდებს ცალკე პროფესიონალურ კავშირების საგუბერნიო განყოფილებებს გააძლიერონ მუშაობა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გავრცელებისათვის.

ახალი დიდი აეროპორტი

მოსკოვი, 31 აგვისტო. ამ დღეებში დამტკიცებულ იქნა დიდი აეროპორტის პროექტი. აეროპორტი აშენებულ იქნება ხოდინკის მინდვრებზე და დაიჭერს 6.000 კვადრატიულ მეტრს.

აეროპორტის აშენება დიდათ შეუწყობს ხელს საჰაერო მიმოსვლის გაძლიერებას საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა პუნქტებს შორის. მუშაობა პორტის ასაგებად დაიწყება მომავალ წელში.

გერმანია მზადაა განაახლოს ეკონომიური მოლაპარაკება საბჭ. კავშირთან

მოლაპარაკება დაიწყება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში

გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია

მოლაპარაკების განახლება

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის

ბერლინი, 30 აგვისტო. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტით აცნობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას, რომ იგი პრინციპიალურად მზად არის დაიწყოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირის და გერმანიის იმ ეკონომიურ მოლაპარაკების განახლების დროსა და პროგრამის შესახებ, რომელიც ერთ დროს შეწყვეტილ იქნა. მოლაპარაკებას მიზნად აქვს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის სამეურნეო ბრუნვის გაადვილება.

ნოტაში აღნიშნულია, რომ გერმანიის წარმომადგენლებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეუძლიათ დაიწყონ დაახლოვებით ოქტომბრის დამლევს. (ადს).

ვოლფის სააგენტო ცნობა

ბერლინი, 30 აგვისტო. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„საბჭოთა კავშირის მთავრობასთან შეთანხმებით, საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის ეკონომიური მოლაპარაკების განახლება განზრახულია სექტემბრის დამლევს. ამ მოლაპარაკებას, რომელიც თავის დროზე დაწყებულ იქნა გერმანიის ინიციატივით, მიზნად აქვს გრემანიის და საბჭოთა კავშირის სამეურნეო ურთიერთობის განვითარება. (ადს).

ჯავშნოსანის აგების გარშემო

განსაკუთრებული წარმა ტება

ბერლინი, 30 აგვისტო. დაიწყო ხელის მოწერა წინადადებაზე, რომ ჯავშნოსანის აგების საკითხი საერთო კენჭის ყრით გადასწყდეს. ამ პირველმა ნაბიჯმა, რომელიც გადადგმული იქნა ვედინგის რაიონში, წარმატებით ჩაიარა. ორი საათის განმავლობაში, 5.000 კაცის ნაცვლად (ამდენი იყო საჭირო) ხელი მოაწერა 38.000 კაცმა. ხელის მოწერის შემკრებლებს, რომელნიც კარდაკარ დადიოდნენ, მუშები თანაგრძნობით ხვდებოდნენ. იმ შენობების წინ, სადაც ხელის მოწერას აგროვებდნენ, გაიმართა ხელის მომწერის მსურველთა დიდი რიგები. (ადს).

„პატრიოტიზმის“ ნიღაბ ქვეშ

ლონდონი, 30 აგვისტო. როგორც აღნიშნული იყო, ავტობუსთა საზოგადოებამ ლონდონში, ბოლდუინის მომართვის პასუხად 17 უმუშევარი მიიღო. ამასთან დაკავშირებით, მუშათა პრესა სწერს, რომ ამ საზოგადოების ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეებს შორის ადგილი აქვს კონფლიქტს, რომელიც გამოიწვია მუშათა მოთხოვნამ—გადიდებულ იქნას ხელფასი. პრესა შიშს გამოსთქვამს, რომ ამხანაგობამ შეიძლება უმუშევართა შრომა გამოიყენოს იმისთვის, რომ მუშებს უარი ათქმევინოს „მეტად დიდ მოთხოვნაზე“ და დაითხოვოს ზოგიერთი მუშა, რომელიც ადმინისტრაციას არ მოსწონს.

პრესა აღნიშნავს, რომ მრეწველები „პატრიოტიზმის“ საბაბით, იმ საბაბით, ვითომ უმუშევრებს ეხმარებიან, შეეცდებიან გააუარესონ მუშების მდგომარეობა, ე. ი. მუშებს უმუშევრებით შეცვლიან (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჟენევა, 30 აგვისტო. 30 აგვისტოს გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია. პირველ სხდომაზე ირჩეოდა მეორე ხარისხოვანი საკითხები. სხვათა შორის, საბჭომ განიხილა იტალიის მთავრობის მიერ წარდგენილი აღმზრდელობითი კინემატოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტის წესდების პროექტი. ეს ინსტიტუტი რომში უნდა დაარსდეს. ალბერტ ტომამ მოითხოვა, რომ ინსტიტუტის მმართველობაში ჩაბმულ იქნას შრომის საერთაშორისო ბიურო. პოლემიკის დროს იტალიის წარმომადგენელმა შიალოიამ სთხოვა ტომას, მეორედ ინახულოს რომი, თან სთქვა—ტომას იქ დიდის სიამოვნებით შეხვდებიანო. ამან სიცილი გამოიწვია, და ტომა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ უხერხულობიდან გამოსასვლელად ტომამ განაცხადა: „ყოველთვის მზადა ვარ მოვიდე რომში, თუ ამას მუშათა ინტერესები მოითხოვენო“.

როგორც კამათის მსვლელობიდან და კონინსტიტუტის ადმინისტრატიულ საბჭოში შრომის ბიუროს მონაწილეობის შესახებ (სათათბირო ხმით), ტომა შიალოიასთან მივიდა და მაგრად ჩამოართვა ხელი. (ადს).

გერმანიის დელეგაციის გამგზავრება

ბერლინი, 30 აგვისტო. ჟენევაში მიმავალი გერმანიის დელეგაცია, რომელსაც შუბერტი მეთაურობს, გუშინ ბადენ-ბადენში მივიდა, სადაც შეხვდა პარიზიდან ჩამოსულ შტრეზემანს. მოხდა ხანგრძლივი თათბირი შტრეზემანსა და დელეგაციას შორის ერთა ლიგის საბჭოს მომავალი სესიის გამო. შემდეგ დელეგაცია ჟენევაში გაემგზავრა (ადს).

იარაღის წარმოების კონტროლის კონვენციის შემმუშავებელი კომისიის მუშაობა უშედეგოთ დამთავრდა

ჟენევა, 30 აგვისტო. იარაღის კერძო წარმოების კონტროლის კონვენციის შემმუშავებელი და სამხედრო პროდუქციის ცნობათა გამომქვეყნებელი კომისიის მეორე სესია დასრულდა სამი დღის უნაყოფო კამათის შემდეგ. სესიამ ერთა ლიგისათვის წარსადგენად მიიღო მოხსენება, რომელიც აღნიშნავს, რომ შეუძლებელია საბჭოს წარედგინოს კონვენციის მთლიანი ტექსტი, რადგან არსებობს არსებითი უთანხმოებანი. უთანხმოებამ თავი იჩინა კონვენციის ყველა მუხლის გარშემო. სესიის თავმჯდომარეს ბერნსტორფს (გერმანია) მხოლოდ იმ იმედის გამოთქმაღა დარჩა, რომ „ლიგის პლენუმზე მოხერხდება საკითხის დაძვრა ადგილიდან“-ო.

კომისიის წევრებს ოფიციალურად არ უუწყებიათ ლიტვინოვის დეპეშა ერთა ლიგის მდივნისადმი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი უარს აცხადებს მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში.

კომისიამ ერთხმად მიიღო რუმინეთის წინადადება, რომ კონვენციაში დამოუკიდებელ მუხლად იქნას შეტანილი შენიშვნა საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოების შესახებ. შენიშვნის თანახმად მოსაზღვრე სახელმწიფოებს არ ეხებათ კონვენციის რამდენიმე მუხლი, რომლებიც ზედმიწევნით არ იქნება ნაჩვენები, ვიდრე კონვენციას ხელს არ მოაწერს საბჭოთა კავშირი.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს გერმანიის დელეგაციის გავლენიანმა წევრმა შენიშვნის გამო განაცხადა, რომ ამ წინადადების ერთხმად მიღება, მისი აზრით, სრულებითაც არ ნიშნავს საყოველთაო თანხმობას საკითხის ასე დასმაზე და არსებითად შენიშვნის ფორმალურ რეგისტრაციას წარმოადგენს. იმავე გავლენიანი მოღვაწის სიტყვით, კომისიის მუშაობის უნაყოფობის მთავარი მიზეზია იმ ქვეყნების წინააღმდეგობა, რომელნიც იარაღს ამზადებენ და არ სურთ ცნობების მიწოდება ამ წარმოების რაოდენობის შესახებ.

როგორც კამათის მსვლელობიდან და კონვენციის განხილვის დროს შეტანილ შენიშვნებიდან ჩანს, კომისიის მუშაობის შემფერხებელი ქვეყნების სათავეში სდგას ინგლისი, რომელსაც არ სურს სამხედრო წარმოების, მეტადრე სამხედრო სახელმწიფოების რიგი წარმოების რაოდენობის გამომჟღავნება. დიდი სახელმწიფოების სხვადასხვა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ უფლება არა აქვთ დასთანხმდნენ კონვენციაში იმ მუხლის შეტანაზე, რომელიც შეეხება ერთმანეთისათვის ინფორმაციის მიწოდებას ფლოტის საარტილერიო შეიარაღების, ზარბაზნების რიცხვისა და ყალიბის, ხანძრის აპარატების რაოდენობის შესახებ და სხვა (ადს).

ინგლისელ მეზღვაურთა გვამების გადაცემა

ლენინგრადი, 31 აგვისტო. 30 აგვისტოს კრონშტადტის რეიდზე მოხდა 38 ინგლისელი მეზღვაურის გვამის გადაცემა. ეს გვამები, როგორც აღნიშნული იყო, აღმოჩნდნენ ინგლისის წყალქვეშა ნავზე „ლ-55“, რომელიც საბჭოთა ნაღმოსანმა ჩაძირა 1919 წელს, როცა ინგლისის ესკადრა თავს დაესხა კრონშტადტს. გადაცემის აქტზე ხელის მოსაწერად კრონშტადტში ჩამოვიდნენ: გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის სააგენტოს წარმომადგენელი ლენინგრადში ამხ. იანოვსკი და ნორვეგიის კონსული ლენინგრადში პლატოუ. კუბოები, რომელშიაც ნეშტები ასვენია, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საზღვაო სარდლობის დავალებით, გადასცა სამხედრო ნავთსადგურის უფროსმა ამხ. პროშკინმა. კუბოები გატანილ იქნენ გემ „ტრურო“-ბაქანზე, რომელიც ინგლისის სარდლობამ სპეციალურად დაიქირავა ამ გვამების გადასატანად. გარდა 38 გვამისა, გადაცემულ იქნა სამი კალათა, რომლებშიაც დაღუპულ ინგლისელ მეზღვაურთა პირადი ნივთებია. „ტრურო“ ამის შემდეგ ზღვაში გავიდა. (ადს).

საჰაერო მიმოსვლა ბერლინსა და ირკუტსკს შუა

კრასნოიარსკი, 31 აგვისტო. 30 აგვისტოს ლიუფტ განზას აეროპლანი გაფრინდა კრასნოიარსკიდან ირკუტსკის მიმართულებით და იმავე დღეს კრასნოიარსკში დაბრუნდა. 31 აგვისტოს აეროპლანი გაფრინდა დასავლეთისაკენ. აეროპლანს განზრახული აქვს გაიფრინდეს ნოვოსიბირსკში, კურგანში და მოსკოვში.

მთელი გზა ბერლინიდან ირკუტსკამდე აეროპლანმა გაიარა 37 საათის განმავლობაში.

ამრიგად, გაიმართა საჰაერო საფოსტო-სამგზავრო და საბარგო მიმოსვლა ბერლინსა და ირკუტსკს შუა.

მორიგ ამოცანას წარმოადგენს გზის გაგრძელება ვლადივოსტოკამდე. აგრეთვე პეკინსა და ტოკიომდე. (ადს).

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს ბრძანება

მოსკოვი, 31 აგვისტო. გამოქვეყნდა რევ. სამხედრო საბჭოს ბრძანება სამხედრო სკოლების მიერ ახალი კადრების გამოშვებისა და მათი წითელი არმიის რიგებში მეთაურებად შესვლის გამო.

„მასწავლებელ-აღმზრდელთ და ჯარის ნაწილის წინამძღოლის მოვალეობა მოითხოვს მეთაურისაგან, რომ მან საუკეთესო მაგალითი უჩვენოს სხვებს როგორც სამხედრო სამსახურის შესრულებაში, ისე დისციპლინის დაცვასა და ყოფა-ცხოვრებაში. მუშურ-გლეხურ წითელ-დროშოვანი არმიის მეთაურს, სადაც არ უნდა იყოს იგი—ყაზარმაში თუ საზოგადოებრივ ადგილას— ისე უნდა ეჭიროს თავი, რომ არც ერთი მისი საქციელი სათაკილო არ იყოს იმ არმიისათვის, სადაც ს მსახურებს. რევოლიუციონური სამხედრო საბჭო, ულოცავს რა ახლად დამთავრებულებს მეთაურის დიდ წოდებას, დარწმუნებულია, რომ ისინი სამაგალითო ყოფა-ქცევით და დისციპლინის დაცვით სამხედრო სამსახურის შესრულების დროს, დაუღალაობით და ენერგიით წითელარმიელთა სწავლა-აღზრდაში, ერთგულებით კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ყურადღების და მზრუნველობის გამოჩენით წითელარმიელთა მიმართ სავსებით გაამართლებენ იმ დიდ ნდობას, რომელიც გამოიხატა მათი დანიშვნით მშრომელთა პირველი არმიის მეთაურებად. რევ. სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა მეთაურები იმ მომენტში, როცა დადგება კლასობრივ მტრებთან გამკლავების საათი, უზრუნველყოფენ წითელი არმიის გამარჯვებას“. (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნის მეხუთე კონგრესი

ამხ. გორკიჩის მოხსენება

მოსკოვი, 31 აგვისტო. ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესის დილის სხდომაზე ამხ. გორკიჩმა გააკეთა მოხსენება ახალგაზრდ. კომინტერნის აღმასკომის საორგანიზაციო ანგარიშის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომკავშირის რიცხვი უმთავრესად იზრდება შვეციაში, საბერძნეთში, ამერიკაში, მექსიკაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. ისეთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიც არის მაგ. გერმანია და საფრანგეთი, კომკავშირის შემადგენლობა სტაბილურია. ბევრ სექციაში ჩვენ გვყავს ორგანიზაციის პასიური წევრები. შემადგენლობის ძლიერი ცვალებადობა აიხსნება ბურჟუაზიის დევნით და აგრეთვე იმით, რომ ჩვენ არ ვღებულობთ სათანადო ზომებს, რათა დავაინტერესოთ ახალგაზრდობა ჩვენს ორგანიზაციაში ყოფნით. ახალგ. კომინტერნის მე-4 კონგრესის შემდეგ ახალი სექციები დაარსდა ავსტრალიაში, ინდოეთში, პალესტინაში, სამხრეთ-აფრიკაში, სპარსეთში, გონდურასში და სან-სალვადორში. საინიციატივო ჯგუფი დაარსდა ინდოეთში. მაგრამ მრავალ ქვეყანაში სადაც კომპარტიები არსებობენ, კომკავშირითა ორგანიზაციები ჯერ არ არის დაარსებული. კავშირების უშუალო ხელმძღვანელობის გასაადვილებლად, მოეწყო ბალკანეთის და სკანდინავიის სამდივნოები და დასავლეთ-ევროპის, სამხრეთ-ამერიკის და შორეულ აღმოსავლეთის ბიუროები. კავშირების დამოკიდებულება პარტიასთან მეტ წილად დამაკმაყოფილებელი არ არის. პარტიები კავშირებს არ უზიარებენ თავიანთ დიდ გამოცდილებას. კავშირებმა მომავალში თავი უნდა დაანებონ იმის ლოდინს, თუ როდის მოვა დახმარება პარტიისაგან; მათ ხშირ-ხშირად უნდა დასვან თავიანთი პრობლემები პარტიულ ორგანიზაციებში და მოითხოვონ დახმარება და ხელისშეწყობა.

დაარსდა ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ცენტრალური ბიურო. 12 ქვეყანაში, მოეწყო პიონერთა რაზმები. აქტივისტების კადრები ახალგ. კომუნისტური ინტერნაციონალის სექციებში საკმაო არ არის. ახალგ. კომინტერნის დიდი ნაკლია ის, რომ მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. საბჭოთა კავშირის დიდ გამოცდილებასაც საკმაოდ არ იყენებენ ახალგ. კომინტერნის უცხოეთის სექციები. სათანადო სიმაღლეზე არ სდგას აგრეთვე შესრულების შემოწმება და ჯერ კიდევ არ არის განვითარებული თვითკრიტიკა. ყველა კავშირი უნდა ემზადოს მუშაობის არალეგალურ პირობებზე გადასასვლელად და შექმნას არალეგალური პრესა. საორგანიზაციო მუშაობის მთელი სისტემა უნდა შეიცვალოს იმ მხრივ, რომ ზოგადი ლოზუნგებიდან და დირექტივებიდან გადავიდეთ კონკრეტულ ამოცანებზე, აგრეთვე მუშაობის შაბლონური მეთოდებიდან, ახალ და ცოცხალ მუშა-ახალგაზრდობის დამაინტერესებელ ფორმებზე.

კონგრესის დილის სხდომაზე კონგრესს მიესალმა ბელორუსიის ახალგაზრდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დელეგაცია. დელეგაციის წარმომადგენელმა ამხ. პასტუხოვმა ახალგ. კომინტერნის კონგრესის დელეგატები მიიწვია ბელორუსიაში, ხოლო პოლონეთის კომკავშირს გადასცა დროშა.

საღამოთი გაიმართა საპროგრამო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. შიულერმა. (ადს).

ლაშევიჩის მდგომარეობა უიმედოა

ხარბინი, 30 აგვისტო. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს ლაშევიჩს მარჯვენა ფეხი მოსჭრეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა მეტად გაუარესდა. ექიმთა კონსილიუმმა შეუძლებლად სცნო ოპერაციის გაგრძელება. ავადმყოფის მდგომარეობა უიმედოა. (ადს).

მუშკორთა სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 30 აგვისტო. მუშკორთა მე-4 სრ. საკავშირო თათბირის მოწვევა განზრახულია 27 ნოემბრისათვის. ამის გამო დაინიშნა შემდეგი საბოლოო ვადები გაზეთებისა და ადგილობრივი კომისიების მიერ მასალის წარსადგენად ცენტრალურ საორგანიზაციო კომისიაში: არა უგვიანეს 15 სექტემბრისა წარდგენილ უნდა იქნას მთელი საანგარიშო მასალა; არა უგვიანეს 20 სექტემბრისა—პრაქტიკული წინადადებები იმ საკითხების შესახებ, რომელთა გამოც ცალკე რედაქციებს მიეცათ დავალებანი.

თათბირის მომწვევი ცენტრალური საორგანიზაციო კომისიის აზრით, საჭიროა გამოყენებულ იქნას თათბირამდე დარჩენილი დრო, რომ შესაძლებელი გახდეს მოსამზადებელი მუშაობის ფართოდ გაშლა. მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს საქმის ისე მომზადება, რომ გაუმჯობესებულ იქნენ კედლის გაზეთები და მუშკორთა მოძრაობა; უნდა მოხდეს ყველა კედლის გაზეთის და ყველა მუშკორის მობილიზაცია, რომ მათ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ნამდვილი დახმარება გაუწიონ მორიგ ამოცანების გადაჭრაში. (ადს).

1906 წლის გაწვევა და ჩვენი ამოცანები

დღეს არის 1906 წელში დაბადებულთა გაწვევის პირველი დღე.! მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ მორიგი გამოცდა უნდა ჩააბაროს— მან უნდა შეავსოს წითელი არმიის კადრები იმათ მაგივრათ, რომლებიც გაშვებულნი იქნებიან შემოდგომაზე.

წარსული წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდათა შერჩევის დროს ერთ-ერთი სერიოზული საკითხია შეღავათის მქონეთა სისწორით გამოაშკარავება. როგროც გაწვეულები, ისე ადგილობრივი ხელისუფლება, სამწუხაროდ, დღემდე ამას არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას. ამის გამო ხდებოდა ის, რომ არმიაში სამსახურის დროს ხშირად აღძრავდნენ ხოლმე ვადამდე განთავისუფლების საკითხს, რითაც ართულებდენ სამხედრო უწყების მუშაობას. შეღავათების გამოაშკარავების ვადა 1 ივლისისათვის უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ჩვენში, საქართველოში, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ჩატარებული ეს კამპანია. მომავალში, სამხედრო კომისარიატები და მიძღები კომისიები გაწვევის დროსაც მიიღებენ განცხადებებს შეღავათების მინიჭების შესახებ; ახალგაზრდობამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენონ ვადის გაგრძელება და დაგვეხმარონ შეღავათების სავსებით გამოაშკარავების საქმეში.

ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი კონტინგენტი საქართველოში საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო მეტად შევუმსუბუქოთ მშრომელ მოსახლეობას სავალდებულო სამხედრო სამსახური. „სავალდებულო სამხედრო სამსახურის“ შესახებ არსებული კანონის თანახმად სამხედრო ბეგრა ყველამ უნდა მოიხადოს. მაგრამ ახალგაზრდათა კადრების რესურსები საშუალებას გვაძლევს პირველი რიგის შეღავათის მქონენი (20 პროც. რომლებსაც სარჩენი ჰყავს 3 სული ან მეტი, და რომელთა უმრავლესობა ღარიბებია) ყოველწლიურად გავანთავისუფლოთ სამხედრო სამსახურისაგან საკადრო და ტერიტორიალურ ნაწილებში. ესეც ერთ-ერთ სერიოზულ დახმარებას წარმოადგენს გაწვეულთათვის, რომელთაც ეძლევა საშუალება სავსებით არ მოსწყდნენ თავიანთ მეურნეობას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ჯანსაღი კონტინგენტის შერჩევა. წარსული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჯეროვანად ვერ იყო დაყენებული შერჩევა ჯანმრთელობის მხრივ; ადგილი ჰქონდა განსაჩივრების ბევრ შემთხვევებს. წელს მიმღებმა კომისიებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ არმია უზრუნველყოფილ იქნას ჯანსაღი ახალგაზრდობის კადრებით.

როგორც ცნობილია, წითელარმიაში ადგილი არ აქვთ საარჩევნო უფლებამოკლებულებს (მღვდლების, კულაკების შვილებს და სხ.). მაგრამ ჩვენი სისტემის ტეხნიკურ ნაკლოვანების გამო საარჩევნო უფლებამოკლებულთა ნაწილი წინ'ედ მაინც ახერხებდა არმიაში შეძვრომას. იყო ასეთი კუროზები, რომ ერთ გასაწვევ წელში თბილისში 2—3 ათას გასაწვევზე ჯარში სამსახურის უფლება-მოკლებულთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 30—40 კაცს. ეს ციფრი რომ სავსებით სწორი არაა და შემთხვევითი, ეს ფაქტია. აქ დანაშაული უმეტეს ნაწილად ეკისრება ჩვენს ადმინისტრატიულ ორგანოებს ყოვლად დაუშვებელია, რომ ადმინისტრატიულ ორგანოებს არ ქონდეთ საარჩევნო უფლება - მოკლებულთა აღრიცხვა და ძირითადი სიები ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათომში; ეს სიები საჭიროა არა მარტო სამხედრო უწყებისათვის, არამედ თვით საბჭოთა ორგანოებისათვის საბჭოების არჩევნების დროს.

ადმინისტრატიული ორგანოები ეხლავე უნდა შეუდგნენ ამ საქმის მოგვარებას, რომ ეს სიები მზად იყოს ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის.

ეს მოგვცემს საშუალებას რომ არც ერთი კულაკის, მღვდლის, ვაჭრის და სხ. საარჩევნო უფლება მოკლებულთა შვილები არ შეუშვათ წითელი არმიის რიგებში.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას ეს საკითხი ჩვენში, სადაც ყოფილი თავადები, აზნაურები და სხ. ცხოვრების მიერ გარიყული ნაძირალები არ იღებენ ხელს თავის კლასობრივ პრინციპებზე და საკმაო გავლენას ახდენენ ჩვენს საზოგადოებრიობაზე. აუცილებელია მათ წინაშე აღვმართოთ ჯანსაღი საბჭოთა პროლეტარული ზღუდე საბჭოთა, ადმინისტრატიული და პარტიული ორგანოების სახით. ფართოდ უნდა განვავითაროთ მუშაობა და დავრაზმოთ საზოგადოებრივი აზრი რათა ვერც ერთმა ამ კატეგორიიდან ვერ შესძლოს წითელი არმიის რიგებში შეძვრომა.

გაწვევასთან დაკავშირებით მუშაობა უნდა გააჩაღოს კოოპერაციამაც; ახალ წვეულთა შეგროვების პუნქტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო საქონელით, რათა ღარიბი წვეული არ გახდეს კერძო ვაჭრის სპეკულიაციის ობიექტი.

დაბოლოს, სერიოზული საკითხია ამ კამპანიის პოლიტიკური მხარე. საჭიროა არა მარტო ის, რომ წვეულმა იცოდეს, თუ სად და რისთვის მიდის, საჭიროა აგრეთვე ისიც, რომ მან იგრძნოს ფართო საზოგადოებრივი ყურადღება თანაგრძნობა (გაცილება, დახმარება დარჩენილ ოჯახებს და სხ.), და ყოველივე ეს გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ მოსახლეობას განემარტოს წითელი არმიის მიზნები და ამოცანები.

აუცილებელია, არა პარტიულებმა და კომკავშირელებმა იკისრონ შესაკრებ პუნქტებზე დაუგვიანებლად ზეიმით და სრული შემადგენლობით გამოცხადების ინიციატივა.

სასტიკი ბრძოლა ლოთობისა და დებოშების წინააღმდეგ: ყოველი წვეული თავისი მოვალეობის შეგნებით უნდა წავიდეს მუშურ გლეხური წითელი არმიის განსამტკიცებლად.

ეს არის ახალგაზრდობის მორიგი შემოწმება და როგორც არა ერთხელ, ისე ეხლაც ამ გამოცდასაც ბრწყინვალედ დაიჭერს ის.

ტერიტორიალური სამმართველოს უფროსი **ს. გუაჩიძე.**

კიევის მანევრებზე

მოსკოვი, 31 აგვისტო. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა კიევის მანევრებზე გაგზავნოს ამხ.ამხ. ფიშმანი, პოპოვი და თავდაცვა-ავიაქიმის მოსკოვის ორგანიზაციის წარმომადგენელი. თავდაცვა-ავიაქიმი მანევრებში მონაწილეობას მიიღებს თავისი მოწყობილობებით, ამას გარდა, იგი მოაწყობს კიევის საჰაერო-ქიმიურ თავდაცვას (ადს).

სოციალური დაზღვევის

საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 31 აგვისტო. სრ. საკავშირო პროფკავშირთა საბჭოსთან მოხდა კავშირის 3. გ. თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა სოციალური დაზღვევის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის. სოციალური დაზღვევა ხარჯების საერთო თანხა 1928—29 წლისათვის ნავარაუდევია 1.300,000.000 მან. სულ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაზღვეული იქნება 10.255.000 მუშა და მოსამსახურე. ამას გარდა, მომავალ სამეურნეო წელს სოციალური დაზღვევა გავრცელდება დაახლოებით 400.000 მოჯამაგირეზე. საშუალო დასაზღვევ ტარიფად მრეწველობისათვის ნავარაუდევია 12,6 პრც. განზრახულია გადიდდეს დახმარება უმუშევართათვის საშუალოდ 16 მანეთამდე თვეში, ნაცვლად შარშანდელი 14 მან. 40 კაპეიკისა. დახმარებას უმუშევრობისათვის მიიღებს დაახლოებით 675.000 კაცი. მუშებისა და მოსამსახურეების საკურორტო სასანიტარო ხარჯად გათვალისწინებულია 30 მილიონ მანეთზე მეტი 1928—29 წელს პირველად იქნება შემოღებული უზრუნველყოფა მრეწველობისა და ტრანსპორტის მოხუც მუშებისა. მუშა კაცები დასაზღვევ უზრუნველყოფაზე გადაყვანილ იქნებიან 60 წლიდან, ხოლო მუშა-ქალები—55 წლიდან, იმ შემთხვევაში, თუ მათ 25 წლის სტაჟი ექნებათ. არსებული ცნობებით, საერთო რიცხვი იმ მოხუცი მუშებისა, რომელნიც პენსიაზე იქნებიან გადაყვანილი, უდრის 88.000 კაცს. (ადს).

სასკოლო კამპანია

სამხრეთ ოსეთში

ცხინვალი, 31 აგვისტო. სამხრეთ-ოსეთის განათლების კომისარიატი სოფლის საბჭოებთან ერთად ამზადებს სკოლების შენობებს საზამთროდ. სამხრეთ-ოსეთის სკოლებში რეგულიარული მეცადინეობა დაიწყება 17 სექტემბერს. სამხრეთ-ოსეთის განათლების კომისარიატმა ორწლიანი სამასწავლებლო კურსების წყალობით მასწავლებელთა შემადგენლობა ახალგაზრდა და მომზადებული კადრებით შეავსო. (ადს).

მანევრები გორის მაზრაში

სოფელ შინდისში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სოფ. შინდისი, სადაც დაბანაკებულია „წითლების“ რაზმი, დღეს წარმოადგენს სამხედრო ბანაკს. გზებზე ფუსფუსებენ წითელი არმიელები და მეთაურები. მოძრაობენ ფურგუნები, ისმის განკარგულება, სამხედრო სიმღერა.

სოფლის მთავარი მოედანი, აღმასკომის წინ დაფარულია თეთრი კარვებით. ლიახვის მარჯვენა ნაპირი უჭირავთ „წითლების“ სხვადასხვა ლეგიონებს.

ერთი დღეა, რაც რაზმი დაბანაკებულია სოფლად და გლეხებსა და წითელ არმიელთა შორის უკვე გაიბა მეგობრული კავშირი. ბაღებში ხილი ბლომად არის (შინდისი ეკუთვნის ხილის რაიონს, აქ მოდის საუკეთესო ხარისხის ვაშლები), ბაღები მეტ ნაწილად შემოუღობავია. მაგრამ წითელარმიელები ახლოსაც არ ეკარება ვაშლს, იგი პატივსა სცემს გლეხის შრომას. როცა მოესურვება ხილის ჭამა, არმიელი ყიდულობს პატარა ბავშებისაგან ვაშლს და აძლევს ოთხ ცალში ერთ შაურს.

სოფელში, აქა-იქ—შეგროვილნი არიან ჯგუფ-ჯგუფად გლეხები, შუაში სდგას არმიელი ან მეთაური, რომელიც ესაუბრება გლეხებს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიც არის: სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, წყლით სარგებლობა, მოსავლის საკითხი და მრავალი სხვა.

მამაკაცებთან ერთად ნახავთ ქალებსაც, რომელნიც ყურადღებით ისმენენ ლაპარაკს და ზოგჯერ მორცხვათ ჩაურთავენ თავის შენიშვნასაც.

აი საუბარი კოლექტიურ მეურნეობაზე.

— რა უყოთ შენი ჭირიმე—ამბობს გლეხი—მთავრობა გვეუბნება, რომ კოლექტივი კარგი რამეაო, სოფელი მოღონიერდებაო, მაგრამ ვერა ვართ გარკვეული ამ საქმეში. ვფიქრობთ დავაარსოთ კოლექტივი, მხოლოდ გვეშინიან იქნებ წავაგოთ. არც არავინ არის, რომ რიგიანად აგვიხსნას საქმის ვითარება.

ამხანაგები დაწვრილებით უხსნიან გლეხებს კოლექტივის ორგანიზაციის წესს, სარგებლობას, რომელიც მოაქვს კოლექტიურ მეურნეობას, მოჰყავთ მაგალითები. გლეხები კმაყოფილნი არიან ახსნა-განმარტებით. ისინი უკვე გაერკვიენ ამ საკითხში და სრული იმედია, რომ შინდისის გლეხობა აწონ-დაწონის ამ საქმის ყველა მხარეებს და შეკავშირდება კოლექტივში.

ერთი გარემოება იპყრობს უნებლიეთ ყურადღებას. გლეხობის დამოკიდებულება წითელ არმიასთან. გლეხობა წითელ არმიაში ხედავს არა მარტო შეიარაღებულ ძალას, რომელიც დაიცავს მას იარაღით, არამედ ისეთ ძალასაც, რომელიც დაეხმარება მას ცოდნითაც მის ყოველდღიურ მშვიდობიან მუშაობაში. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მანევრები, რადგან აქ წითელი არმიელები უშუალოდ იმყოფებიან გლეხობაში.

ს. შინდისს ახსოვს ბევრი ცუდი დრო: ნიკოლოზის მათრახები, ყაზახების თარეში, ეგზეკუციები, რომლების დროს უმოწყალოდ ნადგურდებოდა გლეხის ქონება და ილახებოდა მისი თავმოყვარეობა.

მოვიდა წითელი არმია. ძალადობის მაგივრად—მეგობრული დამოკიდებულება, რჩევა-დარიგების მიცემა, დახმარების აღმოჩენა.

— შვილო, სად არის თქვენი ექიმი, მინდა ბავშები გავასინჯო—ამბობს გლეხი ქალი.

ექიმი, თუმცა მას აუარებელი საქმე აქვს, გულმოდგინეთ სინჯავს ავადმყოფ ბავშებს.

გლეხობას კარგად აქვს შეგნებული წითელი არმიის ხასიათი და ამიტომ სრული ნდობით და სიყვარულით ეპყრობა მას.

ორიოდე სიტყვა სოფ. შინდისზე: სოფელი მოზრდილია, ითვლება შიგ 640-მდე კომლი. გლეხობა დიდად არის დაინტერესებული საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის საქმიანობით, ეტანება ყოველ ახალ წამოწყებას, მხოლოდ არ არის სოფლად მომზადებულ ამხანაგების კადრი, რომელიც განუმარტავს გლეხობას ყოველ საკითხს, რომელიც ეხება სოფლის საქმიანობას.

კამპანიები სოფლად ტარდება სუსტად.

ჯარში მორიგი გაწვევის ირგვლივ არავითარი კამპანია არ ყოფილა ჩატარებული.

„სოფელს ესაჭიროება დახმარება“— ამას ამბობენ წითელ ჯარში მომუშავე ამხანაგები.

ელ. ხუციშვილი.

ს. შინდისი,
29 აგვისტო.

მანევრების მსვლელობა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ს. შინდისში

გორის ბანაკიდან გასვლის შემდეგ, „წითლების“ რაზმი დაბანაკდა სოფ. შინდისში. აქ იგი ადგენს სამოქმედო გეგმას და ელოდება განკარგულებას მანევრების მთავარ ხელმძღვანელ აპარატისაგან. ჯერ კი რაზმს აქვს საკმაო დრო გაიცნოს გლეხობა და აწარმოოს სოფლად მუშაობა.

კავშირი გაბმულია

რაზმში შედის რამოდენიმე ცალკე ნაწილი, რომლებიც დაბანაკებული არიან მოშორებით ერთი მეორისაგან. ცენტრში იმყოფება ხელმძღვანელი შტაბი. საჭიროა კავშირის დაჭერა ნაწილებს შორის, რომ ყოველივე განკარგულება დროზე იქნეს გადაცემული და შესრულებული.

კავშირი თვალის დახამხამებაში იქნა გაბმული. საკავშიროელებმა მსწრაფლად გააბეს მავთული და აამუშავეს საველე სატელეფონო აპარატები.

წამდაუწუმ ისმის:

„1-ლი ათასეული. მიიღეთ ტელეფონოგრამა“.

„მე-2 ასეული. 14 საათზე დანიშნულია კრება, დასწრება სავალდებულოა“.

ამუშავდა რადიო-სადგურიც, რომელიც გზავნის ელექტრო ტალღებს ყოველ მხრივ.

სანიტარული რაზმი

ფართე მოედანზე, სოფლის შუა გულში აღმართულია წითელი ჯვრის დროშა. აქ დაბანაკებულია წითელი ჯვრის გორის განყოფილების სანიტარული რაზმი.

წითელი ჯვრის განყოფილებამ მანევრებში მონაწილეობის მისაღებად გამოჰყო სანიტართა ორი ჯგუფი: ერთი „წითლების“, მეორე კი „ლურჯების“ მხარისათვის.

„წითლების“ მხარის სანიტარული რაზმი შესდგება 16 კაცისაგან (აქედან $^{2}/_{3}$ ქალებია) მათ ახლავთ თავისი ექიმი.

სანიტარულ რაზმს უკვე ჰქონდა შემთხვევა გამოეჩინა თავისი ცოდნა: მან აღმოუჩინა რამდენჯერმე სასწრაფო დახმარება წითელ არმიელებს და გლეხებს.

აგიტ-ფურგუნი

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დროს აგიტ-ფურგუნს უკავია საპატიო ადგილი. რა არის „აგიტ-ფურგუნი“? ჩვეულებრივი ორთვალია უბრალო კედლებით. კედლები წარმოადგენენ პლაკატებს ლოზუნგებით. „ფურგუნს“ თან დააქვს მოძრავი ბიბლიოთეკა, გაზეთები, ჭადრაკი, ნარდი, დომინო.

დასვენების და დაბანაკების დროს „ფურგუნი“ ირჩევს მოხერხებულ ადგილს და სწრაფად აწყობს სამკითხველოს და დასასვენებელ მოედანს.

წითელ არმიელებს ძალიან უყვართ აგიტფურგუნი. გაჩერდება თუ არა მის გარშემო თავს იყრიან არმიელები, ზოგი კითხულობს წიგნს ან გაზეთს, ზოგიც ირთობს თავს ჭადრაკ-დომინოთი.

ქუთაისელი ავიაქიმელები

29 აგვისტოს, დილით ბანაკში ამოვიდენ ქუთაისელი ავიაქიმელები რიცხვით 52 კაცი. მათ შორის 46 კაცია მუშა, 2 მოსწავლე და 4 მოსამსახურე.

ამ ამხანაგებს პირველად უხდებათ მონაწილეობის მიღება წითელი ჯარის მანევრებში.

აგიტ - საღამო

სოფ. შინდისისათვის არაჩვეულებრივი საღამო იყო 28 აგვისტოს საღამოს.

სამ ადგილას მუშაობდა აგიტ-ფურგუნი. წითელ არმიელთა ძალებით გაიმართა ინსცენიროვკა, დეკლამაცია, ხმა-მაღალი კითხვა, საუბრები.

სასულე ორკესტრმა მოაწყო კონცერტი.

ნაჩვენებ იქნა საბჭოთა კინო-სურათი „ჩადრი“ ახსნა-განმარტებით.

აგიტ-საღამოს დაესწრო 500 გლეხი—მამაკაცი და ქალები.

ს. შინდისის წიგნთსაცავ—სამკითხველოს გადაეცა 100 წიგნი.

მიტინგი ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად

29 აგვისტოს, დღის 12 საათზე, სოფ. შინდისში შესდგა გრანდიოზული მიტინგი ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად.

მიტინგს დაესწრო წითელ არმიელთა შემადგენლობა.

სიტყვები წარმოსთქვეს № ლეგიონის წით. არმიელმა ამხ. **ჭოხონელიძემ**, პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. **ს. გეგიამ** და სხვ. ადგილობრივ კავშირებიდან სიტყვებით გამოვიდენ ამხ. **აბრამაშვილი** და **მარო ცეცხლაძე**. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე თემკომის მდივანმა ამხ. **ზურაბიშვილმა**. ამხანაგებმა განუმარტეს დამსწრეთ ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა და კომკავშირის მორიგი ამოცანები.

მიტინგის დასასრულს მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ელ. ხუციშვილი.

სოფ. შინდისი,
30 აგვისტო.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირზე ხელმძღვანელობის საკითხები

(წერილი სიღნაღიდან)

პარტხელმძღვანელობის საკითხი რასაკვირველია ახალი არ არის, მაგრამ მის შესახებ ლაპარაკი ყოველთვის საჭიროა, რადგან სწორ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას კომკავშირის ორგანიზაციისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს. თუ კომკავშირის უჯრედი სათანადო სიმაღლეზე სდგას, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იქ ურევია კომუჯრედის ხელი. კომკავშირის წინაშე ყოველთვის ახალ-ახალი ამოცანები იჭრება, რომელთა გადაწყვეტაც სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებების გამონახვას თხოულობს. აი სწორედ ამ საკითხებშია საჭირო პარტიის დახმარება.

უნდა ითქვას, რომ პარტხელმძღვანელობის საკითხი ადგილებზე ვერ არის მოგვარებული. პარტიის ხელმძღვანელობისათვის მრავალგვარი გზები არსებობს, მაგრამ ერთი უმთავრესთაგანია წარმომადგენლობითი სისტემა.

კომკავშირის ის უჯრედი, სადაც პარტწარმომადგენელი ესწრება და აქტიურ მონაწილეობას იღებს ყოველივე საკითხების გარჩევაში, დიდად განირჩევა მეზობელ უჯრედებისაგან, სადაც პარტიის წევრს არც კი შეუხედია. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მომხსენებლის მიერ საკითხის სწორად გაშუქებას. ხშირად მახინჯდება საკითხი, წევრებიც დამახინჯებულად ითვისებენ მას. ასეთი შემთხვევები მრავალია. როდესაც უჯრედის კრებაზე იქნება პარტწარმომადგენელი ის დაშვებულ შეცდომას გამოასწორებს და კომკავშირელებს სწორ გზას უჩვენებს. ასევე ითქმის დისციპლინის შესახებ. დისციპლინა იქ არის მტკიცე, სადაც პარტმიმაგრებული კომკავშირელებთან იმყოფება უჯრედში და მონაწილეობს მათ მუშაობაში, როგორც ხელმძღვანელი და მასწავლებელი.

კომკავშირის უჯრედებისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს პარტხელმძღვანელობას, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით ზოგიერთ პარტიის წევრს და უჯრედსაც კი ვერ შეუგნია. სიღნაღში ათამდე კომკავშ. უჯრედი არსებობს. პარტიის ხელმძღვანელობა ამ უჯრედებში არ არის სასურველ მდგომარეობაში. მხოლოდ და მხოლოდ მეტყავეთა უჯრედშია შესამჩნევი პარტწარმომადგენლის მუშაობა. დანარჩენები კი ამას მოკლებულნი არიან. აღმასკომთან არსებულ კომუჯრედმა ეკონომიურ ტეხნიკუმის უჯრედზე სამი ამხანაგი მიამაგრა. ამათგან არც ერთი არ დასწრებია ა.ლ.კ.კ. უჯრედის კრებას. კომუჯრედი როდესაც ანგარიშს სთხოვს პარტმიმაგრებულს, ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ დაიწყებს გაკვირვებით კითხვას: „მე მიმაგრებული ვყოფილვარ კომკავშირის უჯრედზე და რომელზე არ ვიციო“. რას გვეუბნება ეს სიტყვები? ეს იმის მაჩვენებელია, რომ პარტიის ზოგიერთი წევრი გულგრილად ეკიდება კომკავშირის უჯრედში მუშაობას. აქ დანაშაული პარტუჯრედებსაც მიუძღვის, რადგან ისინი წარმომადგენლად ჰყოფენ ისეთ ამხანაგებს, რომლებიც კომუჯრედშიაც არაფერს აკეთებენ და ცხადია ვერც კომკავშირში შესძლებენ რაიმეს გაკეთებას. გამოყოფილი ამხანაგები ვერ იცნობენ კომკავშირის მუშაობას და თავსაც არ იწუხებენ მის გასაცნობად.

ეხლა კომკავშირის ორგანიზაცია შეუდგება პოლიტგანათლების ქსელის გაშლას, აქაც საჭიროა ხელმძღვანელობა, კომუჯრედმა თვითეულ პოლიტხელზე თავისი წარმომადგენელი უნდა მიამაგროს. ხშირად სკოლის ხელმძღვანელები საკითხებს სათანადოდ ვერ ამუშავებენ. ამ საქმეში კარგი იქნება პარტწარმომადგენლების დახმარება.

კომუჯრედებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ კომკავშირის უჯრედების პარტხელმძღვანელობით უზრუნველსაყოფად. კომუჯრედის წარმომადგენლად უნდა გამოიყოს ისეთი ამხანაგი, რომელიც კომკავშირის უჯრედში სათანადო მუშაობის წარმოებას შესძლებს. ამასთანავე საჭიროა პარტმიმაგრებული მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდეს და ხშირად აბარებდეს ანგარიშს უჯრედის ბიუროს.

ხერგო ფაკელი.

კავშირი მოისუსტებს

(წერილი გორიდან)

მე-4 ქართ. მსრ. ლეგიონში არსებობს 5 კომუჯრედი, რომლებიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ. ამას მოწმობს ის, რომ უპარტიოთა შორის პარტიისაკენ ლტოლვა დიდია და უჯრედებიც უმთავრესად მუშა-მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის ხარჯზე იზრდება.

ყველა კომუჯრედებს სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის დაჭერის მიზნით სპეციალურად გამოყოფილი ჰყავთ ამხანაგები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კავშირის საქმე ძალზე მოისუსტებს. სამოქალაქო კომუჯრედების წარმომადგენლები სისტემატიურად არ მოდიან სამხედრო უჯრედებში, რის გამოც მოუხერხებელი ხდება გაერთიანებული კრებების მოწვევა, გეგმების გაცვლა-გამოცვლა და სხვ. მაგალითისათვის შეიძლება მოყვანილ იქნეს შემდეგი: მე-4 ლეგიონის მე-3 უჯრედს კავშირი აქვს სამაზრო აღმასკომის უჯრედთან. რომლის წარმომადგენელი ოთხი თვის განმავლობაში ერთხელაც არ დასწრებია მოკავშირე უჯრედის სხდომას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ ეცნობა აღმასკომის კომუჯრედის ბიუროს მიეღო ზომები, დღემდე არავითარი შედეგი არა სჩანს.

გორის სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა უნდა მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს. სამხედრო და სამოქალაქო უჯრედების კავშირი მხოლოდ ქაღალდზე დაწერით არ უნდა განისაზღვროს. ეს კავშირი საჭიროა პრაქტიკულად იქნეს განხორციელებული.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია თვითეული გამოყოფილი ამხანაგი პასუხისმგებლობას გრძნობდეს, რისთვისაც უნდა იმყოფებოდეს მათი მოხსენებები კომუჯრედის კრებებზე.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედის შორის სამუშაო გეგმების და კედლის გაზეთების გაცვლა-გამოცვლას და აგრეთვე ერთმანეთის მუშაობაში მონაწილეობას. ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს სამოქალაქო და სამხედრო უჯრედების გაერთიანებული კრებები.

პოპოვი.

თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი კომუნისტ-პედაგოგებისა და ფაბქარკომების თავმჯდომარეების მონაწილეობით. პლენუმმა განიხილა სამი საკითხი: სახალხო განათლების მდგომარეობა ქალაქსა და მაზრაში, პარტგანათლების ქსელის მოწყობა 1928—29 სამოსწ. წლისათვის და ფაბქარხ-ადგილკომთა გადარჩევის კამპანიის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბერიძემ.

სახ. განათლება თბილისში და მის მაზრაში

(ამხ. ბერიძის მოხსენება)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჩვენი სკოლის მუშაკთა შემადგენლობა მეტად არა დამაკმაყოფილებელი იყო—მთელს ქალაქში მხოლოდ 13 კომუნისტი-პედაგოგი გვყავდა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია ძველი სკოლის გარდაქმნა შეუძლებელი იქნებოდა და განათლების განყოფილებამაც პირველ რიგში პედაგოგიური შემადგენლობის გაუმჯობესებას მოჰკიდა ხელი.

უკანასკნელ წლებში ქალაქში უკვე 120 კომუნისტი-პედაგოგი გვყავდა. მაზრაში კი—64.

მასწავლებელთა შემადგენლობის კომუნიზაციას უმთავრესად სათანადო კადრების უქონლობა აფერხებდა. ამჟამად პედაგოგ. კომუნისტთა კადრები ნაწილობრივ უკვე გვყავს. ამიტომ განათლების განყოფილებას დასახული აქვს გაატაროს კომუნიზაცია ადმინისტრატიული პერსონალის შემადგენლობაში 50 პროცენტით, საზოგ. მეცნიერებას მასწავლებელთა შემადგენლობაში—90 პროც.

უპარტიო მასწავლებლობა მართალია საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიისადმი ლოიალურად არის განწყობილი, მაგრამ იმის თქმა არ შეიძლება, რომ ის იდეოლოგიურად დაპყრობილი იყოს. მარქსისტული მსოფლმხედველობა პედაგოგების დიდ ნაწილს არა აქვს შეთვისებული. ამ მხრივ ზოგიერთი კომუნისტი - პედაგოგებიც მოიკოჭლებენ. განათლების განყოფილება აპირებს მათ გადამზადებას.

თვით განყოფილების მუშაკთა შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშაობის პირობები ვერ არის ხელსაყრელი. მიუხედავად იმისა, რომ 13 ინსტრუქტორი გვყავს, სკოლების სისტემატიურ გამოკვლევას მაინც ვერ ვახდენთ, გვაბრკოლებს მრავალი სხვადასხვა ეროვნებათა სკოლების არსებობა.

მოწაფეების შემადგენლობა ყოველწლიურად იზრდება: ქალაქში 12 წლამდე იყო 23 ათასი მოწაფე, ეხლა გვყავს—30.000; მაზრაში 3 ათასიდან მოსწავლეთა რიცხვი 18 ათასამდე ავიდა.

სოციალური ჯგუფების მიხედვით: მუშების შვილები შეადგენენ 27 პროც., მოსამსახურეების—32 პროც., ხელოსნების—12 პროც., გლეხების—8 პროც., არამშრომელ ელემენტების—8 პროც., თავისუფ. პროფ.—3 პროც. გამოურკვეველი—10 პროც.

მოწაფეთა სოც. შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ აღვნიშნავთ: 4-წლედების ქსელი იმდენად დიდია, რომ მას მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, ამიტომ უაზრობა იქნებოდა იქ არა მშრომელთა შვილები არ მიგვეღო. მე-8 ჯგუფში მიღების დროს კი სოც. მდგომარეობას უდიდესი ყურადღება ექცევა.

საბავშო ბაღების მოწაფეთა შემადგენლობაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ბაღებში მარტო მუშების შვილები უნდა იყვნენ. მაგრამ ფაქტიურად იქ ინტელიგენტების შვილებიც ბლომად მოიპოვებიან.

სასკოლო სისტემა ჩვენ ნაწილობრივ შევცვალეთ: დავაარსეთ ნოლ-ჯგუფები, 9 წლედებს მივეცით განხრა, აგრეთვე მოვაწყვეთ სპეციალური კურსები 9 წლედ დამთავრებულთათვის.

სკოლების ქსელი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ჩქარი ტემპით იზრდებოდა, შემდეგ კი ზრდა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და გეგმიანად მიმდინარეობს.

ჩვენი უახლოესი მიზანია—საყოველთაო სწავლების შემოღება. ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით ნივთიერად უზრუნველვყოთ ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა ბავშები, თუ ეს ასე არ მოხდა მშობლები მათ სკოლებში არ მიაბარებენ.

კომკავშირელთა და პიონერთა შემადგენლობა, რომელნიც, როგორც კომუნისტური ფენა, დიდ როლს თამაშობს სკოლების ცხოვრებაში, გასულ წელს შემცირდა. მიმდინარე წელს ეს ორგანიზაციები ისევ განმტკიცდნენ და მუშაობაც გააცხოველეს.

კამათი ამხ. ბერიძის მოხსენების გარშემო

ამხ. **საკიანი**—მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა, განსაკუთრებით მაღალ ჯგუფებში, არადამაკმაყოფილებელია. ეს უნდა გამოსწორდეს.

პედაგოგების შემადგენლობაში ბევრია კონტრ-რევოლიუციონური ელემენტი. საჭიროა ამ ხალხის თანდათანობით შეცვლა კომუნისტებით, მაგრამ სამწუხაროდ პარტიის წევრები ხშირად უარს ამბობენ პედაგოგიურ მუშაობაზე. ამგვარი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად თბილისის კომიტეტმა უნდა მიიღოს ზომები.

კომუნისტებმა მეტი მონაწილეობა უნდა მიიღონ სკოლების ხელის შემწყობ საბჭოების მუშაობაში, საჭიროა თვითეული უჯრედი რომელიმე სკოლაზე იქნეს მიმაგრებული.

ამხ. **ნასყიდაშვილი**—სკოლების მდგომარეობა ბინების მხრივ ცუდია. ამიტომ საჭიროა სკოლების შენობებიდან გამოსახლებულ იქნეს კერძო მდგმურები.

ამხ. **აზარაშვილი**—გლეხ-ახალგაზრდობის სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ღარიბებს და მოჯამაგირეებს. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ.: ფუკოვმა, ადამიანმა, ვარლამოვმა, ცხაკაიამ და სხვ.

პარტგანათლება მომავალ წელში

(ამხ. ადამიანის მოხსენება)

საგიტ.-საპროპ. თათბირმა, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცეკასთან იყო მოწვეული, მიზანშეწონილად სცნო სრულ ნებაყოფლობით პრინციპზე გადასვლა პარტგანათლების საქმეში. ჩვენი ორგანიზაციაც პარტგანათლების ქსელს მომავალი წლისათვის ამ პრინციპზე აწყობს.

უნდა ითქვას, რომ ბევრ ამხანაგს ნებაყოფლობის პრინციპი ცუდათ ესმის. ზოგიერთები ფიქრობენ: რაკი ნებაყოფლობაა, მინდა ვიმეცადინებ, მინდა არა“-ო. ასეთი შეხედულება რასაკვირველია სწორი არ არის, რადგან ნებაყოფლობითი პრინციპის შემოღების მიზანია პარტიული მასების კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმა განათლების საქმეში.

პარტგანათლების სისტემა შეცვლილია. წელს ნორმალური და შემოკლებული პოლიტსკოლების მაგივრად არსდება ერთი მთლიანი პოლიტსკოლა, რომელიც სრულ წარმოდგენას მისცემს მსმენელებს პარტიის წესდების და პროგრამის შესახებ.

ამ სავალდებულო ქსელს გარდა იქნება საღამოს პარტსკოლების ქსელი, მარქსისტულ-ლენინური წრეები, მიმდინარე პოლიტიკის წრეები და სხვ.

პარტგანათლების ქსელის გაშლა დაიწყება 10 სექტემბრიდან და 5 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ამხ. ადამიანის მოხსენების გარშემო კამათში მონაწ. მიიღო ამხ. ოსიპოვმა, ბურცევმა, რაზმაძემ, გიორგაძემ, ნუცუბიძემ, ბუდილევამ და სხვ.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ანთიძის ცნობა ფაბქარხადგილკომთა გადარჩევების შესახებ.

ყველა განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილებები და დაიხურა.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავ დემონსტრაციის ჩატარების გეგმა

ახალგაზრდათა მე-14 საერთაშორისო დღეს, კვირას, 2 სექტემბერს საღამოს ჩატარდება საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის პოლიტიკური დემონსტრაცია-კარნავალი უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად წითელარმიელთა და პიონერთა მონაწილეობით. დემონსტრაციაზე უჯრედები გამოდიან დროშებით, ორკესტრებით, რევოლიუციონური სიმღერებით, საგიტაციო ავტომობილებით, ჩირაღდნებით და სხვ. გამოდიან მსროლელთა, სამხედრო წრები და ფიზკულტურის წრეები.

დემონსტრაციაზე იკრიბებიან შემდეგი წესით: წინასწარ მომზადებული უჯრედები, უჯრედების მდივნების მეთაურობით 4 საათზე მიდიან დანიშნულ ადგილას.

რაიონების შესაკრები პუნქტები შემდეგია:

ლენრაიონი

1-ლი პუნქტი- რაიკომის მახლობლად იკრიბებიან ყველა უჯრედები და მიიმართებიან საბჭოთა, მოლოკანის, სადგურის ქუჩით, პლეხანოვის პროსპექტით და ჩერდებიან ფიზკულტურისნების უკან.

„26“ კომუნარის“ რაიონი

1-ლი პუნქტი—კახეთის მოედანი—იკრიბებიან შემდეგი უჯრედები: ტყავეულის ქარხანა № 1, ფეხსაცმელების ფაბრიკა, ფეიქრები, ტყავეულის ქარხანა № 3, ქიმიკოსები, გამსახლო, „მკერავი“ № 1, ქალთა კლუბი, მაკარონის ფაბრიკა, ქალაქის სასაკლაო, მწეჭდავები, გემო-კვების მუშაკები, მებაღეები, მეტყავეები № 1, მტვირთავები, ფეხსაცმელების მკერავთა კოლექტივი, კამის სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, „ტექსტილტორგი“, ქალაქის მილიცია, ს. ჰ. უ ს., მკერავთა ადგილკომი, „ზაკგოსტორგი“, მელითონეები, მეპურეები, ძეხვების ქარხანა, საქ. სახვაჭრობა, ქალაქის სასაკლაო, სადგ. ხავთლული. „ყირიმზი“, მშენებლები № 1, მკერავები და არსენალი.

მე-2 პუნქტი—კალინინის მოედანი—იკრიბებიან შემდეგი უჯრედები: „წარკოოპი“, კომ. მუშაკთა კავშირი, მკერავი № 2, სანტრანსპორტი, თვითმშრომელნი, მეტყავეები № 2, წყალსადენი და ფოსტა.

„26“ კომუნარის რაიონის პირველი პუნქტი კახეთის მოედნიდან 5 საათზე წამოვა კალოუბნის დაღმართით, გაივლის 19 თებერვლის ქუჩას. კარლ მარქსის მოედანთან მას შეუერთდება მე-2 პუნქტი და ერთად გაემართებიან პლეხანოვის პროსპექტით; ისინი შეჩერდებიან ჟორესის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპ. კუთხეში.

ქალაქის რაიონი

1-ლი პუნქტი—ოლღას ქუჩა. იკრიბებიან ყველა უჯრედები და ეწყობიან ყოფ. ზუბალოვის აფთიაქთან.

წითელარმიელები გამოდიან თავისი მიმაგრებული უჯრედებით შერეული წესით.

ქალაქის ფიზკულტუროსნები 4 საათზე იკრიბებიან ლენინის სახელობის სტადიონზე, იქიდან მიიმართებიან პლეხანოვის პროსპექტით და ჩერდებიან ჟორესის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში ლენინის რაიონის წინ.

საერთო დემონსტრაცია ქალაქში დაიწყება საღამოს 6 საათზე. დემონსტრანტები გაივლიან ჟორესის ქუჩას, ელბაქიძის დაღმართს, და რუსთაველის პროსპექტს.

წინ მოდის ფიზკულტუროსნების კოლონა, მას მისდევს ლენრაიონი, ლენრაიონს—„26“-ის რაიონი. „26“-ის რაიონს—ქალაქის რაიონი. დემონსტრანტები თავისუფლების მოედანზე დაიშლებიან.

დემონსტრაციის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებად გამოყოფილია ამხ. **ხომასურიძე**, **ხაჩიკიანი** და ქალაქის კომენდანტი ამხ. **აბაშიძე**.

რაიონებში პასუხისმგებელ ხელმძღვანელებად არიან რაიკომების მდივნები.

დემონსტრანტების შესახვედრად ეწყობა ტრიბუნები, ერთი—საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და თბილისის კომიტეტის შენობის წინ, მეორე—თბილისის აღმასკომის წინ.

საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მალარიასთან ბრძოლა

ქუთაისი, 30 აგვისტო. ზაფხულის ხშირი წვიმების გამო მალარიით დაავადებულთა რაცხვმა ქუთაისის მაზრაში იმატა. დაარსდა სამაზრო სამალარიო კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი მაზრაში ჭაობების ამოსაშრობად. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ენერგიული ზომებით ამოშრობილია ჭაობები ქუთაისის გარშემო, რამაც მალარიით დაავადება ქალაქში საგრძნობლად შეანელა. მაზრაში მოგზაურობს წითელი ჯვრის მოძრავი რაზმი, რომელიც მოსახლეობას უფასო საექიმო დახმარებას უწევს. რაზმმა ჯერ ჯერობით სამი თემი შემოიარა და 3.600 ავადმყოფს აღმოუჩინა დახმარება. ამავე დროს რაზმი აწარმოებს პროფილაქტიურ მუშაობას, აწყობს ლექციებსა და საუბრებს.

წყალტუბოში

ქუთაისი, 30 აგვისტო. რადგან მზიანი ამინდები დადგა, წყალტუბოში აუარებელი ავადმყოფი მოემგზავრება. მოელიან, რომ სექტემბერში ავადმყოფთა რიცხვი იმატებს. სეზონი 15 ნოემბრამდე გაგრძელდება. კურორტზე აგებს ახალი 50 ოთახიანი სასტუმრო. სურსათ-სანოვაგით კურორტი უზრუნველყოფილია (ადს).

„მახაჯირი"

სოხუმი, 30 აგვისტო. „მეჟრაბპომ რუს"-მა დასადგმელად მიიღო სცენარი „მახაჯირი" („გაძევება".) სცენარი შედგენილია აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ჩანბას პიესის მიხედვით (ადს).

წერილები

გლეხების კურორტზე
(წერილი კახეთიდან)

სამი თუ ოთხი წლის წინედ ს. ზინობიანის მახლობლად ე. წ. „ჩენტლის ყურის" ძირში, მთის ძირას აღმოჩენილ იქნა გოგირდის წყარო, ანუ „მყრალი წყარო", როგორც მას გლეხები ეძახიან. ეს წყარო თბილია და ოდნავ ცხელი ზამთრობით.

მალე ამ გოგირდის წყალმა სახელიც გაითქვა. ადგილობრივ გლეხკომმა აქ უკვე შარშან გამართა 30 საწოლიანი ბარაკი და დადგა წყლის ასადუღებელი ქვაბები, გამართა 13 აბაზანები და მოაწყო სასადილო. ამან ხელი შეუწყო ავადმყოფების მოზიდვას. გასულ წელს კურორტზე გაიარა დაახლოებით 2.000 კაცმა. წელს კი ორჯერ მეტი ხალხი მოაწყდა. მოდიან კახეთის ყველა კუთხეებიდან. მოდიან ბაქოდან, თბილისიდან.. წყალი სასწაულმოქმედი აღმოჩნდა; რამდენიმე აბაზანის მიღების შემდეგ ჯოხებს გადაყრიან ხოლმე დაკუტებულები. განკურნებული ხალხი აქ ბლომადაა და ყველას სურს ყური დაუგდო მის თავგადასავალს.

ამ დღეებში ჩვენ მოგვეხდა ამ კურორტის დათვალიერება. აბანო მუხნარ ტყეშია მომხვედრილი, ადგილი წყნარობაა. ყოველ მუხის ქვეშ ურემი დგას გლეხის ოჯახის წევრებით სავსე. აუარებელი ძონძ-მონძიანი ბავშვი, ზოგი კარავებში მოთავსებულა, მაგრამ უმრავლესობა ხეების ქვეშაა.

ვესაუბრებით ავადმყოფებს. ჩივიან: „არაა სისუფთავე დაცული არც სადგომებში, არც შიგ საბანავებელ ადგილას. არაა ფეხის ალაგი. აბაზანებში პადიან ქლეჩიანები, ვენერიული სნეულებით დაავადებულნი. არ რეცხავენ წესიერად. გადაავლებენ ვედროთი წყალს და მორჩა. წყლის ტემპერატურა არ იზომება, აძლევენ „ვინ რამდენს აიტანს", ექიმი არ დადის, ხალხი ბევრია (500 კაცამდე იყო) ორ-სამ დღეში ერთხელ ძლივს ხვდებათ ვანები. ვინც გამგეს დაპატიჟებს, ის რიგ გარეშე სარგებლობს. გვიხდება ღამის 12 საათამდე აბაზანების მიღება".

ჩვენ თვითონ ვნახეთ რამოდენიმე გაციებული და დაავადმყოფებული აგარაკზე ჩამოსვლის შემდეგ. უბანავნიათ ძალიან ცხელში, შუაღამეზე და დაწოლილან მიწაზე თბილ ლოგინში..

გამგემ არ იცის რამდენ ავადმყოფმა გაიარა წელს. იცის მხოლოდ რამდენი ჩეკი გამოსწერა. შემოსავალი მარტო აბაზანებიდან აღნუსხული აქვს 1.732 მანეთის რაოდენობით და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ექვს-ექვს შაური ღირს თითო განაობა, ხალხი ბევრი სტუმრებია „მყრალ წყალს".

საჭიროა ამ გლეხურ კურორტს მიექცეს სათანადო ყურადღება, თორემ დღეს „ჩენტლის ყურის" ტყეში ჯანმრთელობის აღსადგენად მოსული გლეხობა შეიძლება უფრო დაავადმყოფდეს კურორტისადმი ასეთი უყურადღებობით.

ი. კავლია.

მიწის გამყიდველნი დაუსჯელი დარჩნენ

ს. საყულის-კარი ზუგდ. მაზრა

სოფლად მიწის ყიდვა-გაყიდვა ფარული საშუალებებით ისევ სწარმოებს. მიწის გაყიდვის ერთი მაგალითი აღმოჩნდა სოფ. საყულისკარში გასულ წელს. ღარიბ გლეხ თ. როგავას განცხადებით ძმებმა ზადა და ჩაგუ როგავებმა მიყიდეს მიწა აღმასხან როგავას. ამის შესახებ სამაზრო მილიციის თანამშრომლებმაც მოახდინა კვლევა-ძიება, სადაც აშკარავდებოდა, რომ ზემოხსენებულმა პირებმა მიწა მიჰყიდეს ალ. როგავას. აგრეთვე გამოაშკარავდა ისიც, რომ მიწის გამყიდველი როგავები მისულან ერთ გლეხთან აღნიშნულ მიწის მისაყიდად, მაგრამ ვერ მორიგებულან.

ამ საქმეზე შემდგარი ძიება დღემდე შეჩერებულია. გლეხობაში მითქმა-მოთქმა კვლავ გრძელდება, ხოლო თემაღმასკომი კი ყურსაც არ იბერტყავს. ეხლა ჯერი სამაზრო პროკურორზეა. ამ ფაქტის უყურადღებოდ მიტოვება სხვებსაც წაათამამებს ბოროტმოქმედების ჩადენაში.

ყ—ლი.

ჩვენი მიღწევები
(წერილი ხონიდან)

სამომხმარებლო კოოპერაციამ ძალზე გააცხოველა კულტურული მუშაობა. მას საამისოდ გამოყოფილი ჰყავს სათანადოთ მომზადებული ჯამაგირიანი მომუშავე. კოოპერატივმა ამ მიზნისათვის გადასდო სათანადო თანხა. რაიონის ფარგლებში ჩამოყალიბებულია წრეები. ამ წრეებისათვის გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები და სათანადო ბიბლიოთეკა. ყველა სამკითხველოებთან მოეწყო კუთხეები, რომელიც კოოპერატიული ლიტერატურით უზრუნველყოფილია. წრეებს ხელმძღვანელის მიერ მიეცა სამეცადინო პროგრამები და სახელმძღვანელოები. თვით წრეებში იმდენად გაცხოველდა მუშაობა, რომ მსმენელების მიერაც სწარმოებს მორიგეობით მოხსენებების გაკეთება.

წრეები დაყოფილია ჯგუფად და სანამ მოხსენება გაკეთდებოდეს ამა თუ იმ თემაზე ჯგუფების მიერ სწარმოებს წინასწარი მეცადინეობა, ჯგუფის რომელიმე წევრი გამოდის მომხსენებლად, რაიც მოხსენების დამთავრების შემდეგ იწვევს ჯგუფებს შორის გაცხოველებულ კამათს.

მიმდინარე წელს ქ. ხონსა და მის რაიონში ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის კოლმეურნეობანი, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო არტელი—3, სამანქანო ამხანაგობანი—4. ჩამოყალიბების პროცესშია მეფრინველეობის ამხანაგობა, ახლო მომავალში ჩამოყალიბდება თითო მევენახეობის, სამანქანო და სას.-სამეურნეო არტელები.

აგრეთვე ქ. ხონში ჩამოყალიბებულია ხელოსანთა (ფეხსაცმელების მკერავთა) კოლექტივი 20 კაცით და დალაქთა კოლექტივი 6 კაცით. განზრახულია მეწაღეთა არტელის დაარსება, რომელსაც ფეხსაცმელების მკერავთა არტელთან გაერთიანებით, განზრახული აქვს ტყავის დამამზადებელი დაბახანის ამუშავება, რომელიც დღემდის კერძო პირის ხელში იყო და მუშაობა შესწყვიტა.

ი. ფადავა.

სახალხო ქონების მითვისებელნი.
(საჯევახოს თემი, გურია)

საჯევახოს რაიონულ კოოპერატივის მოლარე ვასილ მსხილაძემ მიითვისა კოოპერატივის 1.800 მანეთი და განაცხადა, თითქოს მას ფული მოჰპარეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსხილაძის ცოლი კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ყურაშვილის მიერ დაშვებული იყო კანტორაში მოლარის და კანტორის მოხელის პრაქტიკაზე. თუმცა დღეს მსხილაძე და მისი ცოლი ორთავე დაპატიმრებულია, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა აგრეთვე თავმჯდომარე ყურაშვილის პასუხისგებაში მიცემაც, რომელმაც დაარღვია საერთო წესები და ფულის საქმეში დაუშვა გარეშე პირი, რითაც ხელი შეუწყო სახალხო სიმდიდრის გაფლანგვას.

ტანჯული.

წერილებიდან

ხეთის თემი (ზუგდიდის მაზრა). მდინარე მუნჩიაზე, რომელიც შუაზე ჰყოფს სოფ. საკვეკვიონოს, ორი წელია არც ერთ ადგილას ხიდი არ არის. ამის გამო მარჯვენა 6 პირზე მცხოვრები გლეხები მოწყვეტილია სკოლას და წისქვილებს. საჭიროა თემაღმასკომმა უხელმძღვანელოს გლეხობას ხიდის გაკეთებაში.

ოოლდაშ.

დ. საჩხერე (შორაპანის მაზრა). ოთხი წელია საჩხერე წყალს ელოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა წყლით სარგებლობის საკითხი. ყოველდღე რამოდენიმე საათით ონკანი იკეტება და ამ დროს წყალი ხმარდება რკინის გზის სადგურს, ხოლო მცხოვრებნი უწყლოდ რჩებიან. საჭიროა წყლით სარგებლობის საკითხის მოწესრიგება.

პროლეტარი.

ახალსოფელი (სამტრედიის რაიონი). ჩვენს სოფელში არის სულით ავადმყოფი იროდი კიკაჩეიშვილი, რომელიც დაბმული ჰყავს თავის ოჯახს. ბევრიჯერ შესჩივლეს ამის შესახებ აღმასკომის თავმჯდომარეს, მაგრამ მან არავითარი ზომები ვერ მიიღო. საჭიროა მისი მოთავსება სულით ავადმყოფთა თავშესაფარში.

წარიძე.

მუშათა ცხოვრება

კარგ ბინებში თვითონ ჩასახლდენ

მე-6 სალიანდაგო უბანთან არსებობს საბინაო კომისია, რომელსაც ევალება რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეების ჩასახლება რკინის გზის სახლებში. ამ კომისიაში ორი სამი წელიწადია შეტანილი აქვთ განცხადება მუშებს, რომლებიც სარდაფებში სცხოვრობენ, ან სულ უბინაოდ არიან. უბინაო მუშები ელირსნენ კიდეც ორი დიდი სახლის აგებას რკინის გზის გამგეობის მიერ ანდრეევის ქუჩაზე № 87 და 89. რომლებშიაც პირველი სექტემბრიდან ჩასახლდებიან მდგმურები. მაგრამ ამ სახლში ჩასახლეს არა ისეთი მუშები, რომლებიც სცხოვრობენ ნესტიან სარდაფებში, ან-და დროებით შეხიზნულნი არიან ნათესავებთან, არამედ ისეთები, რომლებსაც აქამდისაც ეჭირათ კარგი ბინები.

მაგალითისათვის დავასახელებთ რამოდენიმე პირს: ამხ. ტურუმაშვილს, რომელსაც კარგი ბინა ეჭირა ბაქოს ქუჩაზე, გადმოვიდა ახალ სახლში და დაიჭირა ორი ოთახი. პჩ-6 თანაშემწე ვლადიმერ პრუსეცკი, რომელსაც ლენინის უბანში კარგი ოთახი ეჭირა; პჩ-6 მეტაბელე ივანე პილიპაჩუკი, რკინის გზის მე-3 სახლში სცხოვრობდა. ვასილ სალატოვი საუბნო დამზღვევ სალაროს თავმჯდომარის მოადგილე და მრავალი სხვები. ყველა ამათ დიდი ხანია ქონდათ შესაფერი ბინები და მაინც ახალ სახლში მოეკალათნენ, ხოლო უბინოები ისევ გარედ დარჩნენ.

საჭიროა საბინაო კომისიის დადგენილების გადათვალიერება და ბინების კანონიერად განაწილება.

მუშკორი ლიახვაგელი

საჭიროა შეშის მომარაგება
(წერილი ჭიათურიდან)

ჭიათურაში და მის რაიონში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს მიუხედავად იმისა, რომ ეხლა ზაფხულია, ჯერაც არ დავიწყებიათ ის ტანჯვა-წვალება, რომელიც მათ განიცადეს წარსულ ზამთარში უშეშობის გამო. ამაში დამნაშავე მთელი 100 პროცენტით ხე-ტყის ტრესტი იყო. მუშა-მოსამსახურენი დამშვიდებით შესცქეროდენ ხე-ტყის ტრესტს იმ იმედით, რომ შეშას მომამარაგებს და არ ჩავცვივდებით კერძო ჩარჩების ხელში, მაგრამ არ გაუმართლდათ იმედი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ისარგებლებდენ კერძო ჩარჩები, როცა მათ გვერდში მდებარე ტრესტის საწყობში ღერი შეშა არ იყო.

მომავალი ზამთარიც ახლოვდება, და რომ წარსული სურათი კვლავ არ განმეორდეს, საჭიროა დროზე გაახილონ თვალები ტრესტის მუშაკებმა და შეიძინონ საკმაო შეშის მარაგი. თუ კი კერძოებს შესწევთ ამის უნარი, ჩვენ ვფიქრობთ ტრესტს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს, მხოლოდ საჭიროა ფხიზლობა და ენერგია.

პროფკავშირებმაც დროზე უნდა მოაგონონ ეს ტრესტის გამგეობას.

კორიანტელი.

დაიხსენით აუტანელი გასაჭირისაგან

ლენინის უბანში ბასეინის ქუჩაზე № 11, ცხოვრობს მთავარ სახელოსნოს სალითონო ცეხის დამლაგებელი მუშა-ქალი პელაგია დარახველიძე თავისი ოჯახის წევრებით. მას უჭირავს ერთი პატარა ოთახი, რომელსაც წინ პატარა ქვაფენილის აივანი აქვს, საიდანაც ოთახში უნდა შევიდეს. მისი ოთახის შესავალ კარებთან ერთი წელია ბინა გაიჩინა და ზამთარ-ზაფხულ ჩვეულებრივ გახვეული ბინადრობს ნიკიშოვის ქალიშვილი ნასტასია, რომელიც სულით ავადმყოფია.

წლის განმავლობაში პელაგია დარახველიძე სხვის კარმიდამოს აფარებს თავს, ან უფრო ქუჩაში ათევს ღამეს. მას თავის ბინაზე ვერ გაუბედნია მისვლა ნიკიშოვას ქალის შიშით, რომელიც დაინახავს თუ არა ვინმეს მის სიახლოვეს, აუცილებლად ზეზე წამოვარდება, რაც ხელში რამ მოხვდება ისვრის და გამგმაგებული იბრძვის.

იყო შემთხვევა, როცა დარახველიძის ქალმა მილიციას მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ მისული მილიციელი ნიკიშოვას ქალმა კინაღამ მოჰკლა.

ასეთ საშინელ გამწარებას განიცდის თავის ბინაში შესვლის დროს პელაგია დარახველიძე და მისი ოჯახის წევრებიც. საერთოდ მთელი ამ სახლის მდგმურები აწიოკებული ყავს ამ სულით ავადმყოფ ქალს. მაგრამ ჯერ მისთვის ყურადღება არავის მოუქცევია.

სანამ რამე უბედურება არ მომხდარა, საჭიროა ნიკიშოვას ქალი გაიგზავნოს სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, ანდა მიეცეს ბინა ამხ. დარახველიძეს, რომელიმე მუნიციპალიზაციაქმნილ სახლში. დაიხსნათ აუტანელ გასაჭირში ჩავარდნილი ამხანაგი ქალი.

უნი.

თავხედი გამგე მუშებს სჩაგრავს

თბილისში არსებობს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირთან არსებული გამსაღებელი კოლექტივები, რომლის გამგედ ითვლება ვინმე გიორგი გოგობერიძე. ამ ორგანიზაციას ჰყავს თავისი შტატი, როგორც სპეცების, ისე ეგრედ წოდებულ გამყიდველების. კოლექტივების მუშაობა დაიწყო 3 მაისიდან, მაგრამ მისი სახე დღესაც ჩამოუყალიბებელია. არაა გამორკვეული ვის რამდენი ჯამაგირი უნდა მიეცეს. ორგანიზაციის წევრნი სარგებლობენ ყველა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის წევრის უფლებებით, მაგრამ დღევანდლამდე არ სწარმოებს საწევროს გადახდა, მომუშავეთა დაზღვევა და შრომის პირობების დაცვა.

მოქ. გოგობერიძეს ძალიან ეჯავრება კომკავშირლები. კოლექტივში მომუშავე აბელ ტერ-გასპაროვი იძულებული გახადა თავი დაენებებინა სამუშაოსათვის. ეხლა ჯერი კომკავშირელ ვანო მჭედლიშვილზეა. მოქ. გოგობერიძე ცდილობს გასწმინდოს კოლექტივები კომკავშირლებისაგან.

ამას წინეთ კოლექტივ № 2-ის წინ, გოგობერიძე აგინებდა და ეჩხუბებოდა იქ მომუშავე ქალს ბეგლარაოვს და ეუბნებოდა: ჩემი საქმეა რასაც ვიზამ, ვისაც მინდა იმას მოვხსნი სამუშაოდან, აქ ყველაფერი მე მეკითხება, წადით და იჩივლეთ სადაც გინდათ.

წინეთ ის თანამშრომლები, რომლებიც ეხლა კოლექტივებში მსახურობენ, მუშაობდნენ კერძო ვაჭრებთან და 8 საათის სამუშაო დღე დაცული იყო. დღეს კი მუშაობენ 12—16 საათს დღე-ღამეში და არავითარი დასასვენებელი დღეებით არ სარგებლობენ.

კერძო მოვაჭრენი დასცინიან მათ და ეუბნებიან: აბა რა მოაქვს თქვენ კოლექტივებს—ჩვენ რვა საათს გამუშავებდით, ეხლა კი 16 საათს მუშაობთ.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ 16 საათის მუშაობა ყველაზე ვრცელდებოდეს, კანცელარია 5 საათს მუშაობს, მუშები კი 16 საათს.

ნეტა ვიცოდეთ, სად ჰგონია თავი მოქ. გოგობერიძეს?

საჭიროა ბოლო მოეღოს კომკავშირელების დევნას, დაბალი პერსონალისადმი უხეშად მოპყრობას დაცულ იქნას რვა საათის სამუშაო დღე და პროფკავშირმა და შრომის ინსპექციამ საზღვარი დაუდოს გოგობერიძის თავხედ საქციელს, თორემ კოლექტივების პრესტიჟს დაუსცემთ მშრომელი მასების თვალში.

მუშკორი შან-შანი.

ვერის პარკი ხმება

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ ტყეებს და საერთოდ მცენარეებს რა მნიშვნელობა აქვს. თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს ტყის მოშენების საქმეს და თბილისის ირგვლივ აშენებს ტყეებს და ბაღებს, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აუცილებლად დაცულ იქნას თბილისში ამჟამად არსებული ბაღები და ტყეები.

ზოგიერთი ბაღები კი სრულიად უპატრონოდ და მოუვლელადაა მიტოვებული. მაგალითად ვერის პარკს მოურწყველობის გამო, ახლო მომავალში სრული განადგურება და გადაშენება მოელის. მრავალი ასეული ხეების ფურცელი მთლად გაყვითლებულია. აღნიშნულ ბაღს აქვს თავისი წყლის საქაჩავი, რომელიც ამჟამად უმოქმედოთაა.

საჭიროა თბ. აღმასკომმა მიიღოს სათანადო ზომები ვერის პარკის მოსავლელად და მცენარეების განადგურების თავიდან ასაცილებლად.

ნიკო მკერვალი.

მუშკორთა წერილებიდან

— **მუშის შეურაცხმყოფელი**. 24 აგვისტოს საპონზეთის ქარხნის გამგის მოადგილე მინასოვმა სრულიად უსაბუთოდ მიაყენა შეურაცხყოფა მოწაფე გიორგი მურადოვს. მურადოვი შევიდა საპნის სახდელ ცეხში უფროსი მუშის დავალებით და ეს გახდა მისი შეურაცხყოფის მიზეზი. მინასოვმა მას აგური ესროლა და ლანძღვა-გინებაც დაუწყო. პასუხი უნდა მოეთხოვოს უმიზეზოთ მუშის შეურაცხმყოფელს.

იქაური მუშა

— **ეხლა მაინც შეასრულეთ**. ამ ერთი წლის წინედ საპნის ქუჩის და მისი შესახვევის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს აღმასკომის წინაშე ხსენებული ქუჩის შეკეთების შესახებ. ამჟამად აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს ყველა ქუჩების შეკეთება და იმედია საპნის ქუჩასაც არ დაივიწყებენ.

გავრ. ხიზანოვი

— **მუშაობა ფერხდება (ხაშური)**. ახლად აშენებ სადგ. ოსიაურის საჭიროებისათვის მე-6 უბნის კარიერიდან ყოველდღიურად უნდა იზიდებოდეს ხრეში, მაგრამ 18-დან 28 აგვისტომდე მოზიდულია მხოლოდ ორჯერ, რაც აფერხებს მუშაობას.

ხახელი.

ა.-კ. ცაკში

ამხ. ლენინის სახელობის ფონდი

ამიერ-კავკ. ცაკის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა ამიერ-კავკ. ცაკთან დაარსებული ბავშვთა უმწეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად ლენინის სახელობის ფონდი 2 მილიონის რაოდენობით, აქედან ერთ მილიონი ფონდში შეტანილი იქნება ამიერ-კავკ. მთავრობის მიერ.

ამხ. ლენინის სახელობის ფონდში ამიერ-კავკასიის მთავრობამ ერთი მილიონი უნდა შეიტანოს 5 წლის განმავლობაში ყოველ წელში 200.000 მ. რაოდენობით.

ამიერ-კავკ. ცაკის პრეზიდიუმმა საკავშირო ცაკთან არსებულ ბავშვთა უპატრონობასთან მებრძოლ კომისიისაგან მიიღო 231.970 მანეთი, რომელიც შემდეგნაირად გაანაწილა: ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად საქართველოს ცაკთან არსებულ ბავშვთა დამხმარე კომისიას მიეცა 37.500 მან., საქართველოს განათლების კომისარიატს — 20.000 მანეთი, აზერბეიჯანის ცაკთან არსებულ ბავშვთა დამხმარე კომისიას მიეცა— 27.500 მანეთი, აზერბეიჯანის განათლების კომისარიატს—20.000 მანეთი, სომხეთს მიეცა სულ 70.576 მან.

ეკონომიურ საბჭოში

სკოლისა და საავადმყოფოს აშენება ხევსურეთში

სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა განათლების სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ხევსურეთში სკოლისა და საავადმყოფოს აგების ხარჯთ-აღრიცხვა 117.000 მ. რაოდენობით.

ს. ბარისახოში სკოლის და საავადმყოფოს მიმდინარე წელში დამთავრების მიზნით და ს. ახმეტაში და შატილში სკოლების აგებისათვის საჭირო მასალის დასამზადებლად წინადადება მიეცა განათლების სახ. კომისარიატს გააფართოვოს თავის მუშაობის გეგმა წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით და წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა, რაც გამოწვეულია ხსენებულ მუშაობის ჩქარი ტემპით შესრულების გამო.

აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს შუამდგომლობა

აფხაზეთის კურორტების მძიმე ფინანსიურ მდგომარეობის გამო ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს გასცეს განკარგულება აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს განკარგულებაში, 1928—29 წ. ბიუჯეტის ანგარიშში, 50.000 მან. გაცემის შესახებ.

კარტოფილის დამზადება ახალციხის მაზრაში

წინადადება მიეცა ახალციხის სამაზრო აღმასკომს დაავალოს ახალციხის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას დასამზადებელ კარტოფილის რაოდენობიდან ჩააბაროს „სოფლის კავშირ"-ს 70.000 ფ. თბილისის საჭიროებისათვის.

შაქრის ქარხანა

შაქრის ჭარხლის მეურნეობა

თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ შაქრის მრეწველობის სამეცნიერო-გამომკვლევი ცენტრალურ ინსტიტუტის წევრი ა. ზაპოროჟეცი.

ამხ. ზაპოროჟეცმა გამოიკვლია ჭარხლის მეურნეობა საქართველოში, სახელდობრ გორის, ტირიფონის და მუხრანის რაიონებში.

ზაპოროჟეცის გადმოცემით საქართველოში ჭარხლის საცდელ მეურნეობის შედეგები დამაკმაყოფილებელია და შაქრის ჭარხლის მეურნეობას დიდი მომავალი აქვს საქართველოში. მისი აზრით საქართველოში შაქრის ქარხნის აგება სავსებით მიზანშეწონილია.

ამ დღეებში ამხ. ზაპოროჟეცი მიემგზავრება სომხეთში, სადაც აგრეთვე გამოიკვლევს შაქრის ჭარხლის ნათესების მდგომარეობას.

საპროექტო კომისია

ამჟამად მოსკოვში მყოფ. ამხ. ბ. ჭიჭინაძისაგან სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეპეშა, რომლითაც ის იტყობინება, რომ სექტემბრის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოვა საკავშირო შაქრის ტრესტის საპროექტო კომისია ინჟ. ბელოუსოვის, შევერგლიანსკის და აგრონომ შეველევის შემადგენლობით.

კომისიას დავალებული აქვს შეისწავლოს შაქრის ჭარხლის სამეურნეო რაიონები საქართველოში და გამოიკვლიოს ის ადგილი, სადაც განზრახულია შაქრის ქარხნის აგება.

მოაწერეთ ხელი სესხს!

მასწავლებლობა და სესხის კამპანია

განათლების კომისარ იატის მოწოდება

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს განათლების სახ. კომისარიატმა საქართველოს მასწავლებლობას მიმართა შემდეგი შინაარსის მოწოდებით:

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის ახალი სესხი ნახევარი მილიარდი მანეთის რაოდენობით. სესხის გამოშვების მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის ეკონომიურად ზრდას და კულტურულად წარმატებას.

ეს სესხი მით განირჩევა წინა ორი სესხისაგან, რომ ეს არის მუშათა და გლეხთა მთლიანი სესხი, რომლის რეალიზაციის საქმეს ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა სახელმწიფოს ყველა პატიოსანმა მოქალაქემ.

სესხის რეალიზაცია დაიწყება ამა წლის სექტემბრიდან და გასტანს 1 ნოემბრამდე. ამ სესხის 10 პროცენტი მოხმარდება სახალხო განათლების და სახალხო ჯანმრთელობის საქმის გაძლიერებას. ამ თანხით შეიქმნება უღარიბეს და ღარიბ გლეხობის ბავშთა დამხმარე სასკოლო ფონდი. გაძლიერდება წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა და სხ. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში მოეწყობა ახალი საავადმყოფოები, მიღებული იქნება პროფილაქტიური ზომები და სხ.

ასეთ დიდმნიშვნელოვან სესხის კამპანიის ჩატარებაში, საჭიროა სოფლის და ქალაქის მასწავლებლობამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მის წარმატებით რეალიზაციის საქმეს. მასწავლებლობამ მოწაფეების დახმარებით საჭიროა წინასწარ განიხილოს სესხის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და შემდეგ მოსახლეობის ფართო მასებში გააშუქოს სესხის მნიშვნელობა. მასწავლებლობამ უნდა შეაგნებინოს გლეხობას, რომ სესხი გამოშვებულია ქვეყნის მშრომელ ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათ საკეთილდღეოთ.

გარდა ამისა მასწავლებლებს ევალებათ სესხის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები პირველ რიგში დამუშაონ სკოლის ფარგლებში. ამ მიზნით საჭიროა სპეციალურ ტეხნიკუმებში, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, 9 წლედების უფროს ჯგუფებში მოეწყოს სპეციალური მოხსენებები სესხის მნიშვნელობის შესახებ. საკითხების შესწავლის შემდეგ სკოლის კოლექტივი წინასწარ შემუშავებული გეგმით ეხმარება ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებს სესხის კამპანიის ჩატარებაში, მათი დავალებით აწყობს სესხის საღამოებს, უშვებს კედლის გაზეთს, იმუშავებს ლოზუნგებს, პლაკატებს და სხვა.

მშრომელ მასებში ეწევა აგიტაციას სესხის სასარგებლოდ და აქეზებს მათ ობლიგაციების შესაძენად.

სესხის ქრონიკა

სესხის რეალიზაციის კამპანია რკინის გზებზე

ამ დღეებში ამიერ-კავკ. რკინის გზების სამმართველოსთან შესდგა, ადგილკომებისა და პროფ. აქტივის გაერთიანებული სადელეგატო კრება.

კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ყველა კოლექტივებში ჩატარდეს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

წინასწარი გამოანგარიშებით, ხელისმოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე 3.000.000 მანეთამდე მიაღწევს.

44.000 მანეთი

რკ. გზ. სადგურ ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 30 აგვისტოს, მოსმენილი იქნა სახ. ბანკის წარმომადგენელ ამხ. ინწკირველის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. კრებამ დაადგინა სესხზე მოაწერონ ხელი ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. ხელის მოწერის ჩატარება დაევალა კომისიას 10 კაცის შემადგენლობით. კომისიის ცნობით ხელის მოწერით შეგროვილი იქნება არა ნაკლები 44000 მანეთისა, რაც შეადგენს მუშა-მოსამსახურეთა ერთი თვის ხელფასს.

თბ. რკინის გზის საავადმყოფოს პროფაქტივის კრება

29 აგვისტოს შესდგა რკინის გზის საავადმყოფოს პროფაქტივის კრება დელეგატებთან ერთად. კრებაზე სესხის მნიშვნელობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. კვანტალიანმა, რომელმაც დამსწრეთ მოუწოდა კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

კრებამ ერთხმად დაადგინა სესხზე ხელი მოაწერონ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

50.000 მანეთი

30 აგვისტოს „25 კომუნარის სახელობის" ქარხანაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. ემჩინოვმა. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა სესხზე მოაწერონ ხელი ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც

15.000 მანეთი

სამხედრო საწყობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. ახაიოანმა. მოხსენების შემდეგ თანამშრომლებმა განაცხადეს სურვილი ხელი მოაწერონ სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. მათი ერთი თვის ხელფასი შეადგენს 15.000 მანეთს.

800.000 მანეთი

თბილისის აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 30 აგვისტოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. ნ. ქორიავამ. მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია; რომ მუშა-მოსამსახურეებმა სესხზე ხელი მოაწერონ არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობისა. თბილისის აღმასკო- ხელფასის რაოდენობის, რაც შეადგენს 9.000 მის მუშა-მოსამსახურეთა ერთი თვის ხელფასი უდრის 300.000 მანეთს.

დუშეთში

26 აგვისტოს ქ. დუშეთში შესდგა ქალაქის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების გაერთიანებული კრება, სათანადო მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „დუშეთის ქალაქის დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები სესხის ობლიგაციების შესაძენად სდებენ თითო თვის ხელფასს.

18.000 მანეთის ობლიგაციების შეძენა
(ბათომი)

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანია ბათომში წარმატებით მიმდინარეობს. 29 აგვისტოს შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება, რომელსაც დაესწრენ იუსტიციის, საბჭოთა ფლოტის, სახალხო კვების, აღმშენებელთა, მიწა-ტყის კავშირის და სხვა კავშირების წევრები. სესხის მნიშვნელობის და კამპანიის წარმატებით ჩატარების შესახებ მოხსენებების მოსმენის შემდეგ, კრებამ ერთსულოვნად დაადგინა კავშირის ყველა წევრმა შეიძინოს ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

სესხზე ხელისმოწერა უკვე ჩატარებულ იქნა ბათომის აღმასკომის თანამშრომელთა შორის სულ 12.000 მანეთის რაოდენობით. გაზ. „ფუხარა"-ს რედაქციის თანამშრომლებმა რიცხვით 5 კაცმა შეიძინეს 850 მანეთის ობლიგაციები.

მკერავთა შორის

მკერავთა კომიტეტში შესდგა მკერავ ხელოსნების საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქ. ფინსახკომის წარმომადგენლის ამხ. კუკვაძის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. კრებამ დაადგინა ობლიგაციები შეიძინოს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც შეადგენს, 9000 მანეთს.

8.200 მანეთი

30 აგვისტოს შესდგა კავკასიის წითელ დროშოსან არმიის სტამბისა და ლიტოგრაფიის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა ამხ. მარქაროვმა. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმად თანამშრომლები ხელს აწერენ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. მათი ერთი თვის ხელფასი შეადგენს 8.200 მანეთს.

ობლიგაციების პირველი პარტია

საქართველოს ფინსახკომისარიატმა მოსკოვიდან მიიღო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების პირველი პარტია 400.000 მანეთის რაოდენობით. ობლიგაციები უკვე დანაწილებულია ადგილებს შორის.

აღნიშნული ობლიგაციები დაეგზავნათ ადგილებს ნაღდ ფულზე გასასაღებლად.

სეზონურ მუშებს შორის

საქართველოს მუზეუმის შენობაზე მომუშავე სეზონური მუშების საერთო კრებაზე მოსმენილი იქნა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელ ამხ. ეგნაშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა უკლებლივ ყველა მუშამ შეიძინოს სესხის ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

პურის ნათესების კონტრაქტაცია

საქართველოს სახკომსაბჭომ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და სამაზრო აღმასკომებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც ნათქვამია, რომ გლეხის მეურნეობის გაუმჯობესების, მარცვლეულ კულტურათა ნათესების გაფართოვების და მოსავლიანობის გადიდების მიზნით. მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვის კამპანიაში პირველად იქნება შემოღებული წმინდა ხარისხოვან თესლით მწკრივათ დათესილ მიწების და არამწკრივ საშემოდგომო ხორბლეულის და ქერის ნათესების კონტრაქტაცია.

წელს საქართველოში კონტრაქტაცია გავრცელდება 7.000 ჰექტარ პურის ნათესზე. მთელი ამ რაოდენობიდან 1.000 ჰექტარი აუცილებლად უნდა იქნეს დათესილი მწკრივათ. კონტრაქტაცია მთლიანად უნდა გატარდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის მეშვეობით და კონტრაქტაციით მიღებულ მარცვლეულის რეალიზაცია უნდა მოხდეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმით.

საკონტრაქციო ნათესებზე ხელკრულებები ნებაყოფლობით საფუძველზე უნდა დაიდვას საადგილ-მამულო საზოგადოებებთან, საწარმოო შენაერთებთან და მთესველთა ჯგუფებთან.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ მთესველებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იქნეს განსაზღვრული მიწის სივრცის მწკრივათ დათესვა; თესლის გარკვევა, გაწმენდა, და დახარისხება; მიწის დამუშავება გაუმჯობესებული საშუალებებით და მიწის განოყიერება (ხელოვნური სასუქით).

მწკრივათ ნათეს ხორბალზე თვითეულ ჰექტარზე დაწესებულია ავანსი ათი მანეთის რაოდენობით, მწკრივათ ნათეს ქერზე—8 მანეთის რაოდენობით, ხოლო არამწკრივათ ნათეს ხორბალზე და ქერზე—6 მანეთი.

კონტრაქტაცია ხორბლეულის ნათესებზე დამთავრებული უნდა იქნეს ა. წ. პირველ ოქტომბრისათვის.

ვინაიდან საშემოდგომო თესვის კამპანიას აქვს დიდი აგრო-კულტურული მნიშვნელობა, ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ მიიღონ ყოველი ღონისძიება კონტრაქტაციის ნორმალური მსვლელობის უზრუნველსაყოფად. სახადგილ-მამულო განყოფილების მთელი აპარატი და სახსოფლო-მეურნეობის ყველა სპეციალისტი გამოყენებული უნდა იქნეს საშემოდგომო ნათესების კონტრაქტაციის დაკვრით წესით გატარების საქმეში.

ადგილობრივ საადგილ-მამულო განყოფილებებს და აგრონომებს ევალებათ ფაქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების საკონტრაქტაციო მუშაობაში და სათესლე მასალის დამზადებაში. მათ უნდა განუმარტონ გლეხობას საკონტრაქტაციო კამპანიის მნიშვნელობა და კამპანიის განმავლობაში ფართოდ უნდა გამოიყენონ აგრო-კულტურული ღონისძიებები.

სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულ იქნეს მთელი ასი პროცენტით.

თესვის ქრონიკა

იარაღ-მანქანებით მომარაგება

საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განაწილებული იქნა მაზრათა შორის ის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომელიც ამ დღეებში უნდა მიიღოს „სოფლის კავშირმა".

სულ მიღებული იქნება 794 გუთანი, რომლებიც განაწილებული იქნება შემდეგნაირად: ახალციხის მაზრას მიეცემა 177 ცალი, ახალქალაქის მაზრას—70 ცალი. კახეთის მაზრას—290, თბილისის მაზრას—40, გორის მაზრას—105, სამხრეთ-ოსეთს—67, ბორჩალოს მაზრას—50 და დასავლეთ საქართველოს—95 ცალი გუთანი.

გარდა ამისა მიღებული იქნება 81 ცალი თეფშიანი ფარცხი, რომლებიც განაწილებული იქნება შემდეგნაირად: თბილისის მაზრას მიეცემა—1 ცალი, გორის მაზრას 3, კახეთის მაზრას—27 ცალი; მიღებული იქნება აგრეთვე 20 ცალი ზიგზაგი ფარცხი, რომლიდანაც რაჭის მაზრას მიეცემა—10 ცალი, კახეთის მაზრას—5, და გორის მაზრას 5 ცალი.

გარდა ამისა მიღებული იქნება 18 ცალი მწკრივათ სათესი ორთეფშიანი მანქანა, რომლიდანაც—კახეთის მაზრას მიეცემა—8 ცალი, გორის მაზრას—7 და ბორჩალოს მაზრას—3 ცალი.

მიღებული იქნება აგრეთვე 20 ცალი ტრიერი. აქედან თბილისის მაზრას მიეცემა—2 ც., კახეთის მაზრას—10 და გორის მაზრას—8 ცალი.

ახლო მომავალში სოფლის კავშირი „ზაკსელმაშის" საშუალებით მიიღებს ტრაქტორების ახალ პარტიას, რომლებიც დაუყოვნებლივ იქნება განაწილებული და გაიგზავნება ადგილებზე.

ფინანსები საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიის ცნობით, სათესლე მასალის შესაძენათ საქართველოში გადადებულია 205.000 მანეთი. მუშა-საქონლის შესაძენათ 85.000 მანეთი, მანქანა-იარაღების და ტრაქტორების შესაძენათ, შემკეთებელი სახელოსნოების მოსაწყობად და არსებულ შემკეთებელ სახელოსნოების გასაფართოვებლად გადადებულია 210.000 მანეთი, მუშა-საქონლის საკვების შესაძენათ—70.000 მანეთი.

საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები

საქართველოში საბჭოთა არჩევნები ჩატარებული იქნება 1929 წლის იანვარში, თებერვალში და დამთავრდება მარტის ბოლო რიცხვებში. არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყება მიმდინარე წლის დეკემბრიდან.

ვინაიდან საქართველოს მთიან ადგილებში არჩევნების წარმატებით ჩატარება შეუძლებელი იქნება ზამთარში, საქართველოს ცაკმა გადასწყვიტა საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები დაიწყოს ზაფხულის პერიოდში.

საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები ჩატარებული იქნება ხევსურეთის ოთხ თემში, სახელდობრ ბარისახოში, ბაცალკოში, რაიმკაში და არხოტში (თბილისის მაზრა). არჩევნები ამასთანავე ჩატარებული იქნება თბილისის მაზრის ორ თემში—კოშში და ყაზბეგში და კახეთის მაზრის მთა-თუშეთში.

ცაკის დადგენილებით საბჭოთა არჩევნები ვადამდე აგრეთვე ჩატარებული იქნება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკის მთაგორიან ადგილებში.

თბილისის და კახეთის მაზრების ზევით ჩამოთვლილ თემებში საბჭოთა ნაწილობრივ არჩევნების ჩატარებას უხელმძღვანელებს თბილისის და კახეთის აღმასკომებთან არსებული საორგანიზაციო განყოფილებები, ხოლო თვით თემებში დაარსებული იქნება საარჩევნო კომისიები საერთო საარჩევნო წესით.

სამხრეთ-ოსეთში კი არჩევნებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევათ დაარსებული იქნება საოლქო საარჩევნო კომისია, ვინაიდან სამხრეთ-ოსეთი თითქმის მთლიანად წარმოადგენს მთაგორიან ადგილებს, ამის გამო იქ საბჭოთა ნაწილობრივ არჩევნებს ექნება უფრო ფართო ხასიათი.

ზაფხულის პერიოდში არჩეული თემის საბჭოები დელეგატებს ყრილობისათვის აირჩევენ არა ეხლა, არამედ საერთო არჩევნების დროს საერთო წესით. ნაწილობრივი არჩევნები ჩატარებული იქნება იმავე გზით, როგორც საერთო არჩევნები. არჩევნების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საბჭოებში პროლეტარულ ხელმძღვანელობის გაძლიერებას და ღარიბ და საშუალო გლეხების კავშირის გაღრმავებას. ამავე დროს მიღებული იქნება ზომები, რათა არჩევნების დროს მოხდეს კულაკური ნაწილის სრული იზოლიაცია.

ამასთან ერთად მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები, რათა ახალ საბჭოში ჩაბმული იქნეს ქალების და მოჯამაგირეების მეტი რიცხვი.

საარჩევნო ყრილობებზე გაშუქებული იქნება საკითხები საბჭოთა კავშირის თავდაცვის, ინდუსტრიალურ მეორე სესხის და თვითკრიტიკის მნიშვნელობის შესახებ. აგრეთვე ყურადღება მიექცევა იმ გარემოებასაც, რათა ამრჩევლებმა საბჭოებს მისცენ თემის ფინანსიურ და საშუალებათა გათვალისწინებით შედგენილი ნაკაზები, რომ საბჭოებს საშუალება ექნეთ ნაკაზები განახორციელონ თემის შესაძლებლობათა ფარგლებში.

ნაწილობრივი არჩევნები ცაკის დადგენილებით უნდა დაიწყოს 1-ლ სექტემბრიდან და დამთავრდეს 15 ოქტომბრამდე. საბჭოთა ნაწილობრივ არჩევნებს საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს საქ. ცაკთან არსებული საორგანიზაციო განყოფილება.

რაჭა-ლეჩხუმში
(წერილი ცაგერიდან)

რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანების გამო კომისიამ ამხ. კირილე კაკაბაძის თავმჯდომარეობით მოუხდა ამ ორ მაზრაში შემავალ განაპირა კუთხეების შემოვლა. კომისიის მიზანს შეადგენდა მიეცა საჭირო ახსნა-განმარტებანი მოსახლეობისათვის, რომელიც ნაწილობრივ კმაყოფილი ვერ იყო გაერთიანებით. უკმაყოფილების მიზეზად ასახელებდენ მაზრის ცენტრის დაშორებას, განსაკუთრებით იმ რაიონებისათვის, სადაც გზები უვარგისია.

ჩემი წერილის მიზანს შეადგენს კომისიის ნამუშევარისა და აგრეთვე იმ საკითხების გაშუქება, რომლის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მოსახლეობისათვის.

კომისიამ მუშაობა დაიწყო ცაგერიდან. პირველად გაემგზავრა ქვემო-სვანეთში, ლენტეხის თემსაბჭოს სხდომაზე და გააცნო გლეხობას მთავრობის გადაწყვეტილება რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანების საჭიროებაზე. დამსწრენი, როგორც საბჭოს წევრები, აგრეთვე არა წევრებიც გამოსთქვამდენ ერთგვარ შიშს იმის გამო, რომ მაზრების გაერთიანების შემდეგ და ცენტრის გადატანით ცაგერიდან ქრებალოში მათ დაშორდებოდათ სამაზრო ხელისუფლების ორგანოები.

ამ შიშს გლეხები ამნაირად ასაბუთებდნენ: „ჩვენ ყოველ მხრივ ჩამორჩენილი ვართ, არ მოგვეპოვება გზა, არ არის ტელეფონი, კოოპერატივს მოაქვს საქონელი, მაგრამ ხშირად ვერ გვაწვდის ზოგიერთ პირველ მოთხოვნილების საგნებს, როგორიცაა მარილი, ასანთი, ნავთი და სხვ. ხოლო ჩვენი ჩამორჩენილობის მიზეზი კი უგზობაა. ამ ბოლო დროს ლეჩხუმის მაზრამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და დასვა საკითხი ქვემო-სვანეთში გზის გაყვანის შესახებ, ამიტომ ჩვენ ვშიშობთ, როცა ცენტრი დაგვიშორდება, შეიძლება გზა არ გაიყვანონო".

ასეთ მოსაზრებას დაეთანხმა დამსწრეთა თითქმის უმრავლესობა, მაგრამ როდესაც კომისიის წევრებმა მისცეს სწორი ახსნა-განმარტება, რომ მაზრების გაერთიანებით საგრძნობლად შემცირდება ადმინისტრატიული ხარჯები და ამ მომჭირნეობით მიღებული თანხები გამოყენებული იქნება გზების გასაყვანად და კულტურული დანიშნულებისათვის, მაშინ დამსწრე გლეხობამ კმაყოფილება გამოსთქვა მთავრობის დადგენილებით, მხოლოდ დასძინეს, რომ გაერთიანებული მაზრის ხელისუფლებამ მეტი ყურადღება მიაქციოს ისეთ ჩამორჩენილ კუთხეს, როგორიცაა ქვემო-სვანეთი და ახლო მომავალში აქ გაიყვანოს საურმე გზა. გლეხები თავის მხრივ აღუთქვამენ, რომ მათ მიერ უსასყიდლოთ იქნება შესრულებული ყოველივე სამუშაო, რომლის გაკეთება შეუძლია არაკვალიფიციურ მუშას. „ვიმუშავებთ განსაზღვრული დროის განმავლობაში, მანამ, სანამ გზა არ იქნება გაყვანილი"—ასე აცხადებდნენ საუბრის დროს კრებაზე დამსწრე გლეხები.

ასეთივე აზრი გამოითქვა ჩოლურის და ლაშხეთის თემის მოსახლეობის მიერაც.

კომისიამ ქვემო-სვანეთში შემავალ სამ თემში (ლენტეხი, ჩოლური და ლაშხეთი), მოგზაურობიდან შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: ქვემო-სვანების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მომხრეა რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანების ერთი უფრო ძლიერი ცენტრის ჩამოყალიბებით.

გლეხობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს განაპირა, ჩამორჩენილ კუთხეებს, სთხოვენ ხელისუფლებას, რომ გაერთიანების შემდეგ, ის ყურადღება არ შესუსტდეს. რომ ყურადღების შესუსტებას ადგილი არ ექნება, ეს მშვენივრად გამოხატა თავის სიტყვაში კრებაზე დამსწრე სვანმა გლეხმა, რომელმაც შემდეგი თქვა: „ჩვენ ვსთხოვთ ჩვენს უმაღლეს ხელისუფლებას, რომ მან აღმოგვიჩინოს დახმარება გზების გაყვანის საქმეში, სკოლების გახსნაში და სხვ. ამავე დროს ზოგიერთი ჩვენთაგანი ფიქრობს, რომ მთავრობამ შეამციროს ზედმეტი, უმიზნო ხარჯები. ჩვენმა მთავრობამ ჩვენზე უკეთესად იცის, თუ როგორ გააუმჯობესოს მშრომელი გლეხობის მდგომარეობა. ამ მიზნით არის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომ შემცირდეს ზედმეტი ხარჯები, რომელიც მოხმარდება გზებისა და სხვა საჭიროებებს".

სრული სიმართლეა სვანი გლეხის ასეთი შეხედულება. თვითეული კაპეიკი, რომელსაც მივიღებთ მაზრების გაერთიანების გამო, მოხმარდება ორივე მაზრის ჩამორჩენილი კუთხეების მშრომელ გლეხობის კეთილდღეობას.

საჭიროა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვემო-სვანეთში გზის გაყვანას. ამის შესახებ დღემდისაც დაწერილა და ნაწილობრივად ზომებიც იქნა მიღებული გზის გასაყვანად, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ გზათა სამმართველო დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს. მომავალში ასეთ უყურადღებობას ბოლო უნდა მოეღოს. მაზრების გაერთიანების შემდეგ ქვემო-სვანეთის მოსახლეობა გზის გაყვანის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს გაერთიანებულ მაზრების ცენტრს—ქრებალოს.

მაგრამ მარტო ამით არ შეიძლება განისაზღვროს ქვემო-სვანეთში გზის გაყვანის მნიშვნელობა. მას ექნება აგრეთვე სხვა უპირატესობანიც. ქვემო-სვანეთი წარმოადგენს საუკეთესო ბუნებით დაჯილდოებულ კუთხეს, სხვა და სხვა ძვირფასი სიმდიდრეებით, როგორიცაა სამკურნალო მინერალური წყლები, დიდი მარაგი საექსპლოატაციო ტყისა, სათიბ-საძოვრები. ყოველივე ამ სიმდიდრეების (გარდა ხე-ტყისა) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ქვემო-სვანეთში გზა იქნება გაყვანილი. რაც შეეხება ხე-ტყის ექსპლოატაციას, ამ საქმეს აწარმოებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხე-ტყის დამამზადებელი განყოფილება. მაგრამ აქ ადგილი აქვს ყოველგვარ უგეგმობას ხე-ტყის დამზადების საქმეში. ხე-ტყის სწორი ექსპლოატაციის მაგივრად, ხდება ქვემო-სვანეთის ტყეების გაჩეხვა-განადგურება. თუ კი მომავალში ერთგვარი საზღვარი არ დაედო ამგვარ უგეგმობას ხე-ტყის დამზადების საქმეში, — ქვემო-სვანეთის ტყეები საბოლოოდ განადგურდება.

ვერ არის აგრეთვე მოგვარებული ხე-ტყეზე მომუშავე მუშების მდგომარეობა ხელფასის დროზე მიღების მხრივ. ამის გამო გლეხები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ კომისიის წინაშე ხე-ტყის მწარმოებლების მიმართ.

ამ მდგომარეობას ისიც უწყობს ხელს, რომ არ ხდება გამფლანგველების თავის დროზე დასჯა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ 1926 წელში მომხდარი გაფლანგვა, რომლის რაოდენობა წინასწარი გამოკვლევით უდრის 60.000 მან. ეს საქმე ჯერ კიდევ არ გარკვეულა, ხოლო დამნაშავენი კი თავიდებს ქვეშ განთავისუფლებულნი არიან და მგონი კიდევაც მსახურობენ. ალბად ამან წაათამამა შემდეგი გამფლანგველებიც და მიმდინარე წელშიაც განმეორდა ასეთივე შემთხვევა (გაფლანგვა), მაგრამ უფრო ნაკლები რაოდენობით.

საერთოდ კი შეგვიძლია გამოვიყვანოთ ისეთი დასკვნა, რომ ამიერ-კავკასიის ხე-ტყის დამამზადებელ განყ. ქვემო-სვანეთის რაიონის რწმუნებაში ხრ-2 სახით, საქმე ვერ არის რიგზე.

ქვემო-სვანეთის დათვალიერების შემდეგ კომისია გაემგზავრა ლაფურის მაღლობზე. გადავედით რაჭის მაზრის შორეულ თემებში.

სანამ რაჭის მაზრის შორეულ თემების მცხოვრებთა დამოკიდებულებას შევეხებოდით გაერთიანების საკითხზე, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ლაფურის მთის თვალუწვდენელ სივრცეზე არის მეტის-მეტად მდიდარი სათიბ-საძოვრები. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ სიმდიდრის გამოყენება ხდება მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით და ისიც საძოვრის სახით. უმეტესი ნაწილი კი იკარგება წლიდან-წლამდე სრულიად გამოუყენებლად.

ჩვენის აზრით ლაფურის სიმდიდრის გამოყენებაზე უნდა დაისვას საკითხი. ეს შესაძლებელია, თუ გადადგმული იქნება ნაბიჯი სათანადო ორგანოების მიერ, რომ აქვე ჩამოყალიბდეს მესაქონლეობის კოლექტივი. მესაქონლეობისათვის არსებობს საუცხოვო პირობები საქონლის გამოსაკვებავად, როგორც ზაფხულში საძოვრები, აგრეთვე ზამთარშიაც სათიბები.

რაჭის მაზრაში კომისიამ პირველად ინახულა ღების თემი. ის ითვლება ყველაზე დაშორებულ თემად. აქ გლეხობასთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ თემის მოსახლეობა უკვე გაცნობილია მაზრების გაერთიანების საკითხს. ალბად ამას მიეწერება, რომ ღების თემის გლეხობისათვის მაზრების გაერთიანების საკითხი აღარ იდგა პირველხარისხოვან საკითხად.

საერთოდ რაჭის მაზრის შორეულ თემების გლეხობასთან საუბრიდან კომისიამ ის აზრი გამოიტანა, რომ გლეხობა მომხრეა რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანების.

შეიძლება ითქვას, რომ როგორც ლეჩხუმის, ისე რაჭის მაზრის შორეულ თემების მშრომელი მოსახლეობის უმთავრესი საჭირბოროტო საკითხი არის უგზობა. თუ ეს მთავარი დაბრკოლება უგზობა დაძლეულ იქნა (და ეს უსათუოდ უნდა მოხდეს), იმ შემთხვევაში ორივე მაზრის მშრომელი გლეხობისათვის სავსებით მისაღებია ამ ორი მაზრის გაერთიანება.

აქ არ შეიძლება ადგილობრივი მშენებლობის სახით განისაზღვროს გზის გაყვანის საკითხი. რაჭის მაზრაც დაჯილდოვებულია სხვადასხვა სიმდიდრეებით, რომლის გამოყენებას ხელს უშლის უგზობა. სხვას რომ თავი დავანებოთ, აღსანიშნავია უკვე ყველასათვის ცნობილი კურორტი შოვი.

უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო მოვლენა, რომ კურორტის კეთილმოწყობისათვის დიდი ენერგია დაუხარჯავთ ამ საქმის მეთაურებს და ამ მხრივ კარგი შედეგებიც გვაქვს; მომავალი კურორტ შოვს დიდი აქვს, მაგრამ რამდენადაც თვით შოვის ადგილ-მდებარეობა მეტის-მეტად დაჯილდოვებულია ბუნებისაგან თავის მინერალური სამკურნალო წყლებით და აგრეთვე ახლად აგებული საუკეთესო შენობებით, იმდენად ცუდია კურორტზე მისასვლელი გზა. მართალია, ამ გზას სახელად უწოდებენ საავტომობილო გზას, მაგრამ სინამდვილეში რომ ეს სახელწოდება მართლაც გამართლებულ იქნას, ამისათვის საჭიროა არსებული გზის კაპიტალური შეკეთება.

ზემო აღნიშნულიდან და კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი საერთო დასკვნა: ორთავე მაზრის მშრომელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სრულიად იზიარებს ხელისუფლების გადაწყვეტილებას ამ ორი ეკონომიურად სუსტი მაზრის გაერთიანების შესახებ ერთ ეკონომიურად უფრო ძლიერ ერთეულად. რაც შეეხება მოსახლეობის მცირედ ნაწილს, რომელშიაც ნაწილობრივად გაუგებრობას იწვევდა გაერთიანებული მაზრის ახალი ცენტრის დაშორება, ამისი უმთავრესი მიზეზია უგზობა. მიყრუებულ კუთხეში მცხოვრები მოსახლეობა დარწმუნდა იმაში, რომ საგზაო მშენებლობა, მაზრების გაერთიანების შემდეგ, არა თუ შემცირდება, არამედ უფრო გაფართოვდება.

რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებული მაზრის ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს, შესაფერისად გამოიყენოს მაზრაში არსებული სიმდიდრეები, რომ მომავალში არ განმეორდეს ამ სიმდიდრეთა განადგურება.

ორივე მაზრაში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეების რაციონალურად გამოყენებით, მშრომელი მოსახლეობის ენერგიული შრომით და აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლების დახმარებით, რაჭა-ლეჩხუმის მშრომელ გლეხობაშ იმედი უნდა იქონიოს, რომ მათი დიდი ხნის სურვილი გზების გაყვანის საქმეში, მათივე უშუალო მონაწილეობით მალე იქნება განხორციელებული.

ან. სიამაშვილი.

კახეთის სოფლებში
(ექიმის შთაბეჭდილებანი *)

პანკისის ხეობიდან დაბრუნებული ჯ. ს. კ. სამეანო-გინეკოლოგიური რაზმი სამუშაოდ შეჩერდა ს. მატანში. პანკისში მუშაობის დროს გამოირკვა, რომ სხვადასხვა სოციალური სნეულებანი: მალარია, ტუბერკულიოზი, მუცლის მოშლა, ათაშანგი და ვენერიული დაავადმყოფება, ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებში ქისტებში, ფშაველებში და ოსებში ნაკლებად არის გავრცელებული. აქედან მალარიით და ტუბერკულიოზით დაავადების შემთხვევები უფრო ხშირია, ვიდრე ვენერიული სნეულებანი და ათაშანგი. ძალიან იშვიათი შემთხვევაა აქ მუცლის მოშლაც, რაც იმით უნდა ავხსნათ, რომ, ქისტებში მუცლის მოშლა მიუღებელ და მეტად სასირცხვო საქმედაა აღიარებული.

ს. მატანში სულ სხვა, სამწუხარო სურათი გადაგვეშალა თვალწინ. აქ ფართოდ მოდებული აღმოჩნდა მალარია და ტუბერკულიოზი. ხშირი იყო ლიმფური ჯირკვლების, მუცლის აპკისა და ფილტვების ტუბერკულიოზი. ვენერიული სნეულებანი და ათაშანგიც საკმაოდაა გავრცელებული. ამ საერთო უბედურებას მუცლის მოწყვეტის ხშირი შემთხვევებიც ემატება. ძნელად მოიპოვება ისეთი გათხოვილი ქალი, რომელსაც ბოროტი განზრახვით არ გაეცუდებინოს მუცელი. მათ მუცლის გაცუდების პროცესი უბრალო, მარტივ საქმედ მიაჩნიათ, რომელიც ვითომც არავითარ ზიანს არ აყენებს მათ სხეულს, ამიტომ ექიმის შეწუხება და მისგან დახმარების მიღება, ზედმეტად მიაჩნიათ, მეტად გართულებულ შემთხვევაშიაც კი.

მუცლის მოშლას აწარმოებენ სოფლის ექიმბაშები, ჟანგიანი წინდის ჩხირით, ხარის ძირბალახის და მძლავრად მომქმედ წამლეულობის საშოში და საშვილოსნოს ღრუში შეტანით. ამგვარ „მკურნალობას" თან მოსდევს ადგილობრივი და საერთო ხასიათის მძიმე და განუკურნებელი გართულებები: მწვავე სისხლნაკლებობა, სხეულის დაუძლურება, სასქესო ორგანოების დაავადებანი, უშვილობა და ათასი სხვაგვარი სენი. არ არის იშვიათი სიკვდილის შემთხვევებიც.

თუ რამდენად ზერელედ უყურებენ პრიმიტიული წესით გამოწვეულ მუცლის მოშლას ეს აშკარად სჩანს ქვემოდ მოყვანილი შემთხვევიდან. ერთ მუცელ გაცუდებულ მომაკვდავ ქალთან მიგვიწვიეს დასახმარებლად, რომლისათვისაც ოთხი დღის წინად ექიმბაშს მუცელი წაუხდენია. ზედმეტი სისხლის მდინარეობის გამო ქალს ფერი დაკარგოდა და გულზე ეყრებოდა, ლაპარაკს თითქმის ველარ ახერხებდა სისუსტით, საქმის ნამდვილ ვითარებას კი გვიმალავდა.

როდესაც აუხსენით, რომ მას მუცელი აქვს გაცუდებული და ესაჭიროება ოპერაცია, რომელიც დანამდვილებით გაანთავისუფლებდა მას სისხლის ჭარბად დენისაგან გვიპასუხა: „ჩვენი სოფლის ქალები მუცელს ხშირად იხდენენ, მაგრამ ამისათვის ექიმს არავინ აწუხებს. მე ექიმობა არ მესაჭიროება, თუ გაუძლი ავადმყოფობა თვითონ გაივლისო". ასეთი შეხედულებაა აქ გავრცელებული მუცლის გაცუდებაზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქალები ორსულობის დროს მშობიარობისა და მუცლის მოშლის შემთხვევებში სამკურნალო დახმარებას, როგორც დაკვირვებიდან ირკვევა, გაურბიან. ეს გარემოება იმით უნდა ავხსნათ, რომ მოსახლეობა ყველაზე უფრო ნაკლებ დახმარებას და შველას ექიმისაგან იღებს ამ შემთხვევაში და ამიტომ სპეციალობის ამ დარგშიც ნაკლებად ერკვევა, რის გამო ექიმბაშების გავლენის ქვეშ ექცევა. საკმარისი იყო რამოდენიმე მაგალითის მიცემა, რომ მდგომარეობა სავსებით შეიცვლილიყო.

მუშაობის დაწყების პირველ დღეებში როგორც სხვა, ისე ქალური სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფები ოპერაციების გაკეთებაზე თხოვნით თავს გვაბეზრებდენ, მაგრამ არც ერთი მუცელ გაცუდებული ქალი ჩვენთან არ მოსულა, მიუხედავად იმისა, რომ მარტო ს. მატანში ამ დროს შვიდი, მძიმე გართულებულ მდგომარეობაში მყოფი მუცელ გაცუდებული ავადმყოფი იყო. მხოლოდ ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი ხალხს დაენახა, რომ როგორც მუცლის გაცუდების შემთხვევები, ისე მშობიარობის დროს ექიმის თვალყურის დევნება და დახმარება აუცილებელია. სასწრაფოდ შეგვატყობინეს, რომ ერთ-ერთი მშობიარე ქალი განსაცდელშია და სისხლის ძლიერი მდინარეობისაგან ლამის წუთისოფელს გამოესალმოს. მისვლისთანავე შევამჩნიეთ, რომ არა ბუნებრივ მოვლენასთან გვქონდა საქმე. ბავშის დაბადების შემდგომ, ქალი მომყოლისაგან არ განთავისუფლებულა, რაც იწვევდა შეუჩერებელ სისხლის დენას. მომყოლი მჭიდროთ იყო შეზრდილი საშვილოსნოს კედლებთან. საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი აუცილებელი იყო. ჩვენს მისვლამდე ქალს იმდენი სისხლი დაეკარგა, რომ მას სიცოცხლის ნიშნებიც კი ეკარგებოდა. ავადმყოფს თავს ადგა ექიმბაში, სოფლის ბებია, რომელსაც მშობიარე იატაკზე სისხლით გაჟღენთილი ჭუჭყიან ჩვრებში ჩაეჯინა. ვინაიდან ბებიას დახმარების გაწევა არ შეეძლო, ის გულ-ხელ დაკრეფილი უცდიდა, როდის გამოესალმებოდა სიცოცხლეს მშობიარე.

დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები და ქალი სიკვდილს გადარჩა. ამის მნახველმა, მუცელ გაცუდებულის ახლობელმა ქალებმა გვთხოვეს მათთვინაც გაგვეკეთებია ოპერაცია. ერთ მათგანს დაუსრულებელი მუცლის მოწყვეტის მე-8 დღეზე გაუკეთდა, უგრძნობ მდგომარეობაში მყოფს ოპერაცია, ოპერაციამ ის სიკვდილისაგან იხსნა. ამის შემდეგ დახმარებისათვის მოგვმართა ექვსმა მუცელ გაცუდებულმა ქალმა. მუცელ მოშლილთა ასეთი რაოდენობა ისეთ მცირერიცხოვან სოფლისათვის, როგორიც ს. მატანია ძალზე დიდ პროცენტად უნდა ჩაითვალოს.

ს. მატანში მრავლად ჩამოდიოდნენ სამკურნალო დახმარების მისაღებად, როგორც პანკისის ხეობის მცხოვრებლები, ისე სხვა ახლო და შორს მდებარე სოფლებიდან, რომლებსაც ვაკმაყოფილებდით უფასო წამლეულობით, კანქვეშ გასაკეთებელი ხსნარებით, რჩევა-დარიგების მიცემით და სხვ. რაზმმა მოკლე დროში გაატარა 700-მდე ავადმყოფი, საიდანაც ქალური სნეულებიანი ავადმყოფები აღმოჩნდნენ 82. გაკეთდა 42 სამეანო-გინეკოლოგიური და რამოდენიმე წმინდა ქირურგიული ხასიათის ოპერაციები.

ს. მატანიდან რაზმი გადავიდა გომბორის მთების მიდამოებში ფშავ-ხევსურებისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

თეთრი წყლები დაშორებულია ქ. თელავიდან 19—20 კილომეტრით და გაშენებულია შიდა და გარე კახეთის გამყოფ ცივგომბორის მთების ჩრდილო-კალთების მიფენებაზე. თბილისიდან თელავში მიმავალი შარა-გზა გადაჭრის გომბორის მთებს და შუაში გაუვლის თეთრი წყლების სოფლებს. ეს სოფლები დაახლოებით 1500—1800 მეტრით არის ზღვის ზედაპირზე მაღლა. ბუნება აღმაფრთოვანებელია. ჰავა გრილი და საღია. გარშემო მდებარე მთები შემოსილია ხშირი წიფელის, ტყეებით. მთის კალთები დაფარულია სქელი სათიბებით, საძოვრებით, კარგი და უხვი მოსავლის პირის მქონე ქერის და კარტოფილის ყანებით. სხვა მოსავალი გრილი ჰავის გამო არ მოდის.

აქ მდიდარი არიან ოთხფეხა საქონლით და რძის ნაწარმოებით. მთელი მოსახლეობა შესდგება 180 კომლ ფშავ-ხევსურებისაგან. მცხოვრებთა უმეტესობას ხევსურები შეადგენენ, რომლებიც გადმოსახლებული არიან ხევსურეთიდან ამ 25—30 წლის წინად. მათი გადმოსახლება ამჟამადაც გრძელდება. აქაური ფშაველები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ, როგორც შენების, ისე სიფაქიზე-სიწმინდის მხრივ. ხევსურლები სიწმინდეს უფრო ნაკლებ მისდევენ. ხაცვლებს, გარდა გამონაკლის შემთხვევებისა, არ იცვამენ. სცხოვრობენ მიწურ გომურებში საქონელთან ერთად, ზაფხულობით საქონელს გარედ აბამენ და თვითონ გომურის ბერზე ცხოვრობენ. მიუხედავად ცუდი ჰიგიენური პირობებისა, აქაური მცხოვრებლები იშვიათი ჯანსაღობით არიან დაჯილდოებული. სნეულობა აქ იშვიათი მოვლენაა. უმთავრესად ადგილი აქვს—ტრამვატიული და გაციების ნიადაგზე გამოწვეულ სხეულის დაზიანებას. ჭლექი, ციება, ათაშანგი და სხვა აქ არ არის გავრცელებული. შედარებით იშვიათია ქალური ავადმყოფობაც. მაგრამ ყველაზე უფრო დამაფიქრებელ და სამწუხარო უვიც ჩვეულებას მაგრად მოუკიდებია ფეხი ხევსურის ქალებში. ეს ჩვეულება შეეხება თვიურში და მშობიარედ მყოფ ქალებს. არსებული ძველი წესის მიხედვით თვიურისა და მშობიარობის პერიოდში ქალები საცხოვრებელ ბინებში არ ჩერდებიან. ამ ორი ბუნებრივი მოვლენის დროს, ქალი უწმინდურ და ოჯახიდან გარიცხულ სულიერად ითვლება. ამ დროს მას უფლება არა აქვს შინ დარჩეს და ან რაიმე საქმეს მოჰკიდოს ხელი. ქალს მშობიარობის მხოლოდ 1 თვის შემდეგ შეუძლია ბინაში შესვლა, მანამდე ზამთრობით ბოსელში აქვს თავშესაფარი. ზაფხულობით კი განსაკუთრებულად აგებულ კარავში რჩება განსაზღვრულ დრომდე. იქ მათ წყალს და საჭმელს შეუგდებენ ქალები. ცხადია, ამნაირი მავნე ჩვეულება, სიცივე, სიბინძურე, მშიერ-მწყურვალე ყოფნა, თავის დაღსასვამს ქალისა და მის მომავალი შთამომავლობის ჯანსაღობას. ეს საზიზღარი ჩვეულება რომ არ აწუხებდეს აქაურებს, ისინი გაცილებით უფრო ჯანსაღი იქნებიან.

ჩვენ ქალისათვის მეტად დასამცირებელი სურათი ვნახეთ მთაში. ერთმა ხევსურმა წაგვიყვანა მელოგინე ცოლთან, რომელსაც ავადმყოფობა გართულებოდა. საჯოგესტან ახლო, ხის ქვეშ მიეფარებია მას რამდენიმე ყავრის ნაჭრები და შიგ ნადირივით მოეთავსებია მელოგინე, ტყუპი სუსტი ბავშებით. ახალ შობილთა ნაზი და სათუთი სხეული საჭიროებდა მოვლა-პატრონობას, სისუფთავეს და სითბოს, კარავში კი ქარი და წვიმა ისეთივე ხშირი სტუმარი იყო, როგორც მთის კალთებზე. ასეთ პირობებში მელოგინესა და ბავშების გადარჩენა სასწაულად უნდა ჩაითვალოს.

ამ საკითხის შესახებ ადგილობრივ საუბარი გავმართეთ მოწინავე ხევსურებში და ვურჩიეთ მათ გაელაშქრათ დამღუპველ ჩვეულების წინააღმდეგ.

თეთრი წყლებიდან რაზმი სამუშაოდ გადადის ალაზნის გაღმა.

ექ. ახვლედიანი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 165.

ქრონიკა

თვითფრინავ „კ 4" გადაფრენა

გუშინ, დილის 5 საათზე თბილისიდან ხარკოვში გაფრინდა კალინინის კონსტრუქციის თვითფრინავი „კ 4". თვითფრინავი დილის 7 ნახ. ს. მიფრინდა სოხუმში, საიდანაც გაემართა კრასნოდარის მიმართულებით.

ქაღალდის ფაბრიკა

ენგურის ქაღალდის ფაბრიკის სამშენებლო სამუშაოების მთავარი ინჟ. კორინაშვილი, საკავშირო სახ. მეურ. უმ. საბჭომ და საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭომ მიავლინა გერმანიაში ქაღალდის მრეწველობაში ახალ ტეხნიკურ მიღწევებთან გასაცნობათ.

აბჰესი—ქუთაისი

ქუთაისისათვის და მისი წარმოება-დაწესებულებებისათვის ენერგიის მისაწოდებლად ამჟამად აბჰესიდან (აბაშის სადგური) ქუთაისამდე გაჰყავთ ენერგიის გადამცემი ხაზი. რიონჰესის ამუშავების შემდეგ ეს ხაზი გამოყენებული იქნება რიონჰესის და აბჰესის ენერგიის შესაერთებლად. ხაზის გაყვანა ჯდება — 330.000 მანეთი. ხაზი მზად იქნება ნოემბერში.

ზაჰესის ენერგიის გამოყენება

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილების ცნობით განზრახულია საგარეჯოს და თეთრწყალის საელექტროფიკაციოთ გამოყენებული იქნეს ზაჰესის ენერგია. ამ მიზნით გადადებულია — 618.000 მანეთი. აღნიშნულ ადგილებში ზაჰესის ენერგიის გადამცემ ხაზების და ქვესადგურების მოსაწყობათ წინასწარი მუშაობა დაიწყება მომავალ საბიუჯეტო წლიდან. ზაჰესი აგრეთვე ენერგიას მიაწვდის კასპის ცემენტის ქარხანას და მის რაიონს.

სიღნაღის აღმასკომში

◆ **წყალსადენი სოფლად.** თბ. აღმასკომი მაზრის სოფლებში შეუდგა წყალსადენის გაყვანას.

მიწსახკომში

◆ **მეცხოველეობის განსავითარებლად** მიწსახკომი მომავალ წელში დახარჯავს 252.000 მანეთს.

◆ **სასოფლო-სამეურნეო დარგში სპეციალისტების** მოსამზადებლად მიწსახკომს გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთ გააგზავნოს უმაღლეს სასწავლებლის 2 კურსდამთავრებული.

◆ **შემოდგომის თესვის კამპანიის** ჩასატარებლად მიწსახკომმა წინადადება მისცა ადგილებს დაარსონ კამპანიის ჩამტარებელი კომისიები, როგორც მაზრებში, ისე თემებში.

სახალხო განათლება

◆ **სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის** ახალ შენობის ასაგებად შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დამატებით გადასდო 6.516 მან.

◆ **ებრაული სკოლა.** დაბა ჩხარში მომავალ სასწავლო წლიდან გაიხსნება ებრაული 4-წლედი.

◆ აჭარის წყალში (აჭარისტანი) გლეხები თავიანთი საშუალებებით აგებენ სკოლისათვის ახალ შენობას.

◆ **მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსების** საჭიროებისათვის შორაპნის აღმასკომმა გადასდო 1.764 მ.

საქ. საგეგმო კომისიაში

◆ **სამელიორაციო ამხანაგობები.** საქართვ. საგეგმო კომისიამ დაადგინა სამელიორაციო ამხანაგობები შეყვანილი იქნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელში.

◆ **ზაფხულის საძოვრებზე** საივარო გადასახადის ვადათ დაწესებულია იქნა 1 ივნისი, ზამთრის საძოვრებზე—1 ოქტომბერი.

სხვადასხვა

◆ **არგვეთში** (შორაპ. მაზრა) წყალსადენის გამოსაყვანად მთავრობამ გადასდო 5.000 მ.

◆ **საბინაო მშენებლობისათვის** ხაშურის აღმასკომმა კომბანკიდან სესხად გამოითხოვა 30.000 მანეთი.

◆ **გლეხთა სახლი.** აწყურში გლეხთა სახლის მოსაწყობად ახალციხის აღმასკომმა გადასდო 15.000 მანეთი.

◆ **ექსკურსია.** დღეს პროფსაბჭოს თანამშრომლები აწყობს ექსკურსიას მუხრანის სახალხო მამულში.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

თეატრი ზესტაფონში

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა აღადგინოს 1905 წელში ალიხანოვის მიერ დამწვარი თეატრის შენობა ამ მიზნით დაარსებული იქნა თეატრის სააღმშენებლო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: მ. ნიორაძე, (თავმჯდომარე); პ. კირვალიძე; ვ. ბრეგვაძე; კ. გამეზარდაშვილი; კ. ცერცვაძე; ს. ბოლქვაძე; შ. თაქთაქიშვილი; პ. მელიქაძე; ბ. თელია; მ. ტაბატაძე; მ. ჩუბინიძე; კ. ბუხრაშვილი; გ. მღვდლაძე; ი. კოსტავა; ბ. კელენჯერიძე; ა. ჩინჩალაძე; ნ. კაპანაძე.

კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას.

◆ **„მტკვარი ჯავშნოსანი".** რედაქციამ მიიღო ლადო მაჭავარიანის ახალი წიგნი „მტკვარი ჯავშნოსანი" (პოემა). წიგნი შეიცავს 132 გვ. და ღირს 1 მანეთი.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს მელითონეთა კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი ბერდიაევის დირიჟორობით.

— **მე-2 სამუსიკო მუზფაკში** (ავლაბარში) ლექციათა მიღება იწარმოებს სექტემბრის 6-დან 18-მდე. გამოცდები დაიწყება სექტემბრის 20-დან და გასტანს 25-მდე.

— **დიდი კონცერტი.** დღეს, 1 სექტემბერს ხელოსანთა კლუბში ქუმსიაშვილის, ვეხაძის მონაწილეობით გაიმართება დიდი კონცერტი.

ამიერ-კავ. შრომის სახ. კომისარიატში

საშუამავლო ბიურო

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ სცნო დაარსებულ იქნეს ამიერ-კავკ. ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიურო.

ამიერ-კავკ. ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიურო სადირექტივო ორგანო იქნება რესპუბლიკანურ საშუამავლო ბიუროებისათვის.

აღნიშნულ ორგანიზაციის საშუალებით ამ.-კავკასიის რესპუბლიკათა შორის მოხდება ხელოვნების მუშაკთა გაცვლა-გამოცვლა დროებით გასტროლების სახით.

ამიერ-კავკ. საშუამავლო ბიურო მსახიობებს და ხელოვნების სხვა მუშაკებს მოიწვევს საბჭოთა კავშირიდან და უცხოეთიდან.

პასუხისმგებელ მუშაკთა ხელფასი

ამიერ-კავკ. სახ. კომისარიატის დადგენილებით, მომავალში პასუხისმგებელ მუშაკთა ხელფასი შედგენილ იქნება ძირითადი ხელფასისა და სამუშაოზე მიღებულ დატვირთვის მიმატებით.

ქუთაისი

ქუთაისის ბაზრის კონიუნქტურა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ივლისში ბაზრის მდგომარეობა გამოცოცხლებული იყო. სახელმწიფო და კოოპ. ვაჭრობას დიდი მოთხოვნილება ჰქონდა კრედიტებზე. შედარებით ივნისთან მათი ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდა. მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე იმდენად გაიზარდა, რომ მისი დაკმაყოფილება გამოიხატება: საბაკალეო 75 პროც., მანუფაქტურა 70 პროცენტით, ფქვილი—20 პროც., პურეული—50 პროც., სხვადასხვა სურსათი და სოფლის ნაწარმი 25 პროცენტით.

ბოსტნეულით ბაზარი დაკმაყოფილებულია. ფასებმა შინაურ ფრინველებზე და კვერცხებზე აიწია. კოოპერაცია ასეთის შესყიდვას არ აწარმოებდა. ყიდულობდნენ კერძო ვაჭრები.

ნედლეულობის ბაზარი

„კოუსინდიკატი"-ს ქუთაისის დამამზადებელ პუნქტის მიერ სწარმოებდა ნედლი ტყავის დამზადება. ქუთაისის „აბრეშუმი"-ს დამამზადებელ პუნქტმა დაამთავრა აბრეშუმის პარკის დამზადება. სულ დამზადებულია 45 ათასი ფუთი პარკი. გეგმა დამზადებისა შესრულებულია 20—25 პროცენტით გადაჭარბებით.

საბაკალეო სანოვაგის ბაზარი

ივლისის განმავლობაში სანოვაგით ბაზარი დაკმაყოფილებული იყო. მხოლოდ მზესუმზირის ზეთის კრიზისს განიცდიდა ბაზარი, რის გამო კერძო ბაზრის ფასებმა საგრძნობლად აიწია.

სამრეწველო საქონლის ბაზარი

დიდი მოთხოვნილება იყო თეთრეულის, სელის ნაწარმოებისა და ჩითეულის; დიდი დანაკლისია ასეთების ბაზარზე. შალის მოთხოვნილება კი კმაყოფილდებოდა 50 პროცენტით.

ივლისში ფაბრიკაში დამზადებულ ფეხსაცმელების მოთხოვნილებაც დიდი იყო. იგი კმაყოფილდებოდა 60—65 პროცენტით.

ჭურჭლეულობის მოთხოვნილება ბაზარს ილევს.

სასოფლო იარაღებით ვაჭრობას აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. მოთხოვნილება ასეთზე დაკმაყოფილებულია 65—70 პროცენტით.

საამშენებლო მასალით ბაზარი დაკმაყოფილებულია.

მოთუთიულ თუნუქის, (სახურავისათვის) მოთხოვნილება ივლისში დიდი იყო ემჩნეოდა ბაზარზე მისი ნაკლებობა.

სათბობი მასალით და ნავთით ივლისში ბაზარი დაკმაყოფილებული იყო.

შინამრეწველ-ხელოსნური ნაწარმოები

ივლისში შემოტანილი იყო უხვად კუსტარული ნაწარმოები: შალი და აბრეშუმის ქსოვილები. ყიდულობდნენ კერძო ვაჭრები. უკანასკნელნი აგრეთვე აწარმოებდნენ შესყიდვას სოფლის მეურნეობის ნაწარმოების, როგორიცაა: ნედლი ხილი, მწვანეული და სხვ.

—:—

ამხ. ჟულელის ჩამოსვლა

25 აგვისტოს ქუთაისში ჩამოვიდა მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ჟულელი, რუსეთის მიწად-მოქმ. კომისარიატ. ა მიწად-მომწყობ განყ. გამგე პროფ. გენმეხაბესთან ერთად სახალხო მამულების დასათვალიერებლად. 25 აგვისტოს დაათვალიერეს: აჯამეთის, ვარციხის, ფერსათის და აფხანაურის მამულები. 27 აგვისტოს ამხ. ჟულელი რაჭა-ლეჩხუმის სამაღმასკომის თავმჯდომარესთან ერთად გაემგზავრა რაჭაში რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანებასთან დაკავშირებით.

კონფერენცია

2 სექტემბერს, პროფ.კავშირთა საზაფხულო კლუბში მოწვეულია საშეფო კონფერენცია: დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საშეფო საზოგადოების ამოცანები და დანიშნულება, 3) საშეფო საზოგადოების წლიური ანგარიში, 4) საბჭოთა და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 5) მიმდინარე საკითხები.

ყაჩაღების შეპყრობა

ქუთ. მაზრის მარკაფისა და რაიონის მილ. უფროსის ვ. ჩოგოვაძის მიერ შეპყრობილ იქნენ გალაქტიონ კილაშვილი და კირილე გურეშიძე, რომლებიც ამას წინად სოფ. გუმბრაში თავს დაესხნენ გლეხს ხუნწკიას და რომლებმაც გაქურდეს სოფ. ბანოჯაში ზვიადაძის დუქანი. ისინი დღემდე გადავარდნილი იყვნენ და ინახავდნენ თავს სოხუმის ოლქში.

უბედური შემთხვევები

— სადგ. რიონში მატარებელმა გასრისა ვლადიმერ მიხეილის ძე გნუტოვი. მიზეზი თვითმკვლელობაა.

— 26 აგვისტოს თეთრა-მიწის ქუჩაზე მცხოვრებმა მატრონა ერაძისამ დაიხრჩო თავი მდ. რიონში, გვამი ნაპოვნია.

მუშათა განათლების ქსელის გაფართოება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება მუშათა განათლების ქსელის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დღემდე საქართველოში მუშათა განათლების დარგში არ არსებობდა ერთიანი ქსელი, რაც საშუალებას არ აძლევდა მუშას გამოეყენებია შეთვისებული მასალა. ამჟამად განზრახულია მუშურ განათლების დარგში შემოღებული იქნეს მთლიანი ფორმა იმ ვარაუდით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლადამთავრებულებს მიეცეს საშუალება გააგრძელონ მეცადინეობა მცირე მცოდნეთა სკოლებში, მაღალ ტიპის სკოლებში და მუშათა უნივერსიტეტში.

განზრახულია აგრეთვე სამოსწავლო ვადის გაგრძელება სალიკვიდაციო სკოლებში. ნაცვლად 4 თვისა, მეცადინეობა გაგრძელდება 6 თვე. მცირე მცოდნეთა სკოლებში შემოღებული იქნება მთლიანი სამოსწავლო წელი (ამჟამად კი მეცადინეობა სწარმოებს 6 თვის განმავლობაში). ამასთანავე იწყობა სასოფლო-სამეურნეო მუშების სპეციალური სალიკვიდაციო პუნქტები. წინასწარი მუშაობა უკვე ჩატარებულია, გამოცემულია სპეციალური ანბანი და სხვა.

წელს თბილისში მოეწყობა 100 სალიკვიდაციო სკოლა, 38 მცირე მცოდნეთა სკოლა, 3 სკოლა მაღალი ტიპის, ერთი მუშათა უნივერსიტეტი, 12 სკოლა მოზრდილთათვის, 7 სკოლა ეროვნულ უმცირესობათათვის და 5 სკოლა კლუბებში.

მაზრაში განზრახულია მოეწყოს 180 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, 40 მცირე მცოდნეთა სკოლა, 14 სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ ქალთა შორის, მოზრდილთათვის 20 კურსები სასოფლო-სამეურნეო განხრით, სადაც სხვადასხვა სპეციალურ საგნებთან ერთად (მესაქონლეობა, მემინდვრეობა) მსმენელები გაივლიან საერთო ხასიათის საგნებსაც.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მუშათა განათლების სისტემის რეორგანიზაცია სცნო სწორად; ამასთანავე აუცილებლად იქნა ცნობილი მაღალი ტიპის სკოლების და მოჯამაგირეთა სკოლების და კურსების ქსელის გაფართოება.

სკოლების შევსება წარმოებული უნდა იქნეს იმ ვარაუდით, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში სრულიად მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა პროფკავშირთა წევრებს შორის. ამ მიზნით აუცილებელია მოჯამაგირეთა სკოლების ქსელის გაფართოება, სალიკვიდაციო სკოლების მოწყობა მსხვილ საბჭოთა მამულებთან და სასეზონო მუშების მაქსიმალურად ჩაბმა ამ სკოლებში.

პროფკავშირის გავლენისა და კონტროლის გაძლიერების მიზნით სალიკვიდაციო პუნქტები უნდა მოეწყოს კავშირების ხაზით. მუშათა განათლების ქსელის ყველა სკოლებში სამოსწავლო წელი უნდა დაიწყოს 1-ლ ოქტომბრიდან, მოსამზადებელი მუშაობა კი დამთავრებული უნდა იქნეს 1-ლ სექტემბრისათვის.

ხე-ტყის სახერხი ქარხნების გამოკვლევა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ, ახალციხის და შამგონის ხე-ტყის სახერხ ქარხნების მდგომარეობისა და შრომის პირობების გამოსაკვლევად მიავლინა ტეხნიკური ინსპექტორები.

ახლო მომავალში განზრახულია აფხაზეთის ხე-ტყის ქარხნების გამოკვლევაც.

ამ დღეებში დასრულდა ახალციხის ხე-ტყის სახერხი ქარხნის გამოკვლევა. ამჟამად მიმდინარეობს ქარხნის კაპიტალური რემონტი. ტეხნიკური ინსპექტორების მიერ ჩატარებულმა ორთქლის ქვაბების გამოცდამ სასურველი შედეგები გამოიღო. ქარხნის რემონტთან დაკავშირებით მუშაობა დროებით შეწყვეტილია. მოხდენილ გამოკვლევის მიხედვით შრომის პირობები მომავალ მუშაობისათვის დამაკმაყოფილებელია. მიღებულია მთელი რიგი ზომებისა მომავალში, შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ასე მაგალითად, გაუმჯობესდება ხანძრისაგან თავდაცვისა და ცეცხლთან ბრძოლის საშუალებები, მოხდება მუშების იზოლიაცია მუშაობის მავნე პროცესიდან და მოგვარებული იქნება სინათლის ზომიერად განაწილების საკითხი.

ამჟამად მიმდინარეობს შამგონის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ყოველმხრივი გამოკვლევა. საქ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ, აღნიშნულ გამოკვლევასთან დაკავშირებით გადასწყვიტა მოახდინოს შრომის პირობების გამოკვლევა, რისთვისაც შამგონში მიავლინა ტეხნიკური ინსპექტორი. ქარხნის გამოკვლევა დასრულდება ამ დღეებში.

ხილის დამზადება

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ხილის დასამზადებელ სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით.

მთელი მუშაობა მიმართულია ხილის შესანახ, გასაშრობ, ექსპორტისათვის დასამზადებელ ქარხნებისა და საწყობების ასაგებათ.

წელს განსაკუთრებით მოსალოდნელია ვაშლის კარგი მოსავალი ახალციხისა და გორის მაზრებში.

ამიერ-კავკ. სამ. ბანკმა გრძელვადიანი კრედიტის სახით, ხილის შესანახ და ჩასალაგებელ საწყობების ასაგებად „ზაკგოსტორგს" გადასცა 202.000 მანეთი.

„ზაკგოსტორგი" უკვე შეუდგა ხილის შესანახ ფარდულების აგებას სოფ. საქაშეთში, უდეში და შინდისში. ამავე დროს აზერბაიჯანში დაწყებულია ხილის შესანახ და საექსპორტოთ გასამზადებელ საწყობების აგება.

ამას გარდა, ახლო მომავალში ახალშენობათა კომიტეტი დაასრულებს ხილის პროდუქტების საშრობ საწყობების აგებას.

აღნიშნული საწყობები შესაძლებლობას იძლევა გლეხობის მიერ მოწოდებული და სახ. მამულებში დამზადებული ხილი მთლიანად იქნას გამოყენებული ბაზრისათვის.

შინდისის საწყობებში, მთელი სეზონის განმავლობაში შესაძლებელი იქნება 100.000 ფუთი ვაშლის გახმობა დაჭრილ ვაშლის ნარჩენებიდან (გული, კანი და სხ.) გამოხდიან სპირტს.

საწყობების აგება დაჯდება 70.000 მან.

შემთხვევები

ჯიბგირების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სერგო ალექსისძე ჰამარდაშვილი და ალბერტ ისანის ძე ოვაკიმოვი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა.

გამოტყუება

ამას წინად ვიღაც ბოროტმოქმედმა გლეხ ვლადიმერ ღვალს გამოსტყუა ფული. ამ დღეებში მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა დიმიტრი ლევანისძე ყიფიანი.

სიმთვრალის დროს

სოფ. კავთის ხევიდან (გორის მაზრა) ჩამოსულმა გიორგი როსტომის ძე თხინვალელმა სიმთვრალის დროს დანით დაიჭრა თავი. დაჭრილი გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

თავის დაჭრა

გუშინ, დღისით, დანით თავი დაიჭრა ალექსანდრე ლავრენტის ძე ბოლაგინმა, რომელსაც აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება. თავის დაჭრის მიზეზი ირკვევა.

ქურდობა

გაქურდეს მარო რაჩევის ბინა (წყნეთის ქ. № 43). წაიღეს 200 მანეთის ნივთები.—კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს გრიგოლ ციციაშვილის ბინა (ბარათაშვილის ქუჩა № 13), წაიღეს 300 მანეთის ნივთები.—მოქ. ილიკო რეიშვილის ბინიდან მოიპარეს 220 მანეთი ფულად.—გაქურდეს ნიკო ვარსიმაშვილის ბინა (საწყობის ქ.) მოპარულია 250 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა.—მოქ. ხოთურახიმ-ოღლის ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 50 მანეთი.

რკინისგზეზე

უფასო სამგზავრო ბილეთების სავალდებულო რეგისტრაცია

რკინისგზის უფასო ბილეთების ჩამოსართმევათ იმ პირებისათვის და ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც არა აქვთ მათი სარგებლობის უფლება, 1-ლ სექტემბრიდან დაიწყება ყველა სასამსახურო წლიური და დროებითი პირადი და უსახელო ბილეთების ხელ-ახალი რეგისტრაცია.

რეგისტრაციაში გატარებულ ბილეთებს მეორე გვერდზე „შენიშვნაში" აღნიშნული უნდა იქნეს: „გატარებულია რეგისტრაციაში". იქვე უნდა იყოს სათანადო პირის ხელისმოწერა და ბეჭედი.

ბილეთების რეგისტრაცია დამთავრდება 20 სექტემბრისათვის, რის შემდეგ რეგისტრაციაში გაუტარებელი ბილეთები გაუქმებულ იქნება. (რეგისტრაცია არ ეხება იმ ბილეთებს, რომლებიც გაცემული იქნებიან 1 სექტემბრის შემდეგ.

რკინისგზაზე სამსახურის გამო მიღებულ ბილეთების რეგისტრაცია იწარმოებს იმ კანტორაში, რომელზედაც მიწერილია ეს თუ ის მუშაკი უფასო ბილეთის მისაღებათ, ხოლო რკინისგზისათვის უცხო დაწესებულებებმა და პირებმა (რედაქციები, სამხედრო უწყება და სხვ.) რკინისგზის უფასო ბილეთები რეგისტრაციაში უნდა გაატარონ მთავარ კანტორაში.

ამხ. პოზდეევის გამგზავრება

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში და ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პოზდეევი გუშინ სამსახურის საქმეებზე გაემგზავრა ერევანში.

ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადება

ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე, მოსკოვში ამიერ-კავკ. რკინის გზებიდან იგზავნებიან: რკ. გზ. პროფკავშირის კულტ. განყ. გამგე—აბდულაევი და გზების გამგეობის საფინანსო განყოფილების უფროსი ამხ. ზოსიმე კალანდია.

გასასვლელი გზები

სადგ. ლენინაკანში მისასვლელ გზების მოსაწყობათ (მატარებლის გასაჩერებელი ახალი ხაზები) გადაიდო 31.000 მანეთი.

ორთქლმავალი უმემანქანოთ

ამა წლის მაისის დამლევს, სადგ. [illegible] დაიძრა ორთქლმავალი.

ორთქლმავალი გავიდა სადგურიდან იმ დროს, როდესაც მასზე, არც მემანქანე და არც მემანქანის თანაშემწე არ იმყოფებოდა.

ამ დღეებში აღნიშნული შემთხვევის მიზეზი გამოიკვლია შემთხვევებთან მებრძოლმა კომისიამ, რომელმაც გამოარკვია, რომ ორთქლმავალი გავიდა დეპოდან ვიღაც ბოროტმოქმედის მიერ გაღებული რეგულიატორის შემწეობით.

ნაწილობრივ დამნაშავეებათ კომისიამ სცნო: უფროსი ცეცხლფარეში ტატურისი და უმცროსი ცეცხლფარეშები: ყურბანოვი და ალექსანდროვი, რადგანაც სამივეს ამ ორთქლმავლისათვის საჭირო ყურადღება არ მიუქცევიათ, რისთვისაც კომისიამ სამივე ჩამოაქვეითა დაბალ თანამდებობაზე, ხოლო დეპოს მორიგეს სუსტი მეთვალყურეობისათვის გამოეცხადა საყვედური.

დაჯარიმება

მგზავრებთან უხეშად მოპყრობისათვის, უკანონო მოგზაურობისა, ინსტრუქციების შეუსრულებლობისათვის და სხვა, გზების გამგეობამ დააჯარიმა 57 რკინის გზელი.

სასამართლო

უზნო არშიყი

სარქის დარისპანის ძე ახინჯანოვმა ახირებული არშიყობა იცოდა სიმთვრალეში.

ამ რამდენიმე დღის წინად ახინჯანოვი მთვრალი გამოვიდა ქუჩაში და „საარშიყოდ" მოემზადა. ქუჩის მეორე მხარეზე დაინახა ახალგაზრდა ქალი. „ტრფობის ალმა" დაუარა და დაედევნა ქალს.

ქალმა უჩქარა ნაბიჯს.

— ვაჰ! ხედავ როგორ მოუჩქარა? მოიცა ქალო! მოსალაპარაკებელი მაქვს თქვენთან.

— გამეცალე აქედან, თორემ მილიციელს დაუძახებ,—შეუტია ქალმა. მაგრამ ახინჯანოვი, რის „მოარშიყეა", მილიციელის ხსენებამ თუ შეაშინა. ის დაეწია ქალს და „სასიყვარულოდ" ზურგში მუშტები დასცხო.

ქალმა მორთო კივილი.

გაჩნდა მილიციელი და მეეზოვე.

ახინჯანოვმა მოითხოვა ქალის დაპატიმრება.

— კაცო, ეს როსკიპი ქალია ფული წამართვა, დააპატიმრეთ ჩქარა!—რიხით ეუბნებოდა ის მილიციელს.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალმა ტირილი მორთო.

მილიციელმა ორივე წაიყვანა კომისარიატში, სადაც გამოაშკარავდა ახინჯანოვის ოინი.

აქედან იწყება ახინჯანოვის „მოღვაწეობის" მეორე ეპიზოდი.

— თქვენ მაიმუნებო! როგორ გაბედეთ როსკიპი ქალის განთავისუფლება? მე თქვენ გიჩვენებთ სეირს. დაიღრიალა ვაჟკაცმა და საპატიმროს ფანჯრის მინებს დაერია.

შეადგინეს ოქმი და ახინჯანოვი მისცეს პასუხისგებაში.

„მოარშიყეს" ადმინისტრატიული წესით მიესაჯა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ქურდების გასამართლება

ნიკოლოზ იოსების ძე პეჩიონკინი, ალექსი პავლეს ძე პატრიასოვი, ოანეს ალექსანდრეს ძე იშხანიანი და რუბენ პოლოსის ძე ყარაბეგოვი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. უკანასკნელად მეგობრებმა სარფიან ხელობას მიჰყვეს ხელი.. შეიძინეს სხვადასხვა ხელსაწყოები, რომლის წყალობითაც გაიგეს ბოქლომების და საკეტების მთელი საიდუმლოება. ამის შემდეგ მეგობრებმა გაქურდეს თბილისში მთელი რიგი ბინები და მაღაზიები. უკანასკნელად კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს ვართან თათეოსოვის საათის მაღაზია (კომინტერნის ქ. № 2), გაიტაცეს 700 მანეთის ოქროს ნივთები. მაგრამ ამით დასრულდა მეგობრების „მოღვაწეობა". ქურდების ორგანიზაცია აღმოაჩინა სისხლის სამართლის მილიციამ.

ეს საქმე გაირჩა მეოთხე უბნის სახალხო სასამართლოში.

სასამართლომ იშხანიანს მიუსაჯა ორი წ. თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მსჯავრდადებულს პირველად აქვს დანაშაული ჩადენილი და სასჯელი შეუმცირა ნახევარი წლით.

ყარაბეგოვს მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასჯელი გაუნახევრდა. პატრიასოვს და პეჩიონკინს მიესაჯა ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

გარყვნილი ქმარი

ამას წინად, ივანე ზურაბის ძე ბაკურაძე ჩავიდა სოფ. წალკაში (თბილისის მაზრა). ჩასვლისთანავე მან მიზანში ამოიღო ობოლი ახალგაზრდა გლეხი ქალი ეკატერინე გ—ი. იგი მაშინვე შეუდგა სამზადისს.

აფრინა მაჭანკლები ქალის ნათესავებთან. საქმეც მალე გაირიგა.

გაიმართა ქორწილი. ღარიბი გლეხის პირობაზე უკეთესი ნადიმი აღარ შეიძლებოდა.

ქალის ნათესავები თვალში შესჩერებოდნენ ახალ სიძეს. ცხვირის დაცემინებასაც არ აკლიდნენ—„ღვთის წყალობას" ისე მიაძახებდნენ.

მაგრამ მეტად ნაადრევი აღმოჩნდა ეს სიხარული.

ორი თვის შემდეგ ახალ ცოლქმარს შორის დაიწყო ჩხუბი და დავიდარაბა.

ბაკურაძემ დაიწყო ხეტიალი როსკიპ ქალებთან.

—არა გრცხვენია, რას ჩადიხარ ოჯახის კაცო?—ეუბნება მას ცოლი.

— ასეთ ცხოვრებას ვარ შეჩვეული; და თავს ვერ დავანებებ, თუ არ მოგწონვარ მიბრძანდი,—იყო პასუხი.

აუტანელი იყო ბაკურაძის და ცოლის ურთიერთ დამოკიდებულება. მით უფრო მას შემდეგ, რაც ქმარმა შეჰყარა ცოლს ვენერიული ავადმყოფობა.

ქალი ითმენდა ქმარისაგან ყოველგვარ დამცირებას. ცემა-ტყეპასაც კი.

ქალს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან ბაკურაძე ასეთი სიტყვებით მიმართავდა მას.

— არ დამლუპო, არ დასძრა კრინტი, თორემ მოგისპობ სიცოცხლეს. გაგაგდებ სახლიდან და დარჩები ულუკმაპუროდ.

ქალიც ასრულებდა ქმრის ბრძანებას.

გადიოდა ხანი. ქალს გაურთულდა ავადმყოფობა.

გამწარებულმა ქალმა ისირცხვილა და ვეღარავის შესჩივლა მისი უმწეო მდგომარეობის შესახებ.

ერთ დღეს, მან ესტუმრა და, რომელსაც დაწვრილებით უამბო მისი მდგომარეობის ამბავი.

ქალს ურჩიეს მომხდარი ამბის შესახებ განეცხადებია მილიციაში.

მეორე დღეს გ—ის ქალი ადგილობრივ მილიციის უფროსს უამბობდა ბაკურაძის „ვაჟკაცობის" შესახებ.

ბაკურაძე დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

საქმე უკვე გამოძიებულია და გადაეცა თბილისის სამაზრო სასამართლოს.

ევგენი დვალის დაპატიმრება

22 აგვისტოს, ევგენი ნიკოლოზის ძე დვალი ღვინით გალეშილი გამოვიდა რუსთაველის პროსპექტზე და დებოში ასტეხა.

დვალს ადმინისტრატიული წესით მიესაჯა ერთი თვის ციხე.

თ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების შესახებ

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების დამტკიცების შესახებ" 1927 წ. ივნისის 29-ს თარიღით გამოცემული (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი. მუხ: 391) დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების" (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1927 წ. 39 №-რი, მუხ. 392 და 66 №-რი, მუხ. 671) განსავითარებლად და დასამატებლად ადგენენ:

1. ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივნისის 29-ს დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების" მოქმედება, ამ დადგენილებით მიღებული დამატებებით, გავრცელებულ იქნეს სამრეწველო ტრესტებზე, რომელთაც საწესდებო კაპიტალი 100.000 მან. ნაკლები არა აქვთ, და რომელნიც აფხაზეთის ს. ს. რ-სა, აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ-სა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სახალხო მეურნეობის ორგანოების გამგებლობაშია.

2. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის დაარსების ნებართვის მიცემა, „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების" მე-9 მუხ. წესისამებრ, დაეკისროს საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ თათბირს.

3. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის წესდების დამტკიცება დაეკისროს: ა) აფხაზეთის ს. ს. რ-სა და აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—იმ ტრესტების მიმართ, რომელთაც დაარსებენ მათი ქვემდებარე ორგანოები; ბ) თბილისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს—მის მიერ მოწყობილი ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტების მიმართ და გ) საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—სხვა დანარჩენ სამრეწველო ტრესტების მიმართ.

შენიშვნა 1: წესდების დამტკიცების დროს საკითხი ტრესტის კაპიტალების შესახებ შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

შენიშვნა 2: ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე რესპუბლიკანური მნიშვნელობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო ტრესტების ტიპიურ წესდებებს შეიმუშავებს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და დაამტკიცებს საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭო.

4. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების (რომელთაც ასი ათასი მან. და მეტი საწესდებო კაპიტალი აქვთ) ქონების მიღება და ჩაბარება, „სახელმწიფო-სამრეწველო ტრესტების დებულების" მე-12 მუხლის თანახმად, განისაზღვროს იმ წესით, რაც დადგენილ იქნება საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ, საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დამტკიცებულ ინსტრუქციაში.

5. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო-სამრეწველო ტრესტის წესდება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული"-ს მეორე განყოფილებაში, საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების სპეციალური კანონით განსაზღვრული წესისამებრ.

6. „სახელმწიფო-სამრეწველო ტრესტების დებულების" მე-5 მუხლის განსავითარებლად და დასამტკიცებლად იმ რესპუბლიკანური და ადგილობრივ დაწესებულებათათვის, რომელთა გამგებლობაშიაც სახელმწიფო-სამრეწველო ტრესტები (საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გარდა), დადგენილ იქნეს შემდეგი წესი ისეთი საკითხების განხილვისა, რაც მათი კომპეტენციის საგანს შეადგენს:

ა) უკეთუ ტრესტის საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებულია, რომ საქმე ფინანსიურად მოგვარებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადადებული სახსრით, ასეთი გეგმა დამტკიცდება საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით; სხვა შემთხვევაში ტრესტის საწარმოო-საფინანსო გეგმა საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნება ცნობისათვის;

ბ) იმავე წესით გადაწყდება საკითხი ტრესტის უკვე დამტკიცებულ საწარმოო-საფინანსო გეგმაში შესატანი არსებითი ცვლილების შესახებ;

გ) ახალ საწარმოთა მშენებლობისა, აგრეთვე არსებულ საწარმოთა გაწყობილობის დამთავრებისა და გადაკეთების გეგმებისა და ტეხნიკური პროექტების დამტკიცება მოხდება საერთო-საკავშირო და ამიერ-კავკასიის ფედერატიული კანონმდებლობით და საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის სპეციალური კანონით განსაზღვრული წესისამებრ;

დ) დადგენილება საწარმოს იჯარით გაცემისა და აღების ნებართვის შესახებ. იჯარის ვადის მიუხედავად, გარდა ტრესტისათვის დამხმარე ხასიათის მქონე საწარმოს იჯარით გაცემისა თუ აღებისა, ვადით არა უმეტეს ექვსი წლისა, საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნება ცნობისათვის;

ე) ტრესტის ანგარიში, ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიში და დადგენილება მოგების განაწილებისა და ზარალის დაფარვის საშუალების შესახებ, აგრეთვე სალიკვიდაციო ანგარიში და ბალანსი საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნება ცნობისათვის;

ვ) უკეთუ ამა მუხლის წინა პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის გადატანება საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოში;

ზ) ისეთი საკითხების გამო, რაც საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობისათვის ეგზავნება, მას უფლება აქვს გაასაპროტესტოს საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოში იმ დაწესებულების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის გამგებლობაშიაც ტრესტია, შემდეგი მოტივით: რომ ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამება ტრესტების შესახებ არსებულ კანონმდებლობას, სახალხო მეურნეობის საერთო გეგმას და საერთო ეკონომიურ პოლიტიკას და რომ იგი არსებითად განსხვავდება საკონტროლო ციფრებს ან უკვე დამტკიცებულ საწარმოო-საფინანსო გეგმას.

7. „სახელმწიფო - სამრეწველო ტრესტების დებულების" 25 მუხლით გათვალისწინებულ ტიპიურ დებულებას—ტრესტის შედგენილობაში შემავალ საწარმოთა გამგებლობის შესახებ—შეიმუშავებს და დაამტკიცებს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

8. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტისათვის სპეციალური კაპიტალების შექმნა, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების" 43 მუხლის მე-2 ნაწილით, შეიძლება მხოლოდ საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

9. „სახელმწიფო - სამრეწველო ტრესტების დებულების" 46 მუხლით დაწესებულ მოგების სავალდებულო ანარიცხების ნუსხას ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო ტრესტებისათვის (რომელთაც 100.000 მან. და მეტი საწესდებო კაპიტალი აქვთ) დაემატოს „ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის არსებულ სპეციალურ ფონდში" (ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 17-ს დადგენილება: ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-რი, მუხ. 18) გადასადები ანარიცხი.

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობაში სადავო პრინციპების განხორციელების შესახებ" 1927 წ. მაისის 3-ს თარიღით და 46 №-რით გამოცემული (საქართველოს ს. ს. რ. კან. კრ. 1927 წ: მე-5 №-რი, მუხ. 75) დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლები გაუქმებულ იქნეს და, ახალი სამრეწველო მშენებლობის გეგმებისა და ტეხნიკური პროექტების დამტკიცების წესის შესახებ სპეციალური კანონის გამოცემამდე, ძალაში დარჩეს აღნიშნული დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **შ. მათიკაშვილი.**

ნარევი

ელექტრონის ენერგია სიბინძურეებიდან

ბირმინგამში (ინგლისი) საკანალიზაციო მილებში დაგროვილ სიბინძურეებს ხმარობენ ელექტრონის ენერგიის მისაღებად. სიბინძურეები გროვდება უზარმაზარ დახურულ აუზებში, სადაც შიგ ვითარდება განსაკუთრებული სახის ბაქტერიები, რომელთა საშუალებით ჩნდება გაზი, რომელიც წააგავს ე. წ. ჭაობის გაზს. ეს გაზი შემდეგ მილებით იგზავნება ელექტროსადგურზე, სადაც საწვავი მასალის როლს ასრულებს შინაგანი წვის მამოძრავებლებში. ბირმინგამში მოწყობილი 150 ცხენისძალიანი სადღელი ელექტრო-სადგური რამდენიმე წელიწადია სიბინძურეებიდან ამუშავებს ელექტრო-ენერგიას და დამაკმაყოფილებლად მუშაობს.

რადიო-გადაცემა

დღეს, 1 სექტემბერს, თბილისის ოთხ კილოვატიან რადიო სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

გლეხური რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

წით. არმიის პოლიტ. სამმართველოს მოხსენება: „წითელი არმიის მანევრები მიმდინარე წელს" რუსულ ენაზე.

მოხსენება: „ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე" — ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენება: „ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ" სომხურ ენაზე.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა ქართულ და რუსულ ენებზე.

გაზეთი „ენიქენდი"—თათრულ ენაზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია— ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებათა შორის შესრულებული იქნება სხვადასხვა მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 1-ლ სექტემბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: მიხეილ ხუციშვილი; გერასიმე მერაბოვი; მიხეილ მიკირტუმოვი; გიორგი ძნელაშვილი; რუბენ ტურამბოვი; იოსებ ოსიგმაშვილი; ნატალია ბრატაშევა; არსენ სიმონიანცი და შაჰბაზ ოსკანოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ანტონ მგალობლიშვილი; პეტრე ტიმოფეევი; პაველ პეტროსიანი; ფემა ხანჩალიანცი; სერგო ათოევი; მიხეილ დანელიანცი; მარიამ ვიტალინა; სოფიო პეტროსიანი; ნადეჟდა ცილაევა; ოლიმპიადა სტორსკაია; ვლადიმერ კალაძე; სოფიო ჩიქოვანი; ელენე ოსიპოვა; ალექსანდრე ცერცვაძე; იოსებ ზალდასტანიშვილი; გრიგოლ სუქანიძე; გიორგი ლომინაძე; ამბაკო შავგულიძე; ვასასი კალანდაძე; ივანე ხმალაძე; ტატიანა კუზმინსკაია და ეჟეფინა დელბანიძე.

მედსექციიდან: გრიგოლ საბაშვილი; სარქის ავაქიანცი; ვიქტორ შმიდტი; ნინო თარგამაძე; ვერა ლეჟავა; ალექსი კვანტალიანი და მარიამ დალაქიშვილი.

რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან: ვართან ვართანოვი; გერასიმე ვართანოვი; პავლე დიჩენკო; მიხეილ ლორთქიფანიძე; გიორგი მარტიროსოვი; ვლადიმერ ტუსიევი; არშაკ ალახვერდოვი; გასიტაშვილი; გიორგი ხაჩინაძე და ვასილ კანონინინი.

პარტიული კალენდარი

სახელმწ. უნივერსიტ. არსებულ ამხ. მიასნიკიანის სახელობის ქართული მუშათა ფაკულტეტის ახალ. ლენ. კომ. კავშირის ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს პირველ სექტემბერს საღამოს 6 საათზე მუშფაკის შენობაში შესდგება კომ. კავშირისა და პარტიის წევრთა საზეიმო კრება. ამავე ფაკულტეტში მყოფ მოსამზადებელი კურსის მოჯამაგირე ახალგაზრდობასთან გაერთიანებით.

დღის წესრიგშია მოხსენება ახალგაზრდათა მე-XIV საერთაშორისო დღის შესახებ.

დასწრება სავალდებულოა.

დამწუხრებულნი: ქმარი ვიქტორ ყანჩაველი, დედა ბარბარე ლოდეისჩიკოვა, და ქრისტინე ნიკონოვისა იუწყებიან

(ქენია) ევგენია ლოდეისჩიკოვას

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 2 სექტემბერს, 3 საათზე. გამოსვენება მოხდება ლენინის სახელობის რკ. გზ. მე-6 სალ. უბნის ამხ. „მუშათა დასახლებულობა"-დან 3929

ღრმად მწუხარებაში მყოფნი მშობლები: მამა ილია და დედა ხიფა ორა, შვილებით, რძლებით, სიძეებით და შვილიშვილებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ უდროოდ ტრაგიკულად გარდაცვალებულ სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის სტუდენტის

შოთა (შიო) ილიას-ძე ნიკურაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 2 ენკენისთვეს, დღის 2 საათზე, ქ. სამტრედიაში, სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 3930

ღრმად დამწუხრებული მიხეილ [illegible]-ძე ტაგანაშვილი და მეუღლე ლიუბა ილიას ასული ტაგანაშვილისა აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებული ძმის (სტუდენტი აგრონომიული ფაკულტეტისა)

შოთა ილიასძე ნიკურაძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას ა/წ. 2 სექტემბერს 12 საათზე სამტრედიის ძველ სასაფლაოზე. ხ. 1539.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ამერიკელი ქალის თავგადასავალი 5 და 6 სერიები რუფ როლანდის მონაწილეობით
საზაფხულო ეთერი	საზღვარ-გარეთის უკანასკნელი სურათი ქირვეული ცოლი რუფ კლიფორდის მონაწილეობით
საზაფხულო დარბაზი	დიდი წარმატების გამო გაგრძელებულია სეზონის საუკეთესო კომედიის ჩვენება ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი
საზაფხულო პალასი	დიდი წარმატების გამო გაგრძელებულია ჩვენება სურათის ატლანტიდა ჟან ანჟელოს და სტასი ნაპერკოვსკაიას მონაწ.
პროლეტარი ავლაბარი	საზღვარ გარეთის მხატვრული სურათი ზღვის გმირი 1 და 2 სერია ერთად

ანონსი: მალე საზღვარ გარეთის მხატვრული ფილმი „ნეპტუნი" 0 23

მელითონეთა ცენტრალური მუშათა კლუბი
დღეს, 1 სექტემბერს,
სიმფონიური კონცერტი
ვალერი ბერდიაევის ხელმძღვანელობით
და ჰობოის დამკვრელი სოლისტის ლევ ბენდიცკის მონაწილეობით
პროგრამაში—რიმსკი-კორსაკოვი, გლაზუნოვი, ვენიავსკი, სენსანსი, ბეთჰოვენი, ბალფი—კინო.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემდეგი კონცერტი ხვალ, 2 სექტემბერს მედსანშრომის კლუბში. ხ. 1526

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებ.
კ. ოდიშარია
აცხადებს, რომ ის 6 სექტემბერს 1928 წ. საათის 1 პეტრიწის მოედანი № 1 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სურენ გაზაზიანცის მოძრავ ქონებას 11 ნემეცურ ძროხას შეფასებულს 1005 მან. დასაკმაყოფილებლად ივანე ტილმანისა, მ. ბალდასაროვისა, პ. გამიდოლლისა და გ. გუმრიანისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. 3932

ს.ს.ს.რ. სახ. მეურ. უმაღლესი საბჭო
ლითონის მრეწველობის ტრესტი
„მეტალტრესტ"
თბილისი, საბჭოთა, 115, ტელ. 20—53
აცხადებს, რომ კვირას, 1928 წ. 2 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ცენტრალურ საწყობში პავლოვის ქუჩაზე (ტრესტის რაიონში) გაიმართება
ღია ვაჭრობა
სხვადასხვა ულიკვიდაციო ქონების გასასყიდად, რომელიც შესდგება სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა, ავტოქონებისა, ინსტრუმენტებისა, საექიმო ინსტრუმენტარიებისა, ლითონის ნაკეთობათა, სხვადასხვა მასალებისაგან და სხვ. დაწვრილებითი სიების დათვალიერება შეიძლება ტრესტის კომერციულ განყოფილებაში, დილის 8 საათიდან 2 საათამდე.
საქართველოს ს.მ.უ.ს. ლითონტრესტის სამმართველო
ნ. 1538

მიხეილ გედევანიშვილის.
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.
25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5-7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი —11—78. 25—1

ექიმი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება **ფსიქოთერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ყორესის ქ. კუთხე.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 1142 მოცემული საბჭ. და სავაჭრო კავშირიდან იაკობ მიხეილის ძე ნონიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3934

დაიკარგა: მეტრიკული ანონაწერი სარა ბენიამინის ასული ზაგდლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2934 ზე, ჩ. გ.

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი ს. საგარეჯოში მცხოვრებ ივანე დავ.-ძე დრეიძის სახელზე, ჩ. გ 3933

დაიკარგა: სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულობის ფურცელი № 3384 გალაქტიონ წულაიას სახელზე, ჩ. გ. 3931

დაიკარგა: მთლიანი მუშათა კოოპერატივის წიგნაკი გიორგი დავითიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3935

დაიკარგა: თბილისის თვითმმართველობის მიერ 1918 წელს გაცემული მოწმობა მასწავლებლობაზე ილია თევდორეს-ძე შუბლაძის სახელზე, ჩ. გ. 3936

დაიკარგა: პირადობის მოწმობა გიგო მარგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3940

დაიკარგა: სწავლის დამთავრების მოწმობა ირა ნიტიფოს ასული ბოლქვაძეს სახელზე, ჩ. გ 3942

დაიკარგა გლეხკომის წიგნაკი ვარდენ ევგენისძე ჭელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3942

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი შალვა აბესალომის-ძე ჩხაიძის სახელზე, ჩ. გ. 3939

დაიკარგა: სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა ფორმა № 4 დავით ერმალოს-ძე დეისაძეს სახელზე, ჩ. გ. 3937

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0857327 გიორგი ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 3938

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.